



კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

გიორგი ამაშუკელი

კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებათა  
კრიმინალიზაციის პრობლემა

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სერგო ჭელიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი სამართლის დოქტორი.

თბილისი 2022

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ამაშუკელი

30.05. 2022

## ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სოციალური კონტროლის ისეთ არასასურველ, მაგრამ აუცილებელ პროცესს, როგორც კრიმინალიზაციაა. ამ პროცესის სირთულე და პრობლემატურობა განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება კიბერსივრცის წიაღში წარმოშობილ ქმედებათა მიმართ. სავარაუდოთ, ადამიანთა საქმიანობის არც ერთ სფეროში ისე არ ვლინდება პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურულ თუ სხვა ღირებულებათა ურთიერთდაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც ეს კრიმინალიზაციის პროცესშია. თუ უკვე არსებულ, ტრადიციულ დანაშაულის შემადგენლობათა მიმართ, სოციუმის მხრიდან, გამომუშავებულია ერთგვარი იმუნიტეტი და შემგუებლობის გარკვეული ხარისხი, იგივეს ვერ ვიტყვით ახლად წარმოშობილ სოციალურად საშიშ ქმედებათა მიმართ, რომელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა, ყოველთვის ვნებათა დელვასა და დროში გაწელილ დისკუსიასთანაა დაკავშირებული.

საკითხის პრობლემატურობის კონტურები მოვლენათა ზედაპირზე დევს და „კიბერდანაშაულის“ ცნებას უკავშირდება (საქ.სსკ XXXV-ე თავი „კიბერდანაშაული“).

კანონმდებელი ახდენს კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციას, მაგრამ არ აყალიბებს მის დეფინიციას. კიბერდანაშაულის ცნების დაყვანა კომპიუტერულ დანაშაულთა შინაარსობრივ გაგებამდე კი მიუღებელია. მართალია, ეს უკანასკნელი მოიაზრება კიბერდანაშაულის ფარგლებში, მაგრამ თვითონ კიბერდანაშაულის საკანონმდებლო დეფინიციის არარსებობა ართულებს ამ კატეგორიის უმართლობათა სისტემურ-სამართლებრივ მოწესრიგებას; ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ქმნის ნორმათა ისეთ კონკურენციას, რომლის დროსაც არსებითად გამწვანებულია ქმედების კვალიფიკაცია და დასაბამი ედება არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას.

კვლევის პროცესში, წარმოდგენილია მოსაზრებები ამ პრობლემის სამართლებრივი მოწესრიგებისა და გაუფრთხილებლობის, როგორც კიბერდანაშაულებრივი ქმედების გამოვლინების შესაძლო ფორმის კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობაზე.

## **A n n o t a t i o n**

The presented paper deals with such an undesirable but necessary process of social control as criminalization. The complexity and problematic nature of this process is particularly acute in relation to the actions that take place within the cyberspace. Presumably, no field of human activity reveals the contradiction of political, religious, cultural or other values and differences of opinion as it does in the process of criminalization. If a society has developed a certain degree of immunity and tolerance for the existing, traditional offenses, the same cannot be said of newly emerging socially dangerous acts, the criminalization of which is always a matter of passion and time-consuming discussion.

The contours of the issue lie on the surface of events and are related to the concept of "cybercrime" (Chapter XXXV of the Criminal Code "Cybercrime"). The legislature criminalizes cybercrime, but does not formulate its definition.

Bringing the concept of cybercrime to an understanding of the content of cybercrime is unacceptable. It is true that the latter is considered within the framework of cybercrime, but the lack of a legislative definition of cybercrime itself complicates the systematic legal regulation of this category of injustices; This circumstance, in turn, creates a competition of norms, during which it is substantially difficult to qualify the action and is based on heterogeneous case law.

In the course of the research, opinions are presented on the expediency of legalizing this problem and negligence as a possible form of criminalization of the manifestation of cybercrime.



## სარჩევი

შესავალი -----	1
თავი 1. კიბერდანაშაულის გენეზისი -----	9
თავი 2. კიბერსივრცეში წარმოშობილ ქმედებათა კრიმინალიზაციის თეორიული საფუძვლები -----	28
2.1. კიბერსივრცეში ადამიანის დესტრუქციული საქმიანობის ზოგად- სოციოლოგიური ანალიზი -----	28
2.2 კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის თავისებურებანი -----	49
თავი 3. კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი რეგულირების პრობლემა---	76
3.1. ცალკეული ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა -----	76
3.2. კიბერდანაშაულის, სამართლებრივ-სისტემური მოწესრიგება -----	88
3.3. გაუფრთხილებლობა, როგორც „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა გამოვლინების შესაძლო ფორმა -----	124
დასკვნა -----	132
ბიბლიოგრაფია -----	137
დანართი : „ 25 “ ფურცლად;	

## შესავალი

**თემის აქტუალობა** - კაცობრიობის ისტორიაში არსებული იშვიათი ერთსულოვნება, რომელიც კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტულობას შეეხება, ნასაზრდოებია თავად კიბერსივრცის უნივერსალობითა და იმ სპეციფიკით, რომელიც იმანენტურად შეიცავს პლანეტარული მასშტაბის საფრთხეებს და აიძულებს მსოფლიო თანამეგობრობას ეძიოს გამოსავალი იმ კრიტიკული სიტუაციიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა. სავარაუდოთ, ისტორიული ქატეხილების ფონზე, ადამიანთა მოდგმას ყოველთვის უწევდა სხვადასხვა საფრთხეებთან გამკლავება და დროებითი კონსოლიდაციაც კი, რაც თვითგადარჩენის ინსტიქტის დამსახურებად უნდა იქნას მიჩნეული. კრიტიკული სიტუაციების დროს, არც თუ იშვიათ შემთხვევებში, საღი აზრის წყალობით თუ ხდებოდა ფართომასშტაბიან კონფლიქტებსა და ომებზე უარის თქმა. თუ მაინც ვერ მოხერხდა ტრაგიკულ შემთხვევათა თავიდან აცილება და ამის უამრავი მაგალითი არსებობს, იმის ფაქტობრივი შესაძლებლობა მაინც არსებობდა, რომ თავიდან არიდებულიყო სრული განადგურების შემზარავი პერსპექტივა. მაგრამ, თანამედროვე რეალობამ, რომელიც უშუალოდ კიბერტექნოლოგიების განვითარების შედეგია, უკვე გამოკვეთა იმის აშკარა მოლოდინი, რომ სახელმწიფოთა გამგებლობაში არსებული სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო შეიარაღების ძირითადი ნაწილი, რომელიც მთლიანად ეფუძნება კიბერტექნოლოგიებს, დიამეტრალურად ცვლის დღემდე არსებულ სამხედრო კონცეფციას. ამასთან, ყველაზე დამაფიქრებელი ის გარემოებაა, რომ საომარ მოქმედებათა წარმოების არქიტექტურა, პოტენციურად ზღუდავს ადამიანის მიერ პროცესების სრულად მართვის შესაძლებლობას. იმ ვითარებაში კი, როდესაც კიბერტექნოლოგიებს, არავითარი ემოცია და შემწყნარებლობა არ გააჩნიათ და მოქმედებენ მხოლოდ პრაგმატული მიმართულებით, იმის ალბათობა, რომ ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტი აპოკალიპტური სცენარით დამთავრდება, ძალიან დიდია. ამის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ თანამედროვე ლეტალურ იარაღთა მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს მართავს ისეთი სახის ალგორითმული პროგრამები, რომელთაც შეუძლიათ ავტონომიური გადაწყვეტილების მიღება. ეს

თვისებრივი სიახლე ხელოვნური ინტელექტის წყალობით გახდა შესაძლებელი და მასზე უარის თქმას, სავარაუდოდ, არც ერთი ქვეყანა არ აპირებს.

გარდა სამხედრო სფეროში არსებული საფრთხეებისა, არანაკლებ ქაოტური მდგომარეობაა სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროში, სადაც ტექნოლოგიურ პროცესსა და მის სამართლებრივ რეგულირებას შორის ისეთი ნაპრალი გაჩნდა, რომლის შევსება უახლოეს მომავალში შეუძლებლადაც კი გვეჩვენება. თუ ტექნიკურმა პროგრესმა განვითარების არნახულ დონეს მიაღწია, იგივეს ვერ ვიტყვით მისი სამართლებრივი რეგულირების ტემპებზე. სწორედ, სამართლებრივი სფერო აღმოჩნდა კიბერსივრცის „აქილევსის ქუსლი“, რომელმაც არაერთხელ, საკმაოდ მტკივნეულად, შეახსენა თავი მსოფლიო თანამეგობრობას. თუ კიბერ-უსაფრთხოების ტექნიკური მხარე, გარკვეულწილად, შეთანხმებაუნარიანად გვე-სახება, იგივეს ვერ ვიტყვით მის სამართლებრივ სეგმენტზე. იგი უშუალოდ უკა-ვშირდება მსოფლიოში შექმნილ არაერთგვაროვან პოლიტიკურ გარემოს და უკვე დიდი ხანია, რაც მისი განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი გახდა. სწორედ პოლიტიკურმა ნაწილმა განაპირობა კიბერუსაფრთხოების პროცესისათვის არსებითი დაბრკოლებების შექმნა და გაჭიანურება, რაც უარყოფითად აისახება აბსოლუტურად ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი, განვითარებული ქვეყნების უსაფრთხოებაზე.

ამის ნათელი დადასტურებაა 2019 წლის დეკემბერის თვეში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც იძლეოდა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონვენციის მიღების და, ამ კუთხით, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების რეალურ შესაძლებლობას. მაგრამ წარდგენილ რეზოლუციას მხარი დაუჭირა მხოლოდ 79 ქვეყანამ, 60 წინააღმდეგი წავიდა, ხოლო 33-მა გაურკვეველი მოსაზრებებით, თავი შეიკავა.<sup>1</sup> სამწუხარო კი ისაა, რომ მსგავსი შემთხვევები მრავლადაა და სამომავლო პერსპექტივაშიც, რაიმე დადებითი ტენდენცია არ იკვეთება.

---

1. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა. აშშ. ნიუ-იორკი.

უფრო მეტიც, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ, პირდაპირ დაადა-  
ნაშაულა რუსეთის ფედერაცია მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის გამო. „რუსეთს  
ბრალი მიუძღვის მსოფლიოში შექმნილი მძიმე კიბერუსაფრთხოების გამო. რუსეთის  
მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები და რეალურად გადადგმული ნა-  
ბიჯები ერთმანეთს არ ემთხვევა და მიმართულია სიტუაციის კიდევ უფრო დესტ-  
აბილიზაციისკენ.“<sup>2</sup> არანაკლებ კრიტიკულია რუსეთის მხრიდან აშშ-ს მისამართით  
გაკეთებული კრიტიკული შენიშვნებიც. როგორც ვხედავთ, ორ ზესახელმწიფოს  
შორის არსებული უთანხმოება იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ კიბერუსა-  
ფრთხოების დღემდე არსებული კონცეფციები და სტრატეგიული ხედვა არა-  
სტაბილური და მყიფეა. უმეტეს შემთხვევაში, ხდება კონვენციებით აღებულ ვალ-  
დებულებათა დემონსტრაციული უგულვებლყოფა, რაც თავის ნეგატიურ გამოვ-  
ლინებას კონკრეტულ ყოფით ურთიერთობაშიც ჰპოვებს ასახვას, არაფერს ვამბობთ  
ეროვნული უსაფრთხოების ასპექტებზე.

საკითხის დრამატულობას ხელს უწყობს კიბერსივრცის სპეციფიკური ხასიათი,  
რომლისთვისაც არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს სახელმწიფოს ეკონომიკურ  
მდგომარეობასა და დომინირებას პოლიტიკურ სარბიელზე. საქმე იმაში გახლავთ, რომ  
კიბერშეტევის განხორციელება, მიუხედავად მისი განხორციელების რადიუსისა და  
მასშტაბისა, არა მარტო სახელმწიფოთა, არამედ ცალკეულ ორგანიზაციათა და  
ფიზიკურ პირთა შესაძლებლობაშიც მოიაზრება. ეს ვითარება კი უთანაზომოდ ზრდის  
საფრთხის, როგორც გავრცელების, ისე წარმომავლობის წრეს.

ამიტომ, ადრე თუ გვიან, მსოფლიო თანამეგობრობას მაინც მოუწევს საერთო  
ენის გამონახვა, კონფრონტაციაზე უარის თქმა და არსებულ გამოწვევებთან გამკლავ-  
ება. მოვლენათა სხვაგვარი განვითარება, ფაქტობრივად, შეუძლებელიცაა და  
დაუშვებელიც.

როდესაც საუბარია კიბერუსაფრთხოებაზე, იმთავითვე უნდა ითქვას, რომ იგი,  
უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და  
კანონმდებლობის ჰარმონიზაციას, რომლის გარეშეც ყოველგვარი მცდელობა  
განწირულია მარცხისთვის.

---

2. The Wall Street Journal N-2. 20 May 2020.

ამასთან, მიმდინარე პროცესი, რომელიც მოიცავს რა სოციალური კონტროლის ისეთი, არასასურველი, მექანიზმების ამოქმედებას, როგორც კრიმინალიზაციაა, ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო კანონ-მდებლობას და აკმაყოფილებდეს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მოთხოვნებს.

**საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება** - კიბერდანაშაულებრივ, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა, სოციალურად საშიშ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ გარემოების დადგენა, თუ უმართლობის რომელ კატეგორიაში მოიაზრება დანაშაულის ესა თუ ის კრიმინალიზებული შემადგენლობა. ეს, ერთი მხრივ, უკავშირდება სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სისტემური და სტრუქტურული მოწესრიგების საკითხს და, მეორე მხრივ, აუცილებელია კრიმინალიზაციის პროცესის სამართლებრივი პრინციპებისადმი შესაბამისობის კუთხითაც.

მოცემულ შემთხვევაში, პრობლემის არსიკა და აქტუალობაც იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებელი მიმართავს რა „კიბერდანაშაულის“ კრიმინალიზაციას, არ ახდენს მის საკანონმდებლო განმარტებას. იგი შემოიფარგლება მხოლოდ „კომპიუტერული დანაშაულის“ დეფინიციით, რომელიც, მართალია, მოიაზრება კიბერსივრცის ფარგლებში, მაგრამ სრულად ვერ გამოხატავს მის შინაარსს. იმის გამო, რომ დოქტრინაში, „კიბერდანაშაულის“ ცნების ერთიანი გაგება და დეფინიცია არ არსებობს, ამის გამო გაუგებარი რჩება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავებში ასახულ დანაშაულის შენადგენლობათა შინაარსი და ის, თუ უმართლობის რომელ სახეს უნდა მივაკუთვნოთ იგი. ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადგილი აქვს უმნიშვნელო თეორიულ ხარვეზს, რომელიც კანონის ინტერპრეტაციის გზით შეიძლება აღმოიფხვრას, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ „კიბერდანაშაულის“ ცნების გაურკვეველი სამართლებრივი ბუნება, ყოველგვარ საზრისს უკარგავს კრიმინალიზაციის პროცესს. კანონმდებლის ნება, რომელიც მიმართულია ისეთ ქმედებათა კრიმინალიზაციისკენ, რომელთა განხორციელება ხდება კიბერტექნოლოგიების გამოყენებით ან მისი საშუალებით, დავას არ იწვევს. მაგრამ, რომელი შემადგენლობა განეკუთვნება კიბერდანაშაულებრივს ( თუნდაც, კომპიუტერულ დანაშაულს) და რომელი არა, გაურკვეველი რჩება და ქმნის სერიოზულ პრობლემებს ქმედებათა, როგორც საკანონმდებლო ( კრიმინალიზაციის),

ისე სასამართლო კვალიფიკაციის დროს. ამასთან, კრიმინალიზაციის მსგავსი პროცესის უარყოფითი შედეგი იმაშიც მქდავანდება, რომ იგი თეორიულ დონოზეც კი, ქმნის დანაშაულთა ერობლიობით კვალიფიკაციის გაუმართლებელ პრეცედენტს, მაშინ როდესაც ზოგიერთი ტრადიციული შემადგენლობის განხორციელებისას, კიბერტექნოლოგიების თანმდევი მონაწილეობა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოებისა, მხედველობაში არ მიიღება. ასეთ შემთხვევაში, „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა მიმართ სახელმწიფოს მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა სრულყოფილად ვერ ასრულებს თავის მიზნებს.

აქტუალურია საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ემხრობა „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას, რაც იდეაშივე წარმოუდგენელია; როგორაა შესაძლებელი სატრანსპორტო, ენერგეტიკის, თავდაცვის და ნებისმიერი მიმართულების სფეროებში გაუფრთხილებლობის ინსტიტუტის გავრცელება და არა კიბერცივრცის წიაღში წარმოშობილ ქმედებათა მიმართ?

საკითხი თეორიულად იმდენადაა პრობლემატური, რამდენადაც პრაქტიკულად და მოითხოვს დაუყოვნებლივ სამართლებრივ რეგულირებას.

**კვლევის მიზანი** - კვლევის მიზანია „კიბერდანაშაულებრივ“ (კომპიუტერული დანაშაულის) ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში, ისეთ სამართლებრივ და საკანონმდებლო საქმიანობის ტექნიკურ საკითხთა გადაწყვეტა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის უმართლობათა სამართლებრივ - სისტემურ მოწესრიგებას, რომელსაც მოკლებულია ეროვნული და არა მარტო ეროვნული სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობა. ამასთან, განისაზღვრება იმ სპეციპიკურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მსგავსი კატეგორიის ქმედებათა კლასიფიკაცია, ისევე როგორც დადგენა იმისა, თუ უმართლობის რა სახესთან გვაქვს საქმე. პარალელურად, შესაბამის სამართლებრივ პრინციპებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა გაირკვეს ამ ქმედებათა შემადგენლობის ცალკეულ ელემენტთა თავსებადობის საკითხი, ისევე როგორც მისი გავრცელების ინტენსივობა. მეცნიერულ დასაბუთებას დაექვემდებარება გაუფრთხილებლობის ინსტიტუტის გავრცელების შესაძლებლობა ისეთ ქმედებათა მიმართ, რომელსაც კიბერდანაშაულად მოვიხსენიებთ. პასუხი გაეცემა კითხვას, თუ რატომ არ

უშვებს ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მსგავს ქმედებათა გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას.

**კვლევის თეორიული საფუძვლები** - კიბერსივრცესთან დაკავშირებული საკითხები და მისი სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკა, განსაკუთრებით, ახალი სისხლისსამართლებრივი კონსტრუქციების შექმნა, ანუ კრიმინალიზაცია, რომელიც რთული და კომპლექსური ხასიათის სამართალშემოქმედებითი პროცესია, მოითხოვს არა მარტო სამართლებრივი მეთოდების, არამედ მომიჯნავე და სხვა, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, როგორც მეთოდების, ისე მონაცემთა გათვალისწინებას. ეს, სწორად ისეთი სფეროა, სადაც ყველაზე აშკარად იკვეთება ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაახლოვებისა და შერწყმის კონტურები, რომელიც დიმენსიოლოგიის სფეროა. რა თქმა უნდა, საკითხის კვლევისას გამოყენებულია ტრადიციული სამართლებრივი მეთოდები: სამართალმზომელობის ანუ ლეგიმეტრიის, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური, ისტორიული, დედუქციური, ინდუქციური, ფიქციის და მრავალი სხვა, რადგანაც კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახეზეა სამართლებრივი კვლევის მეთოდთა საჭიროების მრავალფეროვნება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფესორ მ. უგრეხელიძის მიერ დაფუძნებული და განვითარებული „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში,“<sup>3</sup> რომელიც ერთგვარი ორიენტირის ფუნქციას ასრულებს კვლევისას და ქმნის მყარ სამართლებრივ კარკასს. ამასთან, სტატისტიკურ მეთოდთან ერთად, ხდება ამ პრინციპის რეალიზაცია და ხორცშესხმა, ცალკეულ სისხლის-სამართლებრივ კონსტრუქციათა ჩამოყალიბებისას. ამიტომ, დანაშაულის შემადგენლობათა ელემენტების ანალიზისას, მათ შორის არა მარტო თავსებადობის საკითხს მიექცევა ყურადღება, არამედ იმასაც, თუ რამდენად დამახასიათებელი და ტიპურია იგი სოციალური ურთიერთობებისთვის.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება-ანალიზისას, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობა ერთობ არა-

---

3. მ. უგრეხელიძე. „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში“ კსუ „მაცნე“ N-11. 2017 წ.

ეფექტიანია, რადგანაც იგი მიახლოვებითაც ვერ ასახავს საქმის რეალურ მდგომარეობას. ამიტომ, კვლევის პროცესში გამოიყენება ანონიმური სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი.

**მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა** - მეცნიერული კვლევის სიახლეს წარმოადგენს „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესის სრულყოფა, რომელიც მოაწესრიგებს ამ კატეგორიის დანაშაულის შემადგენლობათა სისტემურ-სამართლებრივ მოწესრიგებას. კერძოდ, სამართლებრივი კონსტრუქციები უსისტემოდაა გაბნეული სისხლის სამართლის კოდექსში და ქმნის ნორმათა ისეთ კონკურენციას, რომელიც ართულებს კანონის ინტერპრეტაციას. ამიტომ, მიზანშეწონილია, ტრადიციულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა ფარგლებში, კიბერტექნოლოგიების ელემენტები მიჩნეულ იქნეს, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება. შესაძლებელია, ეს ელემენტი, როგორც დამამძიმებელი გარემოება, გათვალისწინებულ იქნას ამა თუ იმ თავის ან კარის ნაწილში ან/და სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში.

კრიმინალიზაციის ასეთი მიმართულებით წარმართვა თავიდან აგვაცილებს ქმედებათა როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო კვალიფიკაციის პრობლემებს. მართლაც, კიბერტექნოლოგიებს, დანაშაულის შემადგენლობაში იმაზე მეტი ფუნქცია არ აკისრია, ვიდრე შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტების. ეს ელემენტები, მიუხედავად უმართლობათა სახესხვაობისა, პოტენციურად ახლავს თან ნებისმიერ დანაშაულს. კიბერსივრცე, რომელიც უკვე გვთავაზობს სოციალურად საშიშ ქმედებათა უამრავ ვარიანტს, მათი ყოველ ჯერზე კრიმინალიზება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება. ამიტომ, კვლევაში შემოთავაზებული ხედვა, ამ კუთხითაც სიახლეა და გააჩნია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

**ლიტერატურის მიმოხილვა** - სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ამ საკითხის ირგვლივ, უცხოურ და ეროვნულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები თუ ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებები.

კვლევა ეყრდნობა ისეთ ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებს, როგორცაა, პროფესორ მინდია უგრეხელიძის მიერ დაფუძნებული და განვითარებული



„ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში.“ ეს პრინციპი წარმოადგენს ერთგვარ სამართლებრივ ორიენტირს, რომელიც ბოლომდე გასდევს სადისერტაციო ნაშრომს და ასრულებს გზამკვლევის ფუნქციას.

მნიშვნელოვანია პროფესორ გურამ ნაჭყებიას მონოგრაფიული ნამუშევრები: „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი,“ „სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება,“ და „სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი.“ აღნიშნულ მონოგრაფიებში განვითარებული მსჯელობა და მეცნიერულად დასაბუთებული დებულებები, ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს კრიმინალიზაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი, რომელიც კიბერსივრცის უნივერსალობას ეხება, კარგადაა ნაჩვენები პროფესორ ზვიად გაბისონიას უახლეს სახელმძღვანელოში: „ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი.“ სწორედ, ეს ნაშრომი წარმოაჩენს კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესების, როგორც დადებით მხარეებს, ისე უკვე არსებულ და პოტენციურად საშიშ ქმედებათა წარმოშობის ნეგატიურ პერსპექტივას. ამიტომ, ჩვენს მიერ განვითარებული მსჯელობა, რომელიც საინფორმაციო სივრცეში ადამიანის დესტრუქციულ საქმიანობას ეხება, სრულ შესაბამისობაშია სახელმძღვანელოში არსებულ ნააზრევთან.

კვლევისას გამოყენებულია რ. ციპელიუსის, ჩ. ბეკარის, მ. ვასმერის, ე. ფრომის, მასუდას, ბელის, ა. ლლონტის, უ. ბეკის, მ. ფრიმენის, ქ. კენის, ლ. ბოძაშვილის, ნ. კოხრეიძის, უ. ზაქაშვილის, ტ. ტროპინინას, ლ. კოგანისა და სხვა მეცნიერთა კვლევის მონაცემები და დებულებები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 4 ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომის სრული მოცულობაა 160 გვერდი.

## თავი 1. კიბერდანაშაულის გენეზისი

ადამიანური ყოფის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე იგი იყენებდა, აგროვებდა და გადასცემდა ინფო-რმაციას. დროში გაწელილი და უწყვეტი ეს პროცესი, განოყოფელი ნაწილია კაცობრიობის საქმიანობისა და, სწორედ, იგი განასხვავებს მას ბუნების სხვა არსებათაგან. ინფორმაციის გაცვლა-გადაცემა, ანუ ინფორმაციულობა, დამახა-სიათებელია სოციუმის ფაქტობრივად ყველა სფეროსათვის, დაწყებული ეროვნული უსაფრთხოებიდან, დამთავრებული ცალკეულ ინდივიდთა პირადი საქმიანობით. ამასთან, ინფორმაციულობისა და მისი განვითარების დონე წყვეტდა, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფოთა დომინირების საკითხს საერთაშორისო ასპარეზზე, განსაზღვრავდა ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლის ვექტორს.

სწორედ, საინფორმაციო საშუალებების განვითარებასა და გლობალიზაციას უკავშირდება სოციალურად საშიშ ქმედებათა მრავალფეროვნების წარმოშობა, რომლის მასშტაბების არა თუ ზუსტი, არამედ მიახლოებით დადგენაც შეუძლებელი აღმოჩნდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ არსებითად შეცვალა დანაშაულის შესახებ მანამდე არსებული ტრადიციული წარმოდგენები და გადაიყვანა იგი ისეთ განზომილებაში, სადაც რაიმე საიმედო პროგნოზირებაზე საუბარი რთულია.

პირველი კიბერდანაშაულის თარიღი და დრო არავისთვის არაა ცნობილი, მაგრამ შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ პირველ ქსელურ შეტევებზე, რომე-ლსაც ადგილი ჰქონდა ისტორიაში.

**1971** - ჯონ დრეიფერი ითვლება პირველ სატელეფონო „ფრეიკერად“, რომელმაც შექმნა მოწყობილობა - „Blue Box“ და ახორციელებდა უფასო ზარებს.

**1981** - იან მერფი, ცნობილი როგორც „Captain Zap“- პირველად ისტორიაში, სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ კიბერდანაშაულში. მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა იმაში, რომ უკანონოდ შეაღწია სატელეფონო კომპანია „AT & T“- ის ქსელში და შეცვალა სატელეფონო საუბრების ტარიფიკაცია, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ღამის ტარიფებით, დღის განმავლობაში საუბარი და

პირიქით. სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი ცნობილ იქნა რა დამნაშავედ, მიესაჯა 2,5 წლის ვადით პირობითი მსჯავრი და 1000 აშშ დოლარი ჯარიმა.

**1981** – 15 წლის სკოლის მოსწავლემ შექმნა და ქსელში ჩაუშვა ვირუსი „ELK Cloner” რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

**1986** - ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი: „თაღლითობა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.”<sup>4</sup>

პირობითად, შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება კიბერდანაშაულის, როგორც სოციალურად საშიში ქმედების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ერთი რამ უდავოა. კერძოდ ის, რომ მსგავსი კატეგორიის ქმედებები დასაბამს იღებს საინფორმაციო სფეროდან და პერმანენტულად იძენს გლობალურ მასშტაბებსა და უნივერსალობას. აქედანვე ისახება კიბერდანაშაულის, როგორც სამართლებრივი ტერმინისა და შემდგომ, როგორც ცნების შემოღების ტენდენცია. იგი არაერთხელ შეგვახსენებს თავს და მოგვევლინება მრავალი სამართლებრივი დილემის გამომწვევ მიზეზად. აღნიშნულ საკითხს, დეტალურად, ქვემოთ შევხებით, როდესაც განვიხილავთ კიბერდანაშაულის სისტემური მოწესრიგების საკითხს. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დღემდე კიბერდანაშაულის სრულყოფილი განმარტება არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს მისი საკანონმდებლო დეფინიცია. ეს გარემოება კი სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არაფერს ვამბობთ კანონგამოყენებით სფეროზე, სადაც სახეზეა განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა.

თავად ტერმინი, კიბერდანაშაული ( Cybercrime ) მის ინგლისურენოვან ვარიანტში გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე კომპიუტერული დანაშაული ( Computer Crime ) და გაცილებით ახლოსაა ისეთ მოვლენასთან, როგორცაა საინფორმაციო სფეროში ჩადენილი დანაშაული. ამას ადასტურებს ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონიც, რომელიც წინდებულ „Cyber-”ს მიაკუთვნებს რთულ სიტყვათა იმ კომპონენტს, რომელიც გულისხმობს მონაცემთა ბაზას, სისტემებს, ნებისმიერ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ინტერნეტქსელებსა თუ

---

4. [ob: le-vpn.c/cybercrime-history](http://le-vpn.c/cybercrime-history)

ელექტრონული ქსელების ნებისმიერ ტექნოლოგიურ ქსელებს.”<sup>5</sup>.

ანალოგიური განმარტებაა მოცემული კემბრიჯის ლექსიკონში, რომლის მიხედვითაც „Cyber,” თავის თავში გულისხმობს კომპიუტერულ სისტემას, ინტერ-ნეტს, ნებისმიერ საინფორმაციო ქსელს.”<sup>6</sup>.

როგორც არ უნდა იყოს მოვლენათა განვითარების დინამიკა, ტერმინი - კიბერდანაშაული, საწყის ეტაპზე, შემოღებულ იქნა კომპიუტერული სისტემისა და ინტერნეტის გავრცელებასთან ერთად და სრულად შეესაბამებოდა იმდროინდელ სიტუაციას. ამასთან, კომპიუტერულ ტექნოლოგიათა განვითარების კვალდაკვალ დამის წიაღში წარმოშობილ სოციალურად საშიშ ქმედებათა გავრცელების პარალელურად, დაიწყო მისი სხვადასხვა მიმართულებით შესწავლა.

დღეის მდგომარეობით, ქმედებათა ისეთი სახეობა, რომელსაც ჩვენ კიბერდანაშაულს მივაკუთვნებთ, შეისწავლება სისხლისსამართლებრივი, პროცესუალური, კრიმინოლოგიური, კრიმინალისტიკური და მრავალი სხვა მიმართულებით. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, არ არსებობს კიბერდანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრება, მისი ერთიანი გაგება.

ამიტომ, რათა უფრო აშკარად იქნას გამოკვეთილი კვლევის მიზანი, აუცილებელია ამ მოვლენის ანალიზი, მისი წარმოშობა-განვითარების ისტორიულ ასპექტში. როდესაც საუბარია რეტროსპექტულ ჭრილში, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ დანაშაულთა შესწავლაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ პროცესების განვითარების დინამიკა, პირველ ეტაპზე, აბსოლუტურად განსხვავებული იყო მსოფლიო ქვეყნებს შორის. რა თქმა უნდა, კიბერტექნოლოგიების სამშობლოდ, სამართლიანად, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა მივიჩნიოთ, სადაც საზოგადოების კომპიუტერიზაცია იმთავითვე გახდა მათი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირში, კიბერტექნოლოგიები სახელმწიფოს ექსკლუზიურ გამგებლობაში იმყოფებოდა. ამიტომ, კიბერდანაშაულის წარმოშობის საკითხშიც,

---

5.Oxford English Dictionary. [ electronic resource] [shorturl.at/hnpMX](http://shorturl.at/hnpMX)

6.Cambridge Advansed Learners Dictionary. [electronic resorse] [shorturl.at/bzDOO](http://shorturl.at/bzDOO)

ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერობს. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია მეცნიერული შეხედულებები ამ ფენომენის სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ შინაარსზე. თუ საწყის ეტაპზე, მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული მსგავსი ხასიათის ქმედებები კამპანიურ ხასიათს ატარებდა და სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, დღევანდელ რეალობაში, კიბერდანაშაულმა თავის ქოლგის ქვეშ მოაქცია სოციალური ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფერო, დაწყებული ყოფითი ურთიერთობიდან, დამთავრებული სამხედრო კომპონენტით. სავარაუდოდ, არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც კიბერუსაფრთხოება არ იყოს აყვანილი ეროვნული უსაფრთხოების რანგში და არ ექცეოდეს მაქსიმალური ყურადღება.

ყველაფერი კი დაიწყო ტექნოლოგიური განვითარების გარიჟრაჟზე, მე-XX საუკუნის მიწურულსა და XXI-ე საუკუნის დასაწყისში. ზოგადად, გამოყოფენ კომპიუტერული ტექნიკის განვითარების ხუთ ეტაპს: მექანიკური კომპიუტერების თაობას და კომპიუტერები, რომლებიც მუშაობდნენ ელექტრონათურებზე (ENIAC), ტრანზისტორული კომპიუტერები (ISM 7094), ინტეგრალურ სქემაზე მომუშავე კომპიუტერები ( IBM 360 ), პერსონალური კომპიუტერები ( Intel ) და ეგრეთ წოდებული უხილავი კომპიუტერები.

**ნულოვანი თაობა, ანუ მექანიკური კომპიუტერები ( 1642 – 1945 ).** პირველი ადამიანი, რომელმაც შექმნა გამომთვლელი მანქანა, იყო ფრანგი მეცნიერი, ბლეზ პასკალი. იგი წარმოადგენდა მარტივ მექანიზმს, რომელიც ასრულებდა რამოდენიმე არითმეტიკულ გამოთვლას.

30 წლის შემდეგ, გამოჩენილმა გერმანელმა მათემატიკოსმა, გოდფრი ვილ-ჰელმ ლეიბნიცმა ( 1646 – 1716 ) შექმნა მეორე მექანიკური მანქანა, რომელსაც შეეძლო ციფრების გაყოფა და გამრავლება. შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა თანამედროვე კალკულატორის პროტოტიპს.

150 წლის შემდეგ, კემბრიჯის უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორმა, ჩარლზ ბეიჯმა ( 1792 – 1871 ), რომელიც ასევე სისწრაფის გამზომის გამომგონებელი იყო, გააუმჯობესა პასკალის მანქანა და ერთ ალგორითმზე მომუშავე მექანიზმის ნაცვლად შექმნა ოთხკომპონენტისანი აპარატურა, რომელსაც შესაბამისი არით-

მეტიკული ოპერაციების განხორციელება შეეძლო. ამასთან, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით მან მიიწვია ადა ავგუსტ ლოვლეისი, რომელსაც, პირობითად, შეიძლება ეწოდოს პირველი პროგრამისტი ქალი. სწორედ, მის საპატივსაცემოდ დაერქვა პროგრამირების თანამედროვე ენას მისი სახელი - Ada.

მოგვიანებით, გამომთვლელი მანქანის კონსტრუირება მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში - ჯონ ათანასოვის გამომთვლელი მანქანა (John Atanasoff), რომელიც იმ დროისთვის (1942) წარმოადგენდა ყველაზე სრულყოფილ მექანიკურ კონსტრუქციას.

შედარებით სრულყოფილი კომპიუტერული მანქანის შექმნა, მაინც, უკავშირდება ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორანტის - ჰოვარდ აიკენის სახელს, რომელმაც, მუშაობდა რა სადოქტორო დისერტაციაზე, 1944 წელს, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, დაამთავრა მისი კონსტრუირება.

**პირველი თაობა - ელექტრო ნათურები ( 1945 – 1955 ).** ელექტრონული კომპიუტერების შექმნას საფუძველი მეორე მსოფლიო ომმა ჩაუყარა. აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით, ჯონ მოუშლიმ, 1946 წელს შექმნა პირველი ელექტრონული კომპიუტერი, რომელიც გამიზნული იყო სამხედრო დანიშნულებისთვის, მაგრამ იმის გამო რომ ომი დამთავრდა, შემდგომი დაფინანსება შეწყდა.

იმ პერიოდშივე, ჯონ ნეიმანის მიერ იქმნება პირველი სრულყოფილი ელექტრო-გამომთვლელი მანქანა, რომელიც დღესაც მისი სახელითაა ცნობილი.

**მეორე თაობა - ტრანზისტორები ( 1955-1965 ).** ტრანზისტორების გამოგონება უკავშირდება „Bell Laboratories” თანამშრომლებს, უოლტერ ბრათთეინსა და ვილიამ შოკლერს, რომელთაც 1956 წელს მიიღეს ნობელის პრემია ფიზიკის დარგში. ამ სიახლემ მოახდინა რევოლუციური ცვლილებები კომპიუტერული წარმოების სფეროში და 50-იანი წლების ბოლოსთვის, ტრანზისტორებმა მთლიანად განდევნა ნათურების ეპოქა. პირველი ტრანზისტორული კომპიუტერები შეიქმნა მასაჩუსეტის ტექნიკურ ინსტიტუტში და იწოდებოდა TX-0 (Transistorized experimental computer 0), ექსპერიმენტული ტრანზისტორული გამომთვლელი მანქანა.

**მესამე თაობა - ინტეგრალური სქემა ( 1965 – 1980 ).** 1958 წელს, რობერტ ნოისის მიერ ინტეგრალური სქემის გამოგონებამ შესაძლებელი გახადა ერთ მიკროსქემაზე

ათეულობით ტრანზისტორის განთავსება. აქედან იწყება კომპიუტერული წარმოების ახალი ერა, რომელსაც მოჰყვა კომპიუტერულ სისტემათა თვისებრივად განსხვავებული სრულყოფა.

**მეოთხე თაობა - დიდი მოცულობის ინტეგრალური სქემები ( 1980 – 19901).** მოცემულ პერიოდში შექმნილმა დიდი მოცულობის ინტეგრალურმა სქემებმა უკვე იმის შესაძლებლობაც გააჩინა, რომ ერთ მიკროსქემაზე განთავსებულიყო მილიონობით ტრანზისტორი. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა საზოგადოების კომპიუტერიზაცია, კომპიუტერის საგრძნობლად გაიაფების გამო.

**მეხუთე თაობა - უჩინარი კომპიტერები.** 1981 წელს იაპონიის მთავრობამ, კერძო კომპანიებს გამოუყო იმ დროისთვის სოლიდური თანხა, 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რათა მომხდარიყო მეხუთე თაობის კომპიუტერის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ხელოვნური ინტელექტის ფენომენზე. იაპონიის ამ ნაბიჯით შეშინებულმა ამერიკისა და ევროპის კომპანიებმა, შესაბამისად მოსთხოვეს მთავრობებს დაფინანსება. საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ამ კვლევას, იმ პერიოდში, რაიმე სახის არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ, მეხუთე თაობის კომპიუტერად შეიძლება მიჩნეულ იქნას 1993 წელს, „Apple Newton” მიერ შექმნილი კომპიუტერი, რომელიც საკმაოდ კომპაქტური და გაუმჯობესებული იყო.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, ტექნოლოგიური პროცესი, მუდმივი განვითარების უწყვეტი ჯაჭვია, რომელიც უფრო კომფორტულს ხდის სამყაროს ადამიანებისთვის, მაგრამ, ამის პარალელურად, მიმდინარეობს ისეთი პროცესებიც, როგორცაა ტექნოლოგიების არამართლზომიერი გამოყენება, სხვადასხვა სოციალურად საშიში ქმედებების, ანუ დანაშაულის ჩასადენად. ამდენად, საზოგადოების სრული კომპიუტერიზაცია იმის ხელსაყრელი პირობაცაა, რომ დამნაშავეთა ხელში აღმოჩნდა თვისებრივად ახალი, ხელმისაწვდომი, იაფი და ეფექტიანი დანაშაულის ჩადენის საშუალება. ამასთან, ინფორმაციამ, როგორც ასეთმა, შეიძინა თვისებრივად ახალი მნიშვნელობა და იქცა მოხმარების საგნად, რომლის დანაშაულებრივი ხელყოფა ისევე შესაძლებელი, როგორც ნებისმიერი სხვა სიკეთის.

---

7. ინტენეტ რესურსი. [shorturl.at/pvM13](http://shorturl.at/pvM13)

გარდა ამისა, კომპიუტერული დანაშაულის გენეზისი და განვითარება წარმოადგენს ერთი ურთიერთდაკავშირებული გზით: „ერთი მხრივ, წარმოიშვა მანამდე უცნობი დანაშაულებრივი ქმედებები და, მეორე მხრივ, კომპიუტერული ტექნო-ლოგიების გამოყენებით თავი იჩინა ისეთი ქმედების ჩადენამ, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა დაწესებულია სისხლის სამართლის კანონით.”<sup>8</sup>

კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესების უნივერსალობასა და მომეტებულ სოციალურ საშიშროებაზე ჩვენ არა ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ, ამჯერად, აღვნიშნავთ იმას, რომ კიბერდანაშაულებრივი ხასიათის ქმედებებმა მთლიანად დაიპყრო სოციალური საქმიანობის ყველა სფერო და იქცა გლობალურ მოვლენად, რომლისთვისაც არ არსებობს დროისა და სივრცის ხელისშემშლელი გარემოებები. ამის თვალსაჩინო მაგალითია „ნასას“ ასტრონავტი ქალის, ენ მაკკლეინის მიერ 2019 წელს, კოსმოსური სადგურიდან, მისი მეუღლის პირადი ანგარიშის სავარაუდო გატეხვის ფაქტი<sup>9</sup>. მომხდარი, მიუხედავად მისი სამართლებრივი შედეგებისა, იმის პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ კიბერდანაშაულის პოტენციური შესაძლებლობები არ შემოიფარგლება მხოლოდ პლანეტარული მასშტაბებით.

განსაკუთრებული ზემოქმედება იქონია კიბერტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებმა მსოფლიო უსაფრთხოების მდგომარეობაზე. მართლაც, ცივი ომიდან მოყოლებული, დღევანდელ დრომდე, თუ მსოფლიო უსაფრთხოების ბალანსს უზრუნველყოფდა სახელმწიფოთა გამგებლობაში არსებული ბირთვული შეიარაღების იმ არსენალის არსებობა, რომელიც იმთავითვე ქმნიდა ურთიერთგანადგურების უპირობო გარანტიას და ამით სახეზე იყო შემაკავებელი მექანიზმების ერთგვარი ფსიქოლოგიური განცდა, ამას ვერ ვიტყვით უკვე არსებულ რეალობაზე. კიბერტექნოლოგიები მოგვევლინა იმ კატეგორიად, რომლის განუსაზღვრელი შესაძლებლობების კონტროლი და, მით უმეტეს, სრულყოფილი მართვა შეუძლებელი აღმოჩნდა. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სამხედრო

---

8.Тропинина Т. Л. – Борьба с киберпреступностью. Возможно ли разработка универсального механизма.

Международное правосудие N-3. Ст. 86

9. იხ. ინტერნეტრესურსი: [shorturl.at/IGJX9](http://shorturl.at/IGJX9)



შეიარაღების სრული კომპლექტაციის ფუნქციონირებას კიბერტექნოლოგიები განსაზღვრავენ, მაშინ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს კაცობრიობის მოსალოდნელი, არაპროგნოზირებადი მომავალი. ამასთან, თუ ტრადიციული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მოითხოვდა ასტრონომიულ ფინანსებს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს და, ყველაფერთან ერთად, იგი მკაცრად სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენდა, კიბერსივრცის სოციალიზაციამ ისეთი გარემო შექმნა, როდესაც არა თუ სახელმწიფოებს, არამედ ცალკეულ ჯგუფებსა და ფიზიკურ პირებსაც ხელეწიფებათ ნებისმიერი კანონით დაცული სიკეთის დანაშაულებრივი ხელყოფა.

რეიტინგული „Wall Street Journal“-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, ჯერ კიდევ 2015 წლისთვის, 60 ქვეყანა უკვე ინტენსიურად ატარებდა ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებს კომპიუტერული სადაზვერვო პროგრამების შექმნის მიზნით. 29 ქვეყანას გააჩნია სპეციალური სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში შემავალი დანაყოფები, რომელთა უშუალო მიზანია კიბერშეტევათა სისტემების უზრუნველყოფა და განვითარება.<sup>10</sup>

ამდენად, კიბერსივრცე იქცა ერთგვარ ბრძოლის ველად, რომლის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ კომპიუტერული სისტემები და ინტერნეტი. ინტერნეტი წარმოადგენს არა უბრალოდ ინტერნეტს, არამედ იგი გვევლინება ქსელების ქსელად, რომლის მასშტაბების დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია. კიბერსივრცის კომპონენტს უნდა მივაკუთვნოთ ტრანსნაციონალური, კერძო ტიპის ქსელები, რომლებიც ამუშავებენ, ინახავენ და გადასცემენ ფულადი თანხების მოძრაობას მსოფლიო მასშტაბით; ასევე, ვაჭრობისა და საფონდო ბირჟების ფინანსურ მონაცემებს. გარდა ამისა, არსებობს კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც ადამიანთა უშუალო მონაწილეობის გარეშე უზრუნველყოფენ სხვადასხვა ობიექტების ერთმანეთთან კომუნიკაციას, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას და მის პროგრამულ დამუშავებას. ასეთ მოცემულობაში, კიბერდამნაშავეებს ხელეწიფებათ უნებართვოდ შეაღწიონ დაცულ სისტემაში და დაეუფლონ კონფიდენციალურ ინფორმაციას ან

---

10. The Newspaper. „New York Times“ N-4 ; 25 ougest 2019.

ჩანერგონ ისეთი ხასიათის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი თანხების არამართლზომიერ გადინებას. უფრო მეტიც, მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით შესაძლებელია არა მარტო სოციალურ სფეროში ნებისმიერი თვითნებობის განხორციელება, არამედ თავდაცვითი სისტემების მანიპულირებაც. ერთი სიტყვით, კიბერსივრცეში შესაძლო, სოცია-ლურად საშიშ ქმედებათა განხორციელების პოტენციალი იმდენად უსაზღვროა, რამდენადაც უსაზღვროა თავად კიბერსივრცე. ეს თვისება გვევლინება უნივერ-სალურად და ქსელების ბუნებრივი მახასიათებელია: ურთიერთკავშირი, მასშტაბები, სისწრაფე, ლატენტობა და პროცესების სირთულე. ესაა კიბერდანაშაულის სპეციფიკა, რომელიც უდავოდ ზრდის მსგავს ქმედებათა სოციალურ საშიშროებას. მართლაც, ინტერნეტის უნივერსალურმა ხასიათმა განაპირობა კიბერშეტევის ისეთი სისწრაფით განხორციელება, რომლის არა თუ აღკვეთა, არამედ ინფორმაციის მიღებაც დროში გაჭიანურებული პროცესია. ამიტომ, როგორც რეალობა გვიჩვენებს, კიბერშეტევის ანონიმურად განხორციელება სულ უფრო მარტივდება, ხოლო მისი პრევენცია კი რთულდება. ასეთი სახის ასიმეტრიულობა კი თვისებრივად ცვლის სიტუაციას, რომლის დროსაც თანამედროვე ქურდს, კიბერტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლია მოიპაროს გაცილებით დიდი თანხა, მისთვის გაცილებით უფრო ნაკლები რისკის გაწევით, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. ისევე, როგორც ტერორისტს, კომპიუტერის გამოყენებით შეუძლია ისეთი ტრაგედიის დატრიალება, რომელსაც ვერ მოახერხებს ბომბის აფეთქებით.

ამდენად, კიბერდანაშაული დღეის მდგომარეობით გვევლინება, როგორც ციფრული ეპიდემია, რომელიც კაცობრიობას აიძულებს იმოქმედონ სინქრონულად და კომპლექსურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაიმე სახის პოზიტიურ ცვლილებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

არსებული მძიმე მდგომარეობის ნათელი მაგალითია სიხშირეთა დიაპაზონის გაზრდა და ავტომატური სისტემების სრულყოფა, რაც საშუალებას იძლევა მილიონობით სპამის გასაგზავნად მსოფლიოს ნებისმიერ გეოგრაფიულ რეგიონში. „ჰაკერული შეტევების ავტომატურ რეჟიმში განხორციელება შესძლებელს ხდის ზიანის არეალის უთანაზომოდ გაზრდას, რა დროსაც, ყოველდღიურად ადგილი აქვს ათეულობით მილიონი კიბერშეტევის განხორციელებას პროგრამული მექანიზმების

განხორციელებით. ასეთი პროგრამა იქნა აღმოჩენილი ახლახან, რომელიც აკონტროლებდა თხუთმეტ მილიონ კომპიუტერს, რომელთაგან უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა მსხვილ კერძო კომპანიებს.”<sup>11</sup>.

„კიბერდანაშაულის შედეგად დატაცებულმა თანხებმა დიდი ხანია გადააჭარბა ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულის, მათ შორის ნარკოდანაშაულის შედეგად მიღებულ შემოსავლებს. კვლევებით დგინდება, რომ კიბერდანაშაულით გამოწვეული ზიანი ევროპაში ყოველწლიურად შეადგენს დაახლოვებით 750 მილიონ ევროს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ მილიარდ დოლარს.”<sup>12</sup>.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს მინაცემები არასრულია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა.

ინტერნეტქსელები წარმოადგენენ იმ პლატფორმას, რომელზედაც უშუალოდაა დამოკიდებული ინფრასტრუქტურისა და სოციალური სფეროს აბსოლუტურად ყველა სეგმენტი. უფრო მეტიც, კიბერცივრცე წარმოადგენს ომის ასიმეტრიული მიმართულებით წარმოების იდეალურ საშუალებას. გარდა ამისა, იგი ასევე გვევლინება ყველაზე ეკონომიურ, ეფექტიან და მასშტაბურ იარაღად. ასე იყო 2008 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში სამხედრო აგრესიის წინ განხორციელებული კიბერშეტევის დროს, რა დროსაც მწყობრიდან იქნა გამოყვანილი სამთავრობო და სამხედრო დანიშნულების მრავალი დაწესებულება. ამ ფაქტმა ნათლად დაგვანახა სამომავლო ომების წარმოების რეალური სახე და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად შეცვალა მისი არქიტექტურა. ასეთ ვითარებაში, თავს იჩენს ომის მაპროვოცირებელი, თვისებრივად ახალი კერა. კერძოდ, თუ ცალკეულ სახელმწიფოთა მხრიდან ომის საფრთხეების პრევენცია, გარკვეულწილად შესაძლებელია, გარდუვალი, საპასუხო და ადეკვატური რეაგირების მუქარით, ასეთი რამ სრულიად არაეფექტიანია გარკვეული ჯგუფებისა და ცალკე აღებული პირების მიმართ, რომელთაც არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ფულადი თანხები ანგარიშზე და ზოგიერთ შემთხვევაში არც კი იზიარებენ იმ სახელმწიფოს პოლიტიკას, სადაც ისინი ცხოვრობენ. ამიტომ, მათთვის რისკის ფაქტორი მინიმალურია და ზოგიერთ შემთხვევაში, მაპროვოცირებელიც კი.

---

11.12.United Nations Office of Drugs and Crime ( UNODC ), The Globalisation of Crime. A Transnational Organised Crime Treat Assessment ( Vienna: UNODC , 2010 ), p. 204. 12 იხ. იქვე. P.204.

„ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილ კიბერტექნოლოგიებს ფლობს, შემაკავებელი ფაქტორების კუთხით, ყველაზე დაუცველად გამოიყურება, რადგანაც გარკვეულ სიტუაციებში უბრალოდ შეუძლებელი იქნება თავდამსხმელის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირების მოხდენა.”<sup>13</sup>

შესაბამისად, ბირთვული იარაღისგან განსხვავებით, კიბერთავდასხმის შემაკავებელი ეფექტი უმნიშვნელო და ამორფულია.

უნდა ითქვას, რომ ინტერნეტის საყოველთაოობამ განაპირობა კიბერდანაშაულის ტრანსნაციონალური ხასიათი, რომლის კიდევ ერთი უარყოფითი თვისება იმაში გამოვლინდა, რომ ხშირად დამნაშავე და მსხვერპლი სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციაში იმყოფებიან, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენასა და პირის პასუხისმგებლობაში მისაცემად. მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მწვავე მოთხოვნებისა, ერთიანი კონსენსუსი მაინც არ არსებობს. თუ გავითვალისწინებთ კიბერთავდასხმის განხორციელების სისწრაფესა და ფარულ ხასიათს, მასზე რეაგირება უცილობლად საჭიროებს მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობას. ამ კუთხით, დღის წესრიგში დგება კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობა, რაც მინიმუმ იმის შესაძლებლობას მაინც უნდა ითვალისწინებდეს, რომ თანხვედრა იყოს ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში. წინააღმდეგ შენთხვევაში, თუ ზოგიერთი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კიბერდანაშაულის ცალკეული სახისთვის, ეს გარემოება მაშინვე მიმზიდველს ხდის ამ ქვეყანას კიბერდამნაშავეებისთვის.

„კიბერდანაშაულის სამართლებრივი რეგულირების დროს არსებული ნაკლოვანებები წარმოშობენ სხვა სახის წინააღმდეგობებს, რაც იმაში ვლინდება, რომ დაზარალებულთა სოლიდურ რაოდენობას არ ჯერა დამნაშავეის დასჯის პერსპექტივის და არ აცხადებს მომხდარის შესახებ.”<sup>14</sup>

---

13. The United States Army's Cyberspace Operations Concept Capability Plan 2016-2028, TRADOC Pamphlet 525-7-8 (Department of the Army, 22 February 2010).

14. Russell G. Smith, „Investigating Cybercrime: Barriers and Solutions,” Association of Certified Fraud Examiners, Pacific Rim Fraud Conference. Sidney 11 September 2003, p.2

როგორც ვხედავთ, აქ ვლინდება მაღალი დონის სპეციალისტთა ნაკლებობის პრობლემა, მაშინ როდესაც მეორე მხარეს წარმოადგენენ პროფესიონალები. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია და მოითხოვს განსხვავებული მიმართულებით კვლევას, თუმცა ორიოდ სიტყვით აღვნიშნავთ, რომ „ 2007 წელს ევროპის საბჭომ, კიბერდანაშაულთან ბრძოლის ცენტრის ბაზაზე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანსაც შეადგენდა ქვეყნებს შორის საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესის გააქტიურება, შესაბამისი ტრენინგების ჩატარება მოსამართლეთა და პროკურორებისთვის. ამ პროექტის პარტნიორებად გამოდიან ევროპის კომისია, თაღლითობასთან ბრძოლის ევროპული ბიურო (OLAF), ევროპის საპოლიციო კოლეჯი (CEFOL), ინტერპოლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, დუბლინის უნივერსიტეტთან არსებული კიბერდანაშაულის საგამომიებო ცენტრი, ქენტბერის ქრისტიანული უნივერსიტეტი, ბოლონიის უნივერსიტეტი და კერძო სექტორის წარმომადგენლები. 27 აპრილს, წევრმა ქვეყნებმა თხოვნით მიმართეს საბჭოს, რათა შექმნილიყო სპეციალური სააგენტო, რომელიც შეისწავლიდა კიბერდანაშაულის პრევენციის საკითხებს და შეიმუშავებდა სამართლებრივ პროცედურებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნებოდა წევრი სახელწიფოებისთვის.”<sup>15</sup>

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების მიერ, კიბერსივრცისა და კიბერდანაშაულის სისტემური კვლევისას, იკვეთება ისეთი ტენდენცია, როდესაც კიბერტექნოლოგიების კვალიფიციური მართვა წარმოგვიდგება, როგორც ვალდებულება და არა როგორც უფლება. ისევე, როგორც მფრინავისთვის აუცილებელია სპეციალური ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება ან სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ასაღებად აუცილებელია სათანადო გამოცდის ჩაბარება, ასევე, აუცილებელია კიბერსივრცეში დასაქმებულ პერსონალთა მიერ მაღალი დონის კვალიფიციური ცოდნა. ეს ვალდებულება პირველ რიგში ეხება სპეციალურ სუბიექტებს, რომელთაც სამსახურებრივად ევალებათ იგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული ცოდნისა, ამ სუბიექტების მხრიდან, გარდაუვალი იქნება შეცდომის დაშვების უამრავი ფაქტი. ამ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს,

---

15. Council of the European Union, Council conclusion concerning an Action Plan to combat cybercrime, 3010 th General Affairs council meeting, Luxembourg, 26 April 2010.

თუ რამდენადაა ეს შეცდომა მისატევებელი და თუ აღმოჩნდა, რომ იგი მიუტევებელია, მაშინ აუცილებლად დადგება მასზე სამართლებრივი რეაგირების აუცილებლობის საკითხი. გასაგებია, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, გარკვეულწილად, ითვალისწინებენ მსგავსი შემთხვევების სამართლებრივ რეგულირებას, მაგრამ აქ საუბარია ქმედების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ამიტომ, თემის განხილვისას, „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპზე“ დაყრდნობითა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას, შევეცდებით დავასაბუთოდ გაუფრთხილებლობის ინსტიტუტის შემოღების მიზანშეწონილობა კიბერდანაშაულთან მიმართებაში. მანამდე კი, რათა სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს კიბერსივრცის ფენომენის, მისი გამოვლინების უნივერსალობისა და შესაძლო მართვის შესახებ, უნდა დასახელდეს იმ სუბიექტთა წრე, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა კიბერუსაფრთხოებაზე, ზოგადად, და კიბერდანაშაულის პრევენციაზე, კერძოდ.

დღეისთვის, საექსპერტო დონეზე, ეჭვს არ იწვევს ელექტრონული ქსელების მოწყვლადობა. მაგრამ, ეს საქმის ვითარებას საერთოდ არ ცვლის, რადგანაც მასზეა დამოკიდებული ჩვენი ცხოვრებისა და განვითარების ბედი. ამასთან, შეუძლებელია მოვლენათა დინებაზე მიშვება და საკითხისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რადგან ეს იქნებოდა კაცობრიობის სრული განადგურების თუ არა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ცივილური საზოგადოების სწრაფი დასასრული. ამიტომ, არსებობენ (ყოველ შემთხვევაში უნდა არსებობდნენ) სუბიექტები, რომელთა გამგებლობაშიც შედის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა.

უპირველეს ყოვლისა, იურიდიული, პოლიტიკური, ორგანიზაციული და მორალური პასუხისმგებლობის მატარებელია მთავრობა, რადგანაც სწორედ კიბერუსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების დონეს. მთავრობაა ვალდებული განსაზღვროს პასუხისმგებლობის სფეროები და ანგარიშვალდებული სუბიექტები, განახორციელოს კონტროლი გატარებულ ღონისძიებებზე. იგი გვეკლინება ზედამხედველ და მაკოორდინირებელ რგოლად და მთლიანობაში პასუხსაც აგებს მისდამი დაქვემდებარებული დანაყოფების მიერ გაწეული სამუშაოსთვის. რაც შეეხება რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, მთავრობა უზრუნველყოფს პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობებს.

მთავრობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელების მიზნით ქვეყნის პარლამენტებში იქმნება შესაბამისი კომიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემატურ ზედამხედველობას და მოწოდებულნი არიან შეიმუშაონ კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და სახელმწიფო სტრატეგია.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და ციფრული ინფრასტრუქტურა გამოიყენება შეიარაღებული ძალების საქმიანობის ნებისმიერ დონეზე: შეიარაღებულ ძალებზე კონტროლი და სამეთაურო მართვა, სადაზვერვო ინფორმაციის მიღება და ანალიზი, ლოჯისტიკა, მართვის სისტემები და სხვა. მხედველობაში მისაღებია ომის ასიმეტრიული წარმოების ელემენტებიც, როდესაც ბირთვული შეიარაღების პოტენციური ფაქტიურად კარგავს თავის მნიშვნელობას. ამ ფონზე კი შეიარაღებული ძალების პასუხისმგებლობა საკმაოდ დიდია, რადგანაც მასზეა დამოკიდებული ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ცალკეულ ქვეყნებში შექმნილია სპეციალური სახელმწიფო უწყებები, რომელთა კომპეტენციაშიც უშუალოდ შედის კიბერუსაფრთხოების კონტროლი. აღნიშნულ საკითხზე შექმნილია სამეცნიერო კვლევების სოლიდური ოდენობა, ამიტომ დეტალურად მასზე არ შევჩერდებით.

როგორც აღვნიშნეთ, კიბერსივრცის პოტენციური საზღვრები განუზომელი და უკიდურესია. იგი ვითარდება რა გეომეტრიული სისწრაფით, იცვლის ხასიათსა და თვისებებს, რაც შესაბამისად, აძნელებს მის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას. ამის ნათელი მაგალითია ხელოვნური ინტელექტის წარმოშობა, რომელიც კიბერდანაშაულთან ერთად ქმნიან ნებისმიერი დონის დანაშაულის ჩადენის პირობებს. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით კიბერდანაშაულის ჩადენაზე, საჭიროა დავადგინოთ თავად ხელოვნური ინტელექტის წარმომავლობა, შინაარსი და განისაზღვროს მისი იურიდიულ-სამართლებრივი რაობა.

უნდა ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის პოტენციური შესაძლებლობები უკვე მრავალ სფეროში აღემატება ადამიანისას. განსაკუთრებით, ეს ითქმის მონაცემთა დამუშავების დარგზე.

დღეის მდგომარეობით, მეცნიერები ხელოვნურ ინტელექტს განიხილავენ როგორც ალგორითმად, რომელსაც გააჩნია თვითგანვითარების შესაძლებლობები და ადამიანის მიერ დასახული მიზნის ავტონომიურ რეჟიმში მიღწევის უნარი. სამანქანო სისტემების დანერგვამ (ასე ეწოდება ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ ქვესისტემას), შესაძლებელი გახადა სოციალური ცხოვრების ფაქტობრივად ყველა სფეროს ავტომატიზაცია.

ზოგადად, მიღებულია ხელოვნური ინტელექტის დაყოფა სამ კატეგორიად: სუსტი შესაძლებლობების ინტელექტი ( Narrow AI ), ძლიერი ( AIG ) და სუპერ ხელოვნური ინტელექტი ( Super AI ).

აქედან პირველი გამოიყენება მასობრივად: ხმოვანი ასისტენტობისას, სოციალურ ქსელში რეკლამის განთავსებისას, ფოტორობოტის შედგენისას და სხვა.

მეორე კატეგორია მაქსიმალურად მიახლოებულია ადამიანის ინტელექტთან და აღან მეტიუს თიურინგის კლასიკური განმარტების თანახმად, აღჭურვილია „თვითაზროვნებით.“<sup>16</sup>

ექსპერტთა გათვლებით, ამ კატეგორიის სისტემის შექმნა უნდა დასრულდეს დაახლოებით 2075 წელს, ხოლო 30 წლის შემდეგ კი დაგება სუპერ ხელოვნური ინტელექტის ხანა.<sup>17</sup>

რაც შეეხება სუპერ-ხელოვნურ ინტელექტს, მას ძალუძს არა თუ გაუთანაბრდეს ადამიანის ინტელექტს, არამედ ბევრად გადააჭარბოს მას, დამოუკიდებლად განვითარდეს, თავად შექმნას და სრულყოს ურთულესი პროგრამები.

დღეისთვის უკვე შესაძლებელია ხელოვნურ ინტელექტზე დინამიკაში დაკვირვება. თუ რამოდენიმე წლის წინ „Google Translate“, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებლად ასრულებდა ცალკეული ფრაზებისა და წინადადებების აკრეფათარგმანს, დღეის მდგომარეობით, ნეიროქსელების წყალობით, შესაძლებელია უამრავ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, წინადადებათა აზრობრივი კონტექსტის გათვალისწინება.

---

16. [shorturl.at/gzPY4](http://shorturl.at/gzPY4)

17. [shorturl.at/crwG4](http://shorturl.at/crwG4)



ხელოვნური ინტელექტი დიდი ხანია რაც გამოიყენება საფინანსო და ეკონომიკურ სფეროებში. თუ თქვენ პირველ ეტაპზე უარი გითხრეს კრედიტის გაცემაზე, იცოდეთ რომ ეს ხელოვნური ინტელექტის დამსახურებაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ სასამართლო სისტემაში, პატიმრობის ვადების ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის.<sup>18.</sup>

დღეისთვის მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მექანიზმების შემუშავების პროცესი ხელოვნური ინტელექტის სფეროში. საუბარია ე.წ. GPT-3-ზე, რომელიც წარმოადგენს ყველაზე რთულ და მოქნილ ნეიროქსელს და შეუძლია ნებისმიერი სირთულის ტექსტის გენერირება ნებისმიერ თემაზე, რომლის გარჩევაც ადამიანის მიერ შექმნილისგან რთულად გასარჩევი იქნება.

**ალგორითმი AutoML** (ავტომატიზირებული სამანქანაო სწავლება). იგი ფართოდ გამოიყენება საშუალო და მცირე ბიზნესში სათანადო სისტემებთან ინტეგრირების წყალობით (მაგალითად: ML Spase, Microsoft Azure და სხვა).

**ნეიროქსელი ALpaFold-2**, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი გარღვევაა მედიცინის სფეროში და შეუძლია მაღალი სიზუსტით განსაზღვროს ცილის სამგანზომილებიანი სტრუქტურა რამოდენიმე საათის განმავლობაში, გასხვავებით ტრადიციული მეთოდისგან.<sup>19.</sup>

არც ისაა ახალი, რომ ხელოვნური ინტელექტის IQ, მისი კრეატიულობის კუთხით, გაცილებით მაღალია ადამიანის შესაძლებლობებზე. ამის დასტურია არაერთ ვიქტორინაზე აღებული 40% მეტი ქულა SAT საკითხებზე (აშშ-ს აბიტურენტთა ცოდნის ტესტური შემოწმება)<sup>20.</sup>

---

18. By Corinne Ramey. „ Algorithm Helps New-York Decide Who Goes Free Before Trial.”

The WALL STREET JOURNAL. September 20. 2020.

19. [shorturl.at/bxL16](https://shorturl.at/bxL16)

20. [shorturl.at/efDN5](https://shorturl.at/efDN5) and-creativity-in2021

საყურადღებოა ოქსფორდის უნივერსიტეტის ექსპერტთა მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც 2026 წლისთვის ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობაში იქნება ისეთი ესეს დაწერა, რომელიც ყველა პარამეტრებით გაუთანაბრდება ადამიანის მიერ შექმნილისას; 2027 წლისთვის იგი ჩანაცვლებს სატვირთო ავტომანქანათა მძღოლებს; 2053 წლიდან განახორციელებს ქირურგიულ მანიპულაციებს, ხოლო 120 წლის შემდეგ კი შეითავსებს ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს. კომპანია „Accenture“-ს მტკიცებით, უახლოვეს მომავალში, ხელოვნური ინტელექტის წყალობით მოხდება სამუშაო ადგილების როგორც დეფიციტის, ისე ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რაც რეალურ პირობებს შექმნის მოგების 38% გაზრდისთვის.<sup>21</sup>

ცნობილი კომპანია „NNAISENSE“-ს სამეცნიერო ხელმძღვანელმა და ხელოვნური ინტელექტის ინსტიტუტის „AIRI“-ს სამეცნიერო კონსულტანტმა, იურგენ შმიდტუბერმა, AI Journey-2021-ის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ კერძო კომპანიათა სოლიდური ნაწილი ორიენტირებულია არა თავად ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე, არამედ უკვე არსებული მიღწევების კომერციალიზაციით. ამდენად, ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში ჩადებული სახსრები, სამომავლო, მაგრამ პერსპექტიული ნაბიჯია.<sup>22</sup>

საინტერესოა ევროპის საბჭოს მიერ ხელოვნური ინტელექტის განმარტება, რომლის მიხედვითაც, „ხელოვნური ინტელექტი არის მეცნიერებების, თეორიებისა და ტექნოლოგიების არსებობა, რომლის მიზანია ადამიანის კოგნიტური უნარების რეპროდუქცირება მანქანის მიერ ანუ ადამიანის მიერ შესასრულებელი რთული ინტელექტუალური დავალებების დელეგირება მანქანისთვის.“<sup>23</sup>

იმ ვითარებაში, როდესაც ჯერ კიდევ არ არის კიბერდანაშაულის სამართლებრივი რეგულირების მწყობრი სისტემა, ამას ემატება თვისებრივად ახალი

---

21. By Joe Mckendrick. AI Adoption Skyrocketed Over the Last 18 months.

Hbr.org/2021/og/ai-adoption-skyrocketed-over-the-last-18-months September 27. 2021.

22. International Industrial Application AI Summit. 2021. Nnaisense.com.

23. [shorturl.at/twEP6](https://shorturl.at/twEP6)

ფენომენის დაბადება, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ კიბერსივრცეში მოიაზრება, მაგრამ ისეთი სპეციფიკით ხასიათდება, რომელიც სრულიად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. განყენებულადაც კი, ხელოვნური ინტელექტის მახასიათებელი ნიშნების დახასიათება შორს წაგვიყვანს და ეს შეუძლებელიცაა, არა თუ ჩვენი კვლევის ფარგლებში, არამედ ნებისმიერ ფორმატში. ამიტომ, ჩვენ გამოვყოფთ იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია კვლევის მიზნებისთვის.

საერთაშორისო თანამეგობრობა, საწყის ეტაპზე, იფარგლება ხელოვნური ინტელექტის მხოლოდ ეთიკური რეგულირების მცდელობით და აყალიბებს პრინციპებს, რომელშიც გარდა ეთიკური ასპექტებისა, იკვეთება მისი სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის ტენდენციებიც. მაგრამ ეს მარტივი პროცესი არ არის, რადგანაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ის სავარაუდო ფარგლები, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს სამართლებრივ ზემოქმედებას. მაგრამ, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ეთიკურ სტანდა-რტებს გადავხედავთ, აშკარაა, რომ ხელოვნური ინტელექტის სოციალური საშიშ-როების საკითხი უქვე აქტუალურია და მოითხოვს შესაბამისი სამეცნიერო და საკანონმდებლო საქმიანობის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

ევროკავშირის ფარგლებში, ამ კუთხით განხორციელებულ საქმიანობას შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვალიფიცირებულ ექსპერტთა მიერ სანდო ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ ნორმებს ( EU High Level Expert group on Artificial intelligence – Ethical Guidelines for Trustworthy Artificial Intelligence), რომელიც გულისხმობს :1. შესაბამის ტექნოლოგიებზე ზედამხედველობას

2. ტექნოლოგიურ სიძლიერესა და უსაფრთხოებას.
3. პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელშეუხებლობა და მონაცემების მართვა.
4. გამჭვირვალობა.
5. მრავალფეროვნება, არადისკრიმინაციულობა, სამართლიანობა.
6. სოციალური და გარემოსდაცვითი კეთილდღეობა.
7. ანგარიშვალდებულება.<sup>24</sup>

---

24. [shorturl.at/rzOVZ](https://shorturl.at/rzOVZ)

როგორც ვხედავთ, თვითეული პუნქტის შინაარსი იძლევა იმის საფუძველს, რომ ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირება იმთავითვე შეიცავდეს სოციალური საშიშროების გარკვეულ ხარისხს. მთავარი ისაა, თუ რა ხარისხის საშიშროებასთან გვაქვს საქმე და რამდენად ტიპური და დამახასიათებელია იგი ყოველდღიური ცხოვრებისთვის.

ამდენად, კვლევის პროცესში ხელოვნური ინტელექტი განხილულ იქნება კიბერსივრცესთან ერთიან კონტექსტში, როგორც მისი შემადგენელი უახლესი კომპონენტი და მოხდება მისი კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის დასაბუთება.

## თავი 2. კიბერსივრცეში წარმოშობილ ქმედებათა კრიმინალიზაციის

### თეორიული საფუძვლები.

#### 2.1. კიბერსივრცეში ადამიანის დესტრუქციული საქმიანობის

##### ზოგად-სოციოლოგიური ანალიზი.

დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ადამიანური ყოფის მახასიათებელი ნიშანი ყოველთვის იყო და არის დესტრუქციულ ქმედებათა მიმართ ბუნებრივი მიდრეკილება. თუ რეალურად გავანალიზებთ კაცობრიობის ისტორიას, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ უხსოვარი დროიდან დღემდე, ეს თვისება, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მაინც რჩება პიროვნების ეგზისტენციურ შემადგენელ ნაწილად და, სავარაუდოდ, ასეთად დარჩება ყოველთვის, იმ განსხვავებით, რომ მისი გამოვლინების ფორმები, ისტორიის კვალდაკვალ, იცვლის ფორმებსა და მეთოდებს, თუმცა, შინაარსი იგივე რჩება და, არა თუ რჩება, არამედ უფრო დახვეწილსა და ეფექტიანს ხდის მას. თუ წინარე პერიოდში, დესტრუქციის გამოვლინების უმაღლეს ფორმად, ქვით ადამიანის მოკვლა შეიძლება მიგვეჩნია, მოგვიანებით იგივე ხდებოდა, უფრო დიდი მასშტაბებით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. რაც შეეხება უახლეს ისტორიას, არსებული ტექნოლოგიური მექანიზმების წყალობით, კომპიუტერის დილაკზე ხელის ერთი დაჭერით, შესაძლებელია პლანეტარული მასშტაბის კატასტროფის გამოწვევა, ისევე როგორც ცივილიზაციის სრული განადგურება.

დესტრუქციული ბუნების გამოვლინების პიკად შეიძლება ჩაითვალოს მე-XX საუკუნე, რომელიც აღინიშნა მსოფლიო ომების, სისხლისმღვრელი რევოლუციებისა და დანაშაულის თვისებრივი მრავალფეროვნებით. საინფორმაციო საშუალებების ყოველდღიურობად იქცა შემზარავ დანაშაულთა რეკლამირება და პროპაგანდა. ამასთან, ცხადია ისიც, რომ ცხოვრების იდეალური პირობების არსებობა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს დესტრუქციაზე და, უმეტეს შემთხვევაში, ხელს უწყობს მის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თანდაყოლილი თვისება-აგრესია, დანაშაულებრივი თუ, ზოგადად, არამართლზომიერი ქმედება, მრავალი მეცნიერის კვლე-

ვის საგანს წარმოადგენდა, უშუალოდ, ადამიანის დესტრუქციულ თვისებაზე არსებობს ერის ფრომის ფუნდამენტური ნაშრომი: „ადამიანური დესტრუქციულობის ანატომია.“<sup>25</sup>

როგორც აღინიშნა, დესტრუქციული საქმიანობის ცალკეული მიმართულებები ყოველთვის წამოადგენდა მეცნიერთა კვლევის ობიექტს. მისი კვლევა მიმდინარეობდა ბიოლოგების, სოციოლოგების, გენეტიკოსების, ფსიქოლოგების, ექიმების, იურისტების და სხვათა მიერ. მაგრამ, ვიწრო სპეციალობით საკითხის შესწავლა არ იძლევა პასუხს ადამიანის დესტრუქციულობის შესახებ, თუმცა მათი მონაცემების გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ ფენომენის სიღრმისეული კვლევა.

შეუძლებლად მიგვაჩნია დესტრუქციის, როგორც ადამიანური საქმიანობის ანალიზის გარეშე ჩვენს მიერ დასახული კვლევის მიზნის მიღწევა. სწორედ კიბერსივრცეა ის განზომილება, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ, აგრესიულად და დამანგრეველი შედეგებით ვლინდება ეს ფენომენი. ამიტომ, თუ არ მოხდა ამ ფენომენის სათანადოდ წარმოჩენა, ჩვენი კვლევის პროცესი ჩაიკარგება ცალკეულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა კონსტრუქციების ჩამოყალიბება - დასაბუთების უსასრულო კაზუსტიკაში და სრულყოფილი პასუხი ვერ გაეცემა მთავარ კითხვებს: რას წარმოადგენს კიბერდანაშაული? არის იგი დამოუკიდებელი სამართლებრივი უმართლობა თუ იგი უნდა მოვიაზროთ უკვე არსებულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა ფარგლებში, როგორც ამ შემადგენლობათა ობიექტური მხარის ელემენტები. ამ პრობლემის გარკვეული დოზით ანალიზს აქვს გადამწყვეტი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და მასზეა დამოკიდებული თავად კიბერდანაშაულის ცნების მიზანშეწონილობის საკითხიც.

უნდა ითქვას, რომ ადამიანის დესტრუქციულ საქმიანობაზე, როგორც მის ბუნებრივ თვისებაზე, მეცნიერულ კვლევათა ნაკლებობა შეინიშნება. უფრო მეტიც, თვით ტერმინი მხოლოდ მე-XX საუკუნეში იკიდებს ფეხს მეცნიერებაში და იძენს აქტუალობას, თუმცა უძველეს მოაზროვნეთა მიერ ინტუიციურ დონეზე მოაზრებოდა ამ ფენომენის არსებობა. სწორედ ადამიანის თანდაყოლილ ბოროტებაზე

---

25. E. Fromm. The Anatomy of Humany Destructiveness. Published 1 November 1974.

საუბრობს ძველი ჩინელი მოაზროვნე **სუნ - ცზი**<sup>26</sup>. და ძველბერძენი ფილოსოფოსი **პლატონი**.<sup>27</sup> ყურადსაღებია ქრისტიანული სწავლება თავდაპირველი ცოდვის, როგორც ადამიანური დესტრუქციის საწყისი ეტაპის შესახებ, რომელიც დღემდე მოყვება ადამიანთა მოდგმას.<sup>28</sup> საგულისხმოა, რომ ქრისტიანობა გვთავაზობს, ცოდვის შესახებ სწავლებასა და მისგან თავის დაღწევის მსოფმხედველობრივ გზებს. ადამიანის დამანგრეველ მისწრაფებებზე საუბრობს კანტიც,<sup>29</sup> მაგრამ ადამიანის დესტრუქციის მეცნიერული დასაბუთება იწყება მე-XX საუკუნიდან, გერმანელი ფსიქოლოგის, ზიგმუნდ ფროიდის მიერ, რომელმაც ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ ადამიანის დესტრუქცია განპირობებულია ადამიანისთვის დამახასიათებელი ორი ინსტინქტით: ერესისა და თანატოსის დამსახურებით.<sup>30</sup>

რამდენად საფუძვლიანია ზემოაღნიშნულ მოღვაწეთა ნააზრევი, სადავოა, მაგრამ ის კი ნათელია, რომ დესტრუქცია კარგად ერგება ტექნოლოგიურ პროგრესს, ადაპტირებს გარემოებების მიხედვით და თავსებადია კიბერსივრცესთან. ამ ორი ფენომენის ტანდემი კი თავის გამოხატულებას პოულობს კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებში და სტიმულს აძლევს მის სწრაფ გავრცელებას. შედეგად ვიღებთ ისეთ ვითარებას, როდესაც ერთი მხრივ, სახეზეა საკუთარი აზრის გამოთქმის უცილობელი უფლება, ხოლო მეორე მხრივ, კიბერსივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით, აზრის გამოთქმასაც კი შეუძლია გამოიწვიოს გამოუსწორებელი ტრაგედია. ამ ვითარებაში, თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ანუ რა უნდა ჩაითვალოს დესტრუქციად და რა არა, სირთულეს წარმოადგენს და განპირობებულია არსებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, ტრადიციული და ნების-მიერი ღირებულებებითი სტანდარტებით. საკუთარი აზრის სოციალურ ქსელებში გამოთქმის უფლება და მასთან დაკავშირებული პრობლემა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ მრავალი შესაძლო პრობლემებისა, რომელსაც ეს ვითარება გვთავაზობს.

---

26. Гуревич П. С. Человек. Смерть и бессмертие. Древний мирю Эпоха просвещения. М. 1991 с.27

27. Коган Л. Н. Зло. Екатеринбург. 1992. с.25

28. ა. ოსიპოვი. მოსკოვის სასულიერო აკადემიის სალექციო კურსი. მოსკოვი ტვ., სოიუზი” 2020.

29.Скрипкин А. П. Моральное зло в истории этики и культуры. М.1992. с. 130-131.

30. Фрейд З. Будущность одной иллюзии. Сумерки Богов. М. 1989 с.96

როგორც უკვე ითქვა, დესტრუქციის მეცნიერულ კვლევას აწარმოებდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ე. ფრომი, რომელმაც თავის მოსაზრებებს სპეციალური ნაშრომი „ გაქცევა თავისუფლებიდან” მიუძღვნა.<sup>31</sup> ფრომი მომხრე იყო დესტრუქციის სოციოკულტურული დეტერმინაციისა. მისი აზრით, დესტრუქცია წარმოადგენს აგრესიის სახესხვაობას, რომელიც დაყოფილია კეთილთვისებიან და ავთვისებიან აგრესიად. აქედან, პირველს მიაკუთვნებდა ე.წ. ფსევდოაგრესიას (მათ შორის გაუფრთხილებლობით მკვლელობას), სათამაშო აგრესია სასწავლო ტრენინგების დროს და თავდაცვითი აგრესია (მათ შორის ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია ადამიანისა და საზოგადოების თავისუფლებათა დაცვისკენ). მთლიანობაში ფრომი, კეთილთვისებიან აგრესიას მიაკუთვნებს ბიოლოგიურად ადაპტირებად მოვლენას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სასურველ არსებობას. აგრესიის მოცემული სახეობა წარმოადგენს ადამიანის საპასუხო რეაქციას, მიმართულს ინდივიდის ვიტალური ინტერესების დასაცავად. განსხვავებით კეთილთვისებიანი აგრესიისგან, ავთვისებიანი აგრესია არ წარმოადგენს ბიოლოგიურად ადაპტირებადს, იგი არ არის ჩადებული ფილოგენეზში, დამახასიათებელია ზედმიწევნით ადამიანისთვის და არ წარმოადგენს მისი ფიზიოლოგიური არსებობის საშუალებას. პირიქით, დესტრუქციას მოაქვს ბიოლოგიური ზიანი და სოციალური ნგრევა. ამის ნათელი გამოვლინებებია მკვლელობები და წამება, რომელთაც არანაირი მიზანი და გამართლება არ გააჩნია, გარდა პირადი სიამოვნებისა.<sup>32</sup>

ე. ფრომს მიაჩნია, რომ სპონტანური დესტრუქცია, მიძინებული დამანგრეველი იმპულსების გამოვლინებაა, რომელიც აქტივირდება მხოლოდ და მხოლოდ საგანგებო პირობებში ( მაგალითად, შურისძიების ნიადაგზე წარმოშობილი იმპულსი) და დესტრუქცია, დაკავშირებული ადამიანის შინაგან სტრუქტურასთან, რომელიც დამახასიათებელია ცალკეული ინდივიდისათვის (სადიზმი, ნეკროფილია).

ფრომისეული განმარტებით, დესტრუქციის სათავედ უნდა მივიჩნიოთ თვითშემოქმედების რეალიზაციის შეუძლებლობა, ნარციციზმი და იზოლირებულობის შეგრძნება, რა დროსაც, ადამიანი ცდილობს გაექცეს თავისუფლებას, რომლის წყალობითაც იგი აღმოჩნდა განმარტოვებული. თავისუფლებიდან გაქცევაა სწორად დესტრუქცია. მისდევს რა ამ ტენდენციას, რათა თავიდან მოიშოროს არასრულ-

---

31. Фромм Е. Бегство от свободы М. 1989. 32. იხ. იქვე, გვ.164.



ფასოვნების შეგრძნება, ადამიანი მიმართავს სხვათა დამორჩილებისა და განადგურების გზას.<sup>33</sup>

მიუხედავად ფრომის უდიდესი დამსახურებისა, მის კონცეფციას, დესტრუქციის კეთილთვისებიან და ავთვისებიან სახედ დაყოფისა, გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები. განსაკუთრებით მკაფიოდ იგი ვლინდება კიბერსივრცესთან მიმართებაში, სადაც სოციალურ ურთიერთობათა მრავალგვაროვნება ართულებს იმის გარკვევას თუ რომელი ქმედება უნდა იქნას მიკუთვნებული ადამიანის ვიტალურ მოთხოვნებს (კეთილთვისებიან აგრესიას) და რომელი არა. მართლაც, ამ კონცეფციის მიხედვით რთულია ზღვრის გავლება დესტრუქციასა და ადამიანის კანონიერი უფლების- აუცილებელ მოგერიებასა თუ უკიდურეს აუცილებლობას შორის. რთულია, ასევე, იმის დადგენა თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება პირადი ინფორმაციის გავრცელება ვიტალურ მოთხოვნილებად და რა შემთხვევაში იქნება იგი ავთვისებიანი აგრესია. როგორც არ უნდა იქნას განმარტებული ფრომისეული კონცეფცია, ერთი რამ უდავოა. კერძოდ, დესტრუქციის გამოვლინება ყოველთვის განპირობებულია ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მათი კლასიფიცირება ზემოაღნიშნული სქემით, ყოველთვის სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

როგორც დღევანდელმა რეალობამ დაგვანახა, მსოფლიო ცივილიზაცია შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, რომელსაც უწოდებენ პოსტინდუსტრიულს ან ინფორმაციულს. კიბერსივრცე, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ინფორმაციულობა, წარმოშობს დესტრუქციის ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საჭიროებს კვლევას და სოციალური კონტროლის ისეთი მექანიზმების ამუშავებას (მათ შორის კრიმინალიზაციის პროცესს), რომელიც სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს პროცესებს და გახდის მართვაუნარიანს.

ტერმინი „ინფორმაციული საზოგადოება“ პირველად გამოიყენა ტოკიოს ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა იუ. ხაიაშიმ, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ მისი ავტორებია ფ. მახუპი და ტ. უმესაო.<sup>34</sup>

ინფორმაციულ საზოგადოებაზე მინიშნებებს ვხვდებით მთელი რიგი ორ-

---

33. Фромм. Е. Анатомия Человеческой Деструктивности. М. 1994.

34. Социологическая энциклопедия: В. 2 т. М. 2003 ст. 90 35.

განიზაციების მიერ იაპონიის მთავრობისადმი წარდგენილ დოკუმენტებში, სადაც ინფორმაციულობა განსაზღვრულია, როგორც საზოგადოების ფართო ფენებში კომპიუტერიზაციის შეუქცევადი პროცესი, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, დაზოგავს დროსა და ენერგიას და ავტომატიზირებულს გახდის წარმოებას. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს საზოგადოების სწრაფ განვითარებას.

ზოგადად, საზოგადოების ინფორმაციულობის თეორიის ფარგლებში, გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულებები და ტენდენციები, რომლებიც ეხებოდა კიბერტექნოლოგიების მართვის პრობლემატურ საკითხებს, როგორც მისი ტექნიკური, ისე სოციალური და სამართლებრივი განხრით.

პროფესორ უ. მარტინის თვალსაზრისით, ინფორმაციულ საზოგადოებაში, ინფორმაცია :

1. გვევლინება საზოგადოების განვითარების ეფექტურ სტიმულიატორად და ხელს უწყობს „ინფორმაციული თვითშეგნების“ ჩამოყალიბებას.
2. ინფორმაცია არის ღირებული პროდუქტი, რესურსი, მომსახურება და დასაქმების წყარო.
3. ინფორმაციის თავისუფლებას მივყავართ პოლიტიკურ პროცესებამდე.
4. ინფორმაციულობა ხელს უწყობს განათლებასა და ცნობიერების ამაღლებას.<sup>35</sup>

საგულისხმოა კომპიუტერიზაციის პიონერის, ცნობილი იაპონელი მეცნიერის, პროფესორ ი. მასუდას განაცხადი, რომ „ინფორმაციული პროდუქტი, განსხვავებით ფიზიკური პროდუქტისგან, უახლოვეს მომავალში მოიპოვებს პრიორიტეტს და გახდება საზოგადოების განვითარების მთავარი ფაქტორი.“<sup>36</sup>

პოსტინდუსტრიალიზაციური კონცეფციის ფუძემდებელმა, სოციოლოგმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, დანიელ ბელმა მეცნიერულად ჩამოაყალიბა რა პოსტინდუსტრიალიზაციის თეორია, განსაკუთრებული ყურადღება

35. Martin W. Y. The Information Society. London 1988. P. 40.

36. Masuda Y. The Information Society. Washington. 1983. P. 29.

გამახვილა ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა წარმოების მოდერნიზაცია. როგორც აღინიშნა „ საზოგადოება გადავიდა საგნების წარმოებიდან, მომსახურების საწარმოო პროცესზე, სადაც მთავარ ადგილს ცოდნა და, განსაკუთრებით კი, თეორიული ცოდნა იკავებს, რომელიც უპირატესია ემპირიულ ცოდნაზე. ამიტომ, უკვე სახეზეა „ინტელექტუალური ტექნოლოგიის“ ჩამოყალიბება-განვითარება, რომელიც კომპიუტერიზაციის დამსახურებაა, ისევე როგორც ეკონომიკის, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების დაახლოვება. ეს პროცესები კი აუცილებლად საჭიროებს მკაცრ კონტროლს.”<sup>37</sup>

დანიელ ბელის მიერ ჩამოყალიბებული პოსტინდუსტრიალიზაციის კონცეფცია აღმოჩნდა თეორიულად ღრმად მეცნიერული და დასაბუთებული, რომელმაც დასაბამი დაუდო შემდგომი მეცნიერული კვლევების პერსპექტივას.

ისტორიის კვალდაკვალ, მიუხედავად მრავალი ცხოვრებისეული მოვლენის სახეცვლილებისა, არსებულმა რეალობამ განაპირობა „პოსტინდუსტრიული“ ტერმინის ჩანაცვლების საჭიროება სხვა ტერმინით. კერძოდ, ცნობილმა ესპანელმა სოციოლოგმა, პროფესორმა ემანუელ კასტელსმა, შემოგვთავაზა ტერმინი - „ინფორმაციული საზოგადოების“ მიზანშეწონილობა, რომელიც ხაზს გაუსვამდა საზოგადოების ინფორმაციულობის უდიდეს მნიშვნელობას. შემოთავაზებული ტერმინი წარმოგვიდგება, როგორც სოციალური ორგანიზებულობის სპეციფიკური ფორმა, რომლის ფარგლებშიც, ინფორმაციის გენერირება, მონაცემთა დამუშავება და გადაცემა წარმოადგენს წარმოებისა და ძალაუფლების ფუნდამენტურ წყაროს.<sup>38</sup>

აქედან გამომდინარე, უახლესი ისტორიის მოცემულ ეტაპზე, არსებული ეკონომიკური სისტემა, კასტელის განმარტებით, „ წარმოადგენს ინფორმაციულს და გლობალურს. ინფორმაციულია იმიტომ, რომ წარმოების განვითარება, კონკურენტუნარიანობა და მასთან დაკავშირებული საკითხები მთლიანად დაკავშირებულია ინფორმაციის გენერირების, მონაცემთა დამუშავებისა და მისი დროული გადაცემის ეფექტიანობასთან. გლობალურია, რადგანაც არსებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები: წარმოება, მოხმარება, საგნებისა და მომსახურების ცირკულირება, ასევე, მათი

37. Bell D. The Coming of Post-Industrial Society. A Venture in Social Forecasting. New York. 1973. P. 34.

38. Кастельс Е. Информационная Эпоха. Экономика, общество и культура. М. 2000. С. 14 - 39. იხ. იქვე, გვ.81.

შემადგენელი ნაწილები (კაპიტალი, სამუშაო, ნედლეული, მმართველობა, ინფორმაციულობა, ბაზარი და ტექნოლოგიები) ორგანიზებას განიცდის უშუალოდ გლობალური მასშტაბით ან განშტოებული ქსელების მეშვეობით. კიდევ იმიტომაც ინფორმაციული და გლობალური, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წარმოების სათანადო დონის მიღწევა და კონკურენტუნარიანობა შესაძლებელია მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ქსელებით.<sup>39</sup>

ინფორმაციული ხანის სოციალურ სტრუქტურას, კასტელსი უწოდებს „ქსელურ საზოგადოებას,” რადგანაც იგი წარმოადგენს წარმოების ქსელურ სისტემას, ისევე როგორც ძალაუფლებისა და გამოცდილების სინთეზს და რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ვირტუალურობის ისეთ კულტურას, რომელსაც შეუძლია დროისა და სივრცის გარღვევა”.<sup>40</sup>

უნდა ითქვას, რომ მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საზოგადოება შევიდა განვითარების თვისებრივად ახალ სტადიაში, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს, როგორც პოსტინდუსტრიული, ისე ინფორმაციული. აქედან გამომდინარე, ამ ორი ტერმინის გამოყენება მის შინაარსობრივ სტრუქტურაში, რაიმე წინააღ-მდეგობას არ წარმოშობს. მით უმეტეს, რომ ამ ორი ტერმინის მკაცრად განსაზღვრული განმარტება არ არსებობს. არსებობს მეცნიერთა აზრთა თანხვედრა მხოლოდ იმაში, რომ თანამედროვე რეალობაში, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება საინფო-რმაციო-ინტელექტუალურ ტექნოლოგიებსა და თეორიულ ცოდნას. თუმცა, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომელიც ინფორმაციულობას წარმოაჩენს, როგორც „მორიგ სოციალურ უტოპიას”.<sup>41</sup>

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის კრიტიკა ძირითადად მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

1. სოციუმის თვისობრივად განვითარების ახალი მასშტაბების წარმოჩინება გარკვეულწილად გადაჭარბებულია. ინტელექტუალური ტექნოლოგიების ბუმი და პროფესიონალთა ელიტის ჩამოყალიბება ძირითადად დამახასიათებელია ე. წ. „ოქროს მილიარდისათვის” და აქაც კი, საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე, კარდინალურ ზემოქმედებას მხოლოდ უკვე არსებული ეკონომიკური პოსტულატები ახდენენ.

---

39,40. იხ. იქვე გვ. 505.

41. Лесков Л. В. Космические цивилизации; проблемы эволюции. М. 1985. С. 152

2. პრაქტიკულ ასპექტში, კიბერტექნოლოგიების განვითარება-გავრცელება ხელს უწყობს მხოლოდ ტრანსნაციონალური კორპორაციების გაძლიერებას ბაზარზე და მემარჯვენეებისას პოლიტიკაში.<sup>42</sup>

საზოგადოების ინფორმაციულობის კონცეფციის კრიტიკა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ბელი და მისი მიმდევრები, პროგნოზირებდნენ რა მომავალი საზოგადოების განვითარების პერსპექტივას, აქცენტს აკეთებდნენ ინტელექტუალური ტექნოლოგიების მხოლოდ პოზიტიურ მხარეზე. მაგრამ, როგორც რეალობა გვიჩვენებს და ამას მრავალი საინფორმაციო თეორეტიკოსიც ადასტურებს, საზოგადოების ქცევითი ხასიათი კიბერტექნოლოგიებთან მიმართებაში საკმაოდ შორსაა იდეალურისაგან. „თანამედროვე სოციუმისთვის დამახასიათებელი გახდა კორპორაციული კაპიტალის გლობალური ჰეგემონია, ამასთან ეს კაპიტალი გვევლინება ვირტუალურად, იგი „ცოცხლობს“ კომპიუტერულ ქსელში.“<sup>43</sup>

ფინანსების დომინირება არსებულ სოციუმში უკვე გულისხმობს არა უბრალოდ დაქირავებულ თანამშრომელთა დამოკიდებულების განსაზღვრას, არამედ მისი პიროვნების, როგორც მთლიანის მორჩილებას კორპორაციებისადმი. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ერთგვარი პოლიტიკური და გლობალური იდეოლოგიური მანიპულირების ტენდენცია, ინფორმაციული და კულტურული წნეხი, რომელიც კიბერტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება.

პროფესორ ა. ბუზგალინის აზრით, ინფორმაციული საზოგადოების მაღალტექნოლოგიურობა, ირჩევს ისეთ გზას, როდესაც „ადამიანებს შორის ურთიერთობებში არსებული, სასურველი ჰუმანური დამოკიდებულება იცვლება პრაგმატული მოსაზრებებით გაჯერებული, სარგებელზე ორიენტირებული მანიპულაციებით.“<sup>44</sup>

კიბერსივრცის წიაღში წარმოშობილი სოციალური ურთიერთობები და ინტელექტუალური ტექნოლოგიები, გარდა პოზიტიური სიახლეებისა, წარმოშობს დესტრუქციულ ქმედებათა ისეთი ხარისხის საშიშროებას, რომლის მასშტაბებსა და უნივერსალურ ხასიათს კაცობრიობა მანამდე არ იცნობდა.

---

42. Бузгалин А. В. Постиндустриальное общество – тупиковая ветвь социального развития.

(Критика практики тотальной гегемонии капитала и теорий постиндустриализма)

Вопросы Философии. 2002. N-5 ст.27. 43. იხ. იქვე გვ.29. 44. იხ. იქვე გვ. 34.

ამ ფონზე, აქტუალურია დასავლეთის სოციოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინი - რისკის საზოგადოება, რომელიც მოდერნიზაციის პროცესს უკავშირდება. საზოგადოების რისკის კონცეფცია პირველად ჩამოაყალიბა გერმანელმა სოციოლოგმა უილრიხ ბეკმა.<sup>45</sup> მისი ცალკეული ელემენტები დამუშავებულ იქნა სხვადასვა მეცნიერების, მათ შორის ინგლისელი ბარონის, სოციოლოგ, ენტონი გიდენსის მიერ.<sup>46</sup>

რისკის კონცეფციის ამოსავალ პუნქტად მიიჩნევა ყოველგვარი სიახლის ამბივალენტობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე აშკარად, ვლინდება კიბერსივრცეში.

როგორც გიდენსი აღნიშნავს, „რისკის მნიშვნელობა ყოველთვის ცენტრალურ ადგილს იკავებს, როდესაც საზოგადოება ეთხოვება წარსულს, სოციალური საქმიანობის ტრადიციულ სახეობას და იხსნება მომავლის უცნობი სფერო.“<sup>47</sup>

თუ გავაანალიზებთ სიტუაციას, დავრწმუნდებით, რომ სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში რისკის ფაქტორი იძენს ერთგვარ ინსტიტუციურ ხასიათს. ამასთან, რისკის ფაქტორის წარმოშობა უკავშირდება სოციალური სისტემის ცვლილებებსა და წარმოადგენს თავისებურ ევოლუციურ შედეგს. სწორედ ევოლუციური პროცესის კატალიზატორის როლი შეასრულა ინფორმაციულმა რევოლუციამ.

დოქტრინაში, განიხილავენ ინფორმაციული საზოგადოების ორ მოდელს: დასავლურსა (დამახასიათებელს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის და აზიურს ( აღმოსავლურს )<sup>48</sup>.

ამდენად, საინტერესო და აუცილებელია ამ მოდელის განმასხვავებელ ნიშანთა ანალიზი, რათა მკაფიოდ გამოვკვეთოთ ამ ორი მიმდინარეობის სპეციფიკა და მისი სამართლებრივი რეგულირების თავისებურება. ეს საშუალებას მოგვცემს იმის განსაზღვრისთვის, თუ რომელი მოდელის მახასიათებლებისაკენ იხრება საქართველო და

---

45. Beck U. Ecological Enlightenment. Essays on the Politics of the Risk Society. New Jersey, 1995.

46. Beck U. Giddens A. Lash S. Reflexive Modernization. Politics, Tradition and Aesthetics in the Modern Social Order. Stanford 1994; Giddens A. The Consequences of Modernity. Cambridge, 1991.

47. Гидденс А. Судьба, Риск и Безопасность, 1994. N-5. С. 105.

48. Социологическая энциклопедия. В 2 т. 2. Национальный общественно-научный фонд. М. 2003. с. 90-93.

რა გარემოებები უნდა იქნას გათვალისწინებული, ზოგადად, კიბერუსაფრ-თხოების და კონკრეტულად, კიბერდანაშაულის სისტემურ - სტრუქტურული მოწესრიგებისათვის. საკითხის მნიშვნელობა განპირობებულია ასევე სოციალურად საშიშ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში წარმოშობილ იურიდიულ-კრიმინოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

პირველ რიგში, გამოვყოფთ დასავლეთის ინფორმაციულ საზოგადოებაში წარმოშობილ იმ მახასიათებელ ნიშან - თვისებებს, რომლების განაპირობებენ ადამიანთა დესტრუქციული ქმედებების მთელ წყებას კიბერსივრცეში.

დასავლური საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ღირებულებათა ისეთი სისტემა, რომელიც ძირეულად განასხვავებს მას აღმოსავლურისგან. ძირითადი მახასიათებელი ნიშანია რაციონალურობა, რომლის შესახებაც აქცენტს აკეთებდა ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი რაიმონ არონი. იგი გამოყოფდა რაციონალობის შემდეგ სახეობებს : მეცნიერულობის სულს, ეკონომიკური გათვლების სულსა და პროგრესის სულს.<sup>49</sup> დასავლური მენტალიტეტის ადამიანი, სამყაროს და ყველაფერს, მის გარშემო, უყურებს მისი მატერიალური თუ პრაქტიკული ღირებულებიდან გამომდინარე.<sup>50</sup>

დასავლელი ადამიანი - უპირველეს ყოვლისა არის ავტონომიური, თავისუფალი პიროვნება. ამასთან, თავისუფლება გაგებულია, როგორც ყველაფრის უფლება, რაც კანონით არაა აკრძალული.<sup>51</sup>

როგორც პროფესორი ვერნერ ზომბერტი მიუთითებს: „წარმატებულობა ყოველთვის ნიშნავს, რომ იყო ყოველთვის წინ, დაასწრო სხვებს, შექმნა უფრო მეტი, ვიდრე სხვებმა; იყო მნიშვნელოვანი“.<sup>52</sup>

მრავალი მეცნიერი თანხმდება, რომ დასავლური ყაიდის ადამიანი უფრო მიდრეკილია თვითრეალიზაციისკენ, ისწრაფვის მოიპოვოს უპირატესობა სხვა ადამიანებზე, ვიდრე აღმოსავლეთის ადამიანი. სწორედ დასავლეთის ქვეყნებში,

---

49. Aron R. Dix-huit lecons sur la societe industrielle. Paris, 1962. P. 192.

50. Делокаров К. Мировоззренческие основания современной цивилизации и её глобальный кризис. Общественные науки и современность. N-2. С. 91.

51. Монтескье Ш. Избранные произведения. М. 1995 с.91.

52. Зомберт В. Буржуа. М. 1994. С. 135.

კიბერტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ შეუწყო ხელი ადამიანის ისეთი მახასიათებელი ნიშან - თვისებების აღმოცენებას, როგორცაა „დამოუკიდებლობა, გამომგონებლობა, მოქნილობა, ურჩობა და მორალური ნორმებისადმი ზიზღი“.<sup>53</sup>

ასეთ სიტუაციაში, ცალკეულ ინდივიდს დამოუკიდებლად შეუძლია არჩევანი გააკეთოს დესტრუქციული ქმედების სასარგებლოდ ისე, რომ იგი არ იქნება გაკიცხული საზოგადოების მხრიდან. ამ ვითარებაში, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კიბერსივრცე და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, ინტერნეტის სახით, საზოგადოებისაგან პირის ფიზიკური დისტანცირების უნიკალური საშუალებაა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ შემაკავებელი ფაქტორები, რომლებიც ასე თუ ისე არსებობს ადამიანთა შორის უშუალო ურთიერთობებისას, იგი ვირტუალური ურთიერთობებისას აღარ არსებობს და სტიმულსაც კი აძლევს არა თუ ამორალურ, არამედ დანაშაულებრივ ქმედებებს. ასეთ გარემოში, შესაძლებელია ნებისმიერი ავადმყოფური ფანტაზიის სისრულეში მოყვანა ისე, რომ იგი გაგებულ იქნება, როგორც პიროვნების თავისუფლების გამოვლინება.

დასავლეთის ინფორმაციული საზოგადოების მახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ადამიანების გაუცხოვების ტენდენცია, როგორც საკუთარ თავთან, ისე მთლიანად საზოგადოებასთან. ამასთან, კიბერტექნოლოგიების არნახული სოციალიზაცია ხელს უწყობს პიროვნების თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს, ქმნის თავისუფლების განცდას, რომელსაც დასავლეთი ყოველთვის მიესწრაფვოდა საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ტექნოლოგიურ სიახლეებთან ერთად ჩნდება დაუცველობისა და საფრთხის განცდა, რომელიც ისევე რეალურია, როგორც კიბერსივრცე. ფრომისეული განმარტებით, „თავისუფლება არა მარტო სიკეთეა, არამედ მნიშვნელოვანი ტვირთიც, რომლის ზიდვაც ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია“.<sup>54</sup>

ინფორმაციულ საზოგადოებაში დესტრუქციულ ქმედებათა გავრცელებას ხელს უწყობს სოციალურ ქსელთა ანონიმურობა და იმ ადამიანთა რიცხვის ზრდა, რომელნიც დაკავებულნი არიან გონებრივი სამუშაოთი. საექსპერტო დონეზე, დავას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ვირტუალურ რეალობას გააჩნია მრავალი უარყოფითი მხარეები, რაც იმაშიც მჟღავნდება, რომ ვირტუალურ ტექნოლოგიებს გააჩნიათ ადა-

53. Гаджиев К. С. Размышления о свободе. Вопросы философии. N-2. 1993. С. 34.

54. Фром Э. Бегство от свободы. М. 1989. С.105.



მიანთა გრძნობებისა და მოქმედებების როგორც გაკონტროლების, ისე იმიტირების უნარი. ეს ყველაფერი კი საკმაოდ უარყოფითად აისახება ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტდამოკიდებულ პირთა შორის (განსაკუთრებით არასრულწლოვნებში) საკმაოდ ხშირია ტრადიციულ ღირებულებათა უარყოფის ტენდენცია და არამართლზომიერ ქმედებათადმი მისწრაფება.<sup>55</sup>

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტელევიზია. კვლევების თანახმად, სატელევიზიო გადაცემათა ყურება წარმოადგენს ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას, რო-დესაც იგი იმყოფება სახლში.<sup>56</sup>

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის საინფორმაციო სივრცეში მიმდინარე პროცესები ბუნებრივად უწყობენ ხელს იერარქიული სტრუქტურის მოშლას, შრომით საქმიანობაში ინტელექტუალური შინაარსის ზრდას და ვირტუალურ სამყაროსადმი მიჯაჭვულობას. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ადამიანის გონებრივ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, აჩენს დესტრუქციის აღმოცენების ნოყიერ ნიადაგს. რა თქმა უნდა, კიბერტექნოლოგიები, თავისთავად, დადებით მოვლენად უნდა იქნას განხილული, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას გააჩნია მეორე მხარეც. კერძოდ ის, რომ მის საფუძველზე აღმოცენებული დესტრუქციული ურთიერთობები, ისეთივე პროგრესულობით ვითარდება, როგორც კიბერტექნოლოგიების ტექნიკური მხარე. ამიტომ, განმსაზღვრელი მაინც ისეთი ბალანსის დამყარებაა, რომელიც მთლიანად თუ ვერ აღმოფხვრის, ყოველ შემთხვევაში, უზრუნველყოფს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. ისიც გასაგებია, რომ ეს საკითხი ერთი დიდი პრობლემაა, რომლის წინაშეც კაცობრიობა აღმოჩნდა. ამიტომ, საკითხის ყოველმხრივ შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

დასავლეთისათვის დამახასიათებელ დესტრუქციულ ქმედებათა სპექტრი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელმაც თვისებრივი ცვლილება განიცადა კიბერტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად და ვითარდება პერმანენტულად.

55. Бенкс М. Психи маньяки в интернете. СПб. 1998.

56. Кастельс М. Информационная эпоха: общество и культура. М. 2000 с. 320.

„ინფორმაციული იარაღი ტრანსფორმირებას უკეთებს ინდივიდის მეხსიერების მატრიცას, წინასწარ ქმნის რა პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების პარამეტრებს.“<sup>57</sup>

კიბერსივრცის ფენომენის არასასურველ პირშობ მოგვევლინა ე. წ. „ჰაკერთა“ წარმოშობა, რომელმაც დროთა განმავლობაში მიიღო ინსტიტუციური ხასიათი და განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომელთან ბრძოლა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, თუმცა უშედეგოდ.

„ჰაკერთა“ სუბკულტურა სათავეს იღებს გასული საუკუნის 60-იან წლებიდან, მაგრამ მისი მომეტებული დესტრუქციულობის თაობაზე, ყურადღება მხოლოდ 80-იან წლებში გამახვილდა, როდესაც აშკარად გამოიკვეთა მისი დამანგრეველი ძალა, რომელიც საფრთხეს უქმნის ისედაც მყიფე მსოფლიო წესრიგს. სწორედ, „ჰაკერთა“ მიერ კიბერსივრცეში განხორციელებულმა დესტრუქციულმა ქმედებებმა, საბოლოოდ, დაარწმუნა მსოფლიო თანამეგობრობა მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარებაში, კონკრეტულად კიბერუსაფრთხოებასთან მიმართებაში. ამის მაგალითად გამოდგება ამერიკის შეერთებული შტატებისა და, რიგი, ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები, რომელთა ანალიზიც ცხადად მიუთითებს, როგორც ცალკეულ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესზე, ისე, უკვე არსებული დანაშაულისთვის სასჯელის გამკაცრების პერმანენტულ ტენდენციებზე. ბუნებრივია, კრიმინალიზაციის პროცესის გააქტიურება თვითმიზანს არ წარმოადგენს და იგი ნაკარნახევია არსებული რეალობის გათვალისწინებით, რა დროსაც შესაძლებელია კრიმინალიზაციის პრინციპებსა და კრიტერიუმებში გარკვეული კორექტირების შეტანა. აღნიშნულ საკითხს, უშუალოდ, მოგვიანებით დავუბრუნდებით, როდესაც განვიხილავთ კრიმინალიზაციის კონკრეტულ საფუძვლებს. მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ კიბერუსაფრთხოების მდგომარეობა პირდაპირ პროპორციულია ტექნიკური პროგრესის ტემპებთან და არსებითად დამოკიდებულია სახელმწიფოთა პოლიტიკურ ნებაზე. ამ კუთხით, მრავალ ფაქტორთა შორის, უკიდურესად მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარება და

---

57. Поликарпов В.С. Философия безопасности. СПб- Ростов-на-Дону. Таганрог 2001. С. 132

საერთაშორისო საგარანტიო მექანიზმების შექმნა, რომლის გარეშეც კიბერუსაფრთხოებაზე საუბარი რეალობიდან გაქცევა და თავის მოტყუება იქნებოდა.

როდესაც საუბარია დასავლეთის საინფორმაციო (კიბერსივრცის) საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სწორედ დასავლური სამყაროა კიბერტექნოლოგიების ჩამოყალიბება-განვითარების სასტარტო ადგილი და მისთვის დამახასიათებელია ისეთი ნიშან-თვისებათა არსებობა, რომელიც არ შეინიშნება აღმოსავლურ საინფორმაციო საზოგადოებაში. ამის მიზეზი, სავარაუდოთ, უნდა ვეძიოთ თვით ცალკეული ქვეყნების თავისებურებებში, მათ ტრადიციებსა და კულტურულ-ეროვნულ მახასიათებლებში.

დავას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ დასავლური და აღმოსავლური ფასეულობები, თავისთავად წარმოადგენენ ორ ურთიერსაწინააღმდეგო მოცემულობას, ორ სულიერ სამყაროს. ეს განსხვავებულობა მჟღავნდება ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში და თავის ასახვას პოვებს დესტრუქციულ საქმიანობაზეც. ეს მოცემულობა ეხება კიბერსივრცესაც და აქ განვითარებულ პროცესებს.

აღმოსავლური საზოგადოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტრადიციული საზოგადოება, სადაც ადამიანთა საქმიანობისთვის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ღირებულებები. ასეთი საზოგადოებისთვის, სწორედ, ცხოვრების წესი წარმოადგენს ძირითად ფასეულობას.

„ჩვეულებები, თვისებები და ცხოვრების წესი წარმოადგენენ მყარ საფუძველს, რომელსაც ემორჩილება საზოგადოების ყველა წევრი და მათი მცდელობაც მიმართულია ამ ფასეულობათა შენარჩუნებისკენ.“<sup>58</sup> ასეთია აღმოსავლური სამყაროს სპეციფიკა, რომელიც გლობალიზაციის საყოველთაობის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს თვითმყოფადობას. საგულისხმოა ადამიანის, როგორც ინდივიდის, საკუთარი „მე-ს“ წარმოსახვისა და შეგრძნების უნარი. „აღმოსავლეთში ჩამოყალიბებულია ერთობ განსხვავებული, ურთიერთდაკავშირებული წარმოდგენა „მე-ს“ შესახებ, რომლის ქცევას განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა შეხედულებები და ფასეულობები.“<sup>59</sup> თუ გავიზიარებთ ელიოტ არონსონის ამ შეხედულებას, მაშინ უნდა

58. Моисеев Н.Н. Современный антропоцентризм и цивилизационные разломы.

Социально-политический журнал. 1995. N-4. С.63.

59. Аронсон Э. Уилсон Т. Эйбек Р. Социальная психология. СПб 2002. С.150

ვივარაუდოთ, რომ მოცემული ტიპის საზოგადოებაში ანგარიშგასაწევია, თუ არა გან-  
მსაზღვრელი, ადამიანებს შორის ურთიერთობის სწორედ ეს თვისება. ამდენად,  
ადამიანი მთლიანად ემორჩილება საზოგადოებასა და სახელმწიფოს.

ადამიანები, საზოგადოება თუ ცალკეული ჯგუფები მომართული არიან იქეთკენ,  
რომ მოხდეს ინდივიდების დამორჩილება სახელმწიფოსადმი. „ხალხი და მთლიანად  
სოციუმი ზემოქმედებას ახდენენ ადამიანებზე, რათა ისინი დამაგრებულ იქნენ  
სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე. ხოლო ამ ზემოქმედებიდან თავის არიდება ისჯება  
კანონის ძალით.“<sup>60</sup> ადამიანის ასეთი მდგომარეობა ევროპელისათვის პრინციპულად  
მიუღებელია, მაშინ როდესაც აღმოსავლური მენტალიტეტისთვის, იგი სრულიადაც არ  
არის ტრაგედია. ამ აზრს ატარებს ტიბეტელი ლამას-ანაგარიკა გოვანდას ნაწერები.  
საინტერესო ისაა, რომ მსგავსი წარმოდგენები დღემდე შემო-რჩენილია და ინარჩუნებს  
აქტუალობას. ასე მაგალითად, იაპონიათმცოდნეობის ინგლისელი მკვლევარი,  
ი.ბურუმი კატეგორიული ფორმით ამტკიცებს, რომ იაპონია დღესაც ინარჩუნებს  
ჯგუფურად ორიენტირებული საზოგადოების სტატუსს.<sup>61</sup> რი-ჩარდ ლუისი იაპონიის  
საზოგადოებას ახასიათებს, როგორც „აბლაბუდის საზოგ-დოებას, სადაც მისი ყველა  
წევრი მჭოდროდ ურთიერთდაკავშირებულია და ჩამოყა-ლიბებულია მორალურ და  
სოციალურ ვალდებულებათა მკაცრი იერარქია, როგორც ვერტიკალზე, ისე  
ჰორიზონტალურად.“<sup>62</sup> საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ იაპონელები  
ბავშობიდან იზრდებიან საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიეკავშირში და ეს კავშირი  
რჩება მასთან სიცოცხლის ბოლომდე. სწორედ, ურთიერთდამოკი-დებულება და  
მკაცრი იერარქიაა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს საზოგადო-ებაში ჰარმონიისა  
და ურთიერთდაბალანსების შენარჩუნებას. „საკუთარი მე-ს ერთგულება თუ საკუთარ  
აზრზე დარჩენა არ წარმოადგენს იაპონური სოციუმის მახასიათებელ ნიშანს.  
ადამიანი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საზოგადო-ებრივ ცხოვრებაში,  
წინააღმდეგ შემთხვევაში მას გარიცხავენ ამ საზოგადოებიდან, რაც მათთვის  
სიკვდილს ნიშნავს.“<sup>63</sup>

60. Кемеров В.Е. Введение в социальную философию. М. 1994. с.111.

61. Buruma I.F. Japanese Mirror. Heroes and Villainse Culture. London 1984.

62. Льюис Р.Д. Деловые культуры в международном бизнесе. М. 2001. С.351.

63. Buruma I.F. Op.cit. p. 221

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთში, პიროვნების ფორმირებაზე კულტურული და სოციალური ფასეულობები გაცილებით დიდ გავლენას ახდენენ, ვიდრე დასავლეთში. იგი განსაზღვრავს პიროვნების შინაგან სტრუქტურასა და მოქმედების ხასიათს. როგორც პროფესორი ე. ასპი აღნიშნავს „იაპონელისთვის ესა თუ ის გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდისათვის, შეიძლება მისაღები იყოს ან არ იყოს, მაგრამ იგი ტრადიციის ძალით უნდა დაემორჩილოს მას.“<sup>64</sup> შესაძლებელია, რომ ამიტომაც აღმოსავლეთში უფრო ნაკლებადაა მკვლევლობათა სტატისტიკური მონაცემი. ამას ადასტურებს ამერიკელი იაპონიათმცოდნის, რ. დოლენის კვლევის მონაცემები, რომლის თანახმადაც 1986 წლის განმავლობაში, ასი ათას მოსახლეზე, იაპონიაში მკვლევლობათა რაოდენობამ შეადგინა 1,4 %, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 4%, დიდ ბრიტანეთში 4,3 %, ამერიკის შეერთებულ შტატებში 8,6.<sup>65</sup> მოყვანილი მაგალითი შეეხება არა მარტო მკვლევლობათა ფაქტებს, არამედ ადამიანის ყველა დესტრ-ქციულ ქმედებებს, განსაკუთრებით ეს ითქმის კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებებისადმი. სწორედ, საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებამ და მიმდინარე ტექნოლოგიურმა რევოლუციამ თუ მთლიანად წალეკა დასავლური სამყარო, აღმოსავლეთი მეტ-ნაკლები წარმატებით თავს ართმევს კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება იწყება XX-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან და, მიუხედავად ამისა, დროის რეკორდულ პერიოდში მათ მოახერხეს არა თუ დაწეოდნენ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ზოგიერთ სფეროში, გაუსწრეს კიდევ მათ. როგორც აღმოჩნდა, აღმოსავლეთის ქვეყნების საინფორმაციო საზოგადოების ფორმირება-განვითარებას ხელი შეუწყო სფეციფიკურმა მოდელებმა. კერძოდ, ამ მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდა, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთდაკავშირება, ხოლო მეორე მხრივ, ტრადიციულ და სოციალურ ფასეულობათა დაახლოვება. შეიქმნა გარემო, სადაც პრიორიტეტული მდგომარეობა შეინარჩუნა ტრადიციამ. პროფესორ ე. ბრაგინას აზრით, „ამ ქვეყნების წარმატების მიზეზი უნდა ვეძიოთ მოდელში, რომელსაც პირობითად უწოდებენ „მფრინავ ბატებს.“ იგი

64. Аспи Э.К. Введение в социологию. СПб. 1998. Ст. 176-177.

65. Dolan R. E. National Security. Japan: a Country Study. Federal Research div. Librey of Congress. Washington, 1992. P. 468.

გულისხმობს ერთგვარი იმპულსების გადაცემას ლიდერი ქვეყნის (იაპონია) მიერ, მიმდევარი ქვეყნებისთვის: სამხრეთ კორეის, სინგაპურის, ტაივანის, ჰონკონგის და სხვათა მიმართ”.<sup>66</sup> მრავალი მეცნიერი იხრება იმ მოსაზრებისკენ, რომ ამ ქვეყნების განვითარების სწრაფი ტემპები განპირობებულია ორი ფაქტორით: ტრადიციებისა-დმი ერთგულებითა და კონფუციონისტური კულტურის ზეგავლენით. სინგაპურის ეკონომიკური აღზევების საფუძველი, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო საზოგადოება იგულისხმება, ( ციფრულ ტექნოლოგიათა წარმოების ლიდერი) მიღწეულ იქნა სახელმწიფოსა და ბაზრის სინქრონული მოქმედებით, ისევე როგორც სოციალურ სიახლეთა და ტრადიციების დაახლოვებით. კონფუციონიზმის მახასიათებელი ნიშან-თვისებები: მკაცრი სამუშაო დისციპლინა, განათლების პრიორიტეტულობა, მომჭირნეობა და ოჯახური ფასეულობების განუხრელი დაცვა. ესაა ის მიმართულებები, რომელთაც არნახული წარმატება მოუტანეს ამ ქვეყნებს.<sup>67</sup> ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ისეთი ფილოსოფიური პრინციპების შესახებ, როგორცაა თანაარსებობა და თანაგანვითარება. ყველაფერი ეს კი იძლევა დასკვნის საფუძველს: ამ ქვეყნების საინფორმაციო საზოგადოებად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო არსებულმა ტრადიციულმა და კულტურულმა თავისებურებებმა.

აღმოსავლეთის ქვეყნების საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროგრესის კიდევ ერთ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აღმოსავლური აზროვნების წესი და იეროგლიფური დამწერლობის არსებობაც. დღეის მდგომარეობით, როდესაც განვითარდა ვიზუალური ინფორმაციის მიწოდების ტექნოლოგიები, აღმოჩნდა, რომ იეროგლიფების უპირატესობა, ჩვეულებრივ ფონეტიკურ ნიშნებთან შედარებით, გაცილებით დიდია. აქ იგულისხმება დროის ეკონომია, რომელსაც იეროგლიფების გამოყენება იძლევა, ასევე ვიზუალური გამოსახულების სისწრაფე და სხვა. ამდენად, „იეროგლიფების მნიშვნელობა ციფრულ ეპოქაში გაცილებით დიდია და გააჩნია ტექნიკური და კულტურული უპირატესობა, დასავლეთის ინგლისურ ფონეტიკურ სისტემასთან შედარებით.”<sup>68</sup>

---

66. Брагина Э.К. Модель развития новых индустриальных стран. Вестник РАН N-1 . 1998 с. 68.

67. Вершинская О.Н. Существующие модели построения информационного общества. N-3 1999 с. 57-58.

68. ob. East Asia by the Year 2000 and Beyond Ed. By W. pape. New York, 1998. P. 24-25.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთის წამყვანმა ქვეყნებმა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში. განსაკუთრებით, ეს ითქმის კომპიუტერ-ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებაზე. ამასთან, ეს წარმატება მიღწეულ იქნა არა დასავლური სამყაროს ტექნოლოგიებისა და ფასეულობების უბრალო კოპირებით, არამედ მათი ტრადიციულ-კულტურულ ღირებულებებთან მართებული სინთეზის წყალობით. სწორედ, აღმოსავლურ ტრადიციათა ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: ძლიერი სახელწიფოს შექმნისაკენ სწრაფვა, საზოგადოების პრიორიტეტი პიროვნებაზე, ურთიერთკავშირი, სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს ჰარმონიზაციის სურვილი და სტაბილურობის განცდა. ეს არის ის კომპონენტები, რომელთაც განაპირობებს სწრაფი მოდერნიზაციის პროცესი. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებულმა ტრადიციულმა მახასიათებლებმა იქონიეს ერთგვარი პრევენციული გავლენა დესტრუქციულ ქმედებათა მიმართაც. ამით აიხსნება დესტრუქციის სიმცირე აღნიშნულ ქვეყნებში, დასავლეთთან შედარებით.

განვითარებული მსჯელობა არ უნდა იქნას გაგებული, როგორც უცილობელი ჭეშმარიტება, რომელიც არ ექვემდებარება კორექტირებას. მიუხედავად აღმოსავლურ ტრადიციათა სიმყარისა, გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა და სოციუმის ინფორმატიულობამ აქაც წარმოშვა მთელი რიგი პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესებს და მის წიაღში შობილ „ჰაკერულ“ საქმიანობას, რომელსაც მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მუსირებს დასაბუთებული თვალსაზრისი, რომ აღმოსავლურ და დასავლურ ჰაკერულ საქმიანობას შორის, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავდება. ამ ქვეყნებში (იაპონია, ჩინეთი, სინგაპური) დომინირებს კოლექტიური და ურთიერთდაკავშირებული ხედვა, როდესაც გარკვეული მიზნის მისაღწევად ხდება ადამიანთა გაერთიანება და ერთგვარი კოლექტიური ხედვა, რაც განპირობებულია ამ ქვეყნების სპეციფიკით. მიუხედავად ამისა, ჰაკერული საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს აღმოსავლეთის ქვეყნებს. ასე მაგალითად, კომპიუტერული ვირუსის, „Helkern“-ის გავრცელების შედეგად, სწორედაც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები და იაპონია დაზარალდა. სამხრეთ კორეის მთელ ტერიტორიაზე გათიშულ იქნა ინტერნეტი, ხოლო მიყენებულმა ზიანმა, მხოლოდ სადაზ-

ღვევო თანხების გაცემის კუთხით, 800 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა; მხოლოდ ერთი კალენდარული დღის განმავლობაში „KOSPI“-ის საბირჟო ინდექსი დაეცა 2,7 %-ით. იაპონიაში მწყობრიდან გამოვიდა ფიჭური კავშირგაბმულობა, რადგანაც ხმოვანი შეტყობინების გადაცემა ხორციელდებოდა ინტერნეტის მეშვეობით.<sup>69</sup> როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი თავის გავლენას ტოვებს აღმოსავლეთის ქვეყნებზეც, მიუხედავად მათი ტრადიციული ბუნებისა.

**ამ ფონზე საინტერესოა საქართველოში მიმდინარე პროცესები, რომელიც უკავშირდება საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებასა და კიბერუსაფრთხოების პრობლემებს.**

საკითხი იმასთან დაკავშირებით, ინფორმაციული საზოგადოების თუ რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ საქართველო, მარტივად გადასაწყვეტი არ არის, რადგანაც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობითა და ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით, იგი ყოველთვის საზრდოობდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფასეულობებითა და გამოცდილებით. მაგრამ, როდესაც საუბარი მიდის ინფორმაციულ საზოგადოებაზე, როგორც ახალ სოციალურ მოვლენაზე, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ბიძგი მაინც დასავლურმა გავლენამ იქონია. ამასთან, ამ საკითხზე, ფაქტობრივად, არანაირი მეცნიერული კვლევები არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით თვით საკითხის ტექნიკურ მხარეს. ამიტომ, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და განისაზღვროს კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესები, მათი შემდგომი სამართლებრივი რეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია არსებული ნორმატიული და მეცნიერული მასალის ანალიზიც.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში სათანადო ყურადღება მახვილდება სწორედ კიბერუსაფრთხოების ასპექტებზე. „საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოება და ელექტრონული მონაცემების დაცულობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იზრდება მათზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურული დამოკიდებუ-

---

69. Зуев А. Безопасность в виртуальном пространстве. Мировая экономика и международные отношения. 2003 N-9. С. 14.



ლება. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერდანა-შაულთან ბრძოლას და კიბერსივრცეში ტექნოლოგიური დივერსიებისაგან დაცვას.”<sup>70</sup>

მნიშვნელოვან ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ,” რომელსაც ჩვენ დეტალურად შემდგომ განვიხილავთ, როდესაც შევეცდებით დავასაბუთოდ კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობა და მისი კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობა.

უნდა ითქვას, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მითითებული დებულება, რომელიც შეეხება კიბერდანაშაულთან ბრძოლის აქტუალურ პრობლემას, გულისხმობს მის სისხლისსამართლებრივ რეგულირებასაც.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N-482 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც საუბარია კიბერდანაშაულთან ბრძოლის გააქტიურებაზე. „ კიბერსივრცე დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად საკმაოდ ხელსაყრელი გარემოა, რადგან ხშირ შემთხვევებში, ტექნოლოგიური ინოვაციები, დანაშაულის დისტანციურად და ფარულად ჩადენის შესაძლებლობა, ლებათა ცვალებადობა, დამნაშავეთა იდენტიფიცირების სიმწელები და იურის-დიქციასთან დაკავშირებული პრობლემები კრიმინალებისთვის ინტერნეტსივრცის უკანონო გზით გამოყენებას მიმზიდველს ხდის. „კიბერ” ელემენტი თითქმის ყველა კატეგორიის დანაშაულის შემადგენელი ნაწილი ხდება. ინტერნეტსივრცე, ტექნო-ლოგიური გარემო ხელს უწყობს სხვადასხვა დანაშაულების ჩადენას.”<sup>71</sup>

კიბერუსაფრთხოების საკითხისადმი დამოკიდებულებაში აშკარად იკვეთება სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, მოხდეს მისი სისხლისსამართლებრივი რეგულირება, რადგანაც იგი მიჩნეულია ისეთი დონის კოტენციურ საშიშროებად, რომელ-

---

70. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ქ. თბილისი 18/07. 2005-2011. (საკ. მაცნე 2) გვ. 7.

71. იხ. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N-482 დადგენილება. საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია 2021-2024 წწ.

საც შეუძლია შეარყიოს სახელმწიფო უსაფრთხოება. სისხლისსამართლებრივი რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი კი სოციალურად საშიში ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, ანუ კრიმინალიზაციის პროცესია, რომლის საჭიროებაც მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ერთხმადაა აღიარებული. ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის რიგი ქვეყნების მიერ კრიმინალიზაციის პროცესის გააქტიურება.

მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალიზაციის პროცესი, ისევე, როგორც ამ კუთხით, მისი მიზანშეწონილობის დასაბუთება, ყოველთვის და ყველგან იწვევდა უარყოფით ემოციებს და ხდებოდა დაპირისპირების მიზეზი; მიუხედავად იმისა, რომ დეკრიმინალიზაციის პროცესი უფრო მიმზიდველი და ჰუმანურია, კაცობრიობა მაინც ვერ ამბობს მასზე უარს იმ მარტივი მიზეზით, რომ დესტრუქციულობა ადამიანის თანდაყოლილი და ბუნებრივი მახასიათებელია. კიბერსივრცე კი ისეთი ფენომენია, რომ მის წიაღში წამოშობილი დესტრუქციული საქმიანობის ზოგადი ანალიზიც კი არავითარ ეჭვს არ ტოვებს ამ კატეგორიის ქმედებათა კრიმინალიზაციისთვის.

## **2.2 კიბერდაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის თავისებურებანი**

სიახლეს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, გარკვეულწილად, გააუფერულა სოციუმში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმათა პრიორიტეტულობა და გზა გაუხსნა ადამიანის პრაგმატულად აზროვნების ტენდენციას. ამის მიზეზი, გარდა გლობალიზაციის უარყოფითი, თანმდევი პროცესებისა, იმის დამსახურებაცაა, რომ კიბერტექნოლოგიები ორგანულად შეეზარდა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს, იქცა ადამიანთა ყოფის ორგანულ ნაწილად და უკვე აშკარად კარნახობს მას თავის დღის წესრიგს. ბუნებრივია ის გარემოებაც, რომ ადამიანური ცხოვრების ახალმა სტილმა, რომელიც, მართალია, უფრო კომფორტულს ხდის მას, დასაბამი დაუდო თავისებრივად ახალი, სოციალურად საშიშ ისეთ ქმედებათა აღმოცენებას, რომელსაც კაცთა მოდგმა დღემდე არ იცნობდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა გარკვეულ დესტრუქციულ ქმედებათა კრიმინალიზაციის აუცილებლობა. კრიმინალიზაციის პროცესი კი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ყველაზე რთული და მრავალგანზომილებიანი მიმართულებაა; კიბერტექნოლოგიების მზარდმა სოციალიზაციამ და

კომპიუტერიზაციის შეუქცევადმა პროცესმა კი იგი უფრო დაამძიმა. სწორედ, კიბერ-სივრცე აღმოჩნდა ინდივიდებს, პირთა ცალკეულ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების არენა. ამასთან, ეს დაპირისპირება მოიცავს სოციალური ცხოვრების ყველა მიმართულებას. ამიტომ, საკითხი კრიმინალიზაციის პროცესის მიზანშეწონილობაზე, კონკრეტულად ამ კუთხით, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

სანამ უშუალოდ შევხებოდეთ კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებათა კრიმინალიზაციის თავისებურებებს, მიზანშეწონილია მოკლედ მიმოვიხილოთ კრიმინალიზაციის საერთო საფუძვლები და მის ფონზე გამოვკვეთოთ ის განმასხვავებელი ნიშნები და მეთოდები, რომელიც ახასიათებს კიბერდანამაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციას.

**ა) კრიმინალიზაცია, როგორც სოციალური კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი.**

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კრიმინალიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემადგელებელ ნაწილს, რომლის მიზანია ამა თუ იმ სოციალურად საშიშ ქმედებათა დანაშაულად გამოცხადება. მაგრამ კრიმინალიზაციის პროცესის თეორიული საფუძვლების ქვაკუთხედს სისხლის-სამართლებრივი აკრძალვის დასაბუთება წარმოადგენს. ეს პროცესი კი რთული, მრავლისმომცველი და კომპლექსური საქმიანობაა. იგი აუცილებლად მოითხოვს არა მარტო სისხლის სამართლის მეცნიერების, არამედ ჰუმანიტარულ და რიგი ტექნიკური მეცნიერების მონაცემთა გათვალისწინებას, ანალიზსა და მხედველობაში მიღებას. ამიტომ, საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიური უფლება კანონშემოქმედებით საქმიანობაში, შეიძლება ითქვას რომ არ არის აბსოლიტური და ზღვარდაუდებელი. კრიმინალიზაციისას იგი უნდა დაეყრდნოს მეცნიერული კვლევის მონაცემებს და მხედველობაში მიიღოს სოციუმის განწყობა-შეხედულებები, ისევე, როგორც საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებები. თუ კანონმდებელი ამ გარემოებებს არ ითვალისწინებს და ამის უამრავი მაგალითი არსებობს, შედეგად ვიღებთ ნორმატიული მასალის სრულიად ხარვეზიან და მხოლოდ პოლიტიკურად სასურველ კანონმდებლობას, რომელიც არ გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს და ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებს.

ზოგადად, სოციალური კონტროლი წარმოადგენს პიროვნებაზე ზემოქმედების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემას, რომელიც მიმართულია მისი საქმიანობის

ორგანიზებისაკენ და მისი მართლზომიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, ინდივიდი არ წარმოადგენს სოციალური კონტროლის პასიურ ობიექტს, არამედ მისი გონებრივი აქტიურობა და გარკვეული დოზით დამოკიდებულება განაპირობებს სამართლებრივი და სოციოლოგიური შეხედულებების წარმოშობასა და დაფუძნებას.

სოციალური კონტროლის არსი და მოქმედების მექანიზმი, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერების საგანი, რა თქმა უნდა, ბოლომდე და სრულყოფილად შესწავლილი არ არის, მაგრამ მეცნიერთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სოციალური კონტროლი არის მექანიზმების ისეთი სისტემა, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში სოციალური ბალანსის შენარჩუნებისკენ და მისი საზრისიც მდგომარეობს სოციალური ჰარმონიის დამყარებისკენ. ამ სისტემაში უნდა გამოიყოს ორი სოციალურად მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველი არის ინდივიდების საქმიანობის სფერო და მეორე, საზოგადოების საქმიანობის არეალი, რომლითაც უმეტესწილად, განისაზღვრება სოციალური საქმიანობის მიმართულება. ინდივიდთა აქტივობა, თავისთავად, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოკლებულია სოციალური კონტროლის მაღალ ხარისხს და მხოლოდ მაშინ იძენს ლეგიტიმურობას, როდესაც თანხვედრაში მოდის საზოგადოების ინტერესებთან და ღირებულებებთან. როგორც პროფესორი ა. იაკოვლევი აღნიშნავს, „არსებითად, სოციალური კონტროლის საწყისი ეტაპია, როდესაც ინდივიდუალური ქმედება იძენს სოციალურ მნიშვნელობას. ეს პირველი ეტაპია სოციალური კონტროლის განხორციელების გზაზე, როდესაც ეს ქმედება იძენს სისტემატურ ხასიათს და დამახასიათებელია არა რომელიმე ინდივიდის, არამედ მთლიანად საზოგადოების ფართო წრისთვის.“<sup>72</sup>

მართლაც, იმისათვის, რომ ესა თუ ის ქმედება მიჩნეულ იქნას სოციალურად საშიშად, საზოგადოებას უნდა გააჩნდეს მისი შეფასების მოწესრიგებული სისტემა, რითაც შესაძლებელი იქნება იმის განსაზღვრა თუ რამდენად დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალურია ესა თუ ის კონკრეტული ქმედება. ამის თვალსაჩინო მაგალითია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც, ერთ შემთხვევაში, ატარებენ წამახალისებელ, ხოლო მეორე შემთხვევაში, რეპრესიულ თვისებებს.

---

72. Яковлев А. М. Принципы социальной справедливости и основание уголовной ответственности. Государство и право. 1982 N-3. Ст. 14.

სოციალური სტრუქტურა წინასწარ განსაზღვრავს ქმედებათა შეფასების კრიტერიუმებს, რაც მიუთითებს საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებებზე და მის სოციალურ შინაარსზე. ამას ადასტურებს სამართლის თეორეტიკოსის, მ. ფრიმენის დებულება, რომლის მიხედვითაც „სამართლებრივი კრიტერიუმები- ეს არის საზოგადოების სარკე. მესაკუთრეთა საზოგადოება, სოციალურ გადახრას განსაზღვრავს თავისი, როგორც მესაკუთრის კონცეპტუალური პრინციპებიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც იგივე ქმედება, რელიგიური საზოგადოების მხრიდან, განიხილება როგორც ერესი. ამდენად, საზოგადოების ძლევამოსილი ჯგუფები იქეთკენ მიისწავიან, რომ კანონმდებლობაში ასახულ იქნეს ის რასაც კანონიერად მიიჩნევენ და აიკრძალოს ის, რასაც არ იწონიან.“<sup>73</sup>.

გამოდის, რომ სოციალურ ქმედებათა შეფასების კრიტერიუმები უშუალოდაა განპირობებული თავად საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებული ღირებულებებით. ამ ღირებულებათა სპექტრი კი მრავალფეროვანია და, თავის მხრივ განისაზღვრება მორალური, ეთიკური, რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფასეულობებით, რაც დროთა განმავლობაში იცვლება, ისევე, როგორც იცვლება ღირებულებები და იდეალები. ასე მაგალითად, პროფესორი ი. დემიდოვი, 1975 წელს ავითარებდა მოსაზრებას, რომ: „სისხლის სამართალი მიმართულია იქეთკენ, რომ დათრგუნოს საზოგადოებრივად საშიში ქმედებები, რითაც ხელს უწყობს სოციალისტური ურთიერთობების გაწმენდას კაპიტალისტური წყობილების გადმონაშთებისაგან.“<sup>74</sup>.

დღეის მდგომარეობით, როგორც ვიცით, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან კვალიც კი აღარ დარჩა. არა და საბჭოთა კავშირის სოციალური კონტროლის სისტემაში, საბჭოთა სისხლისსამართლებრივი რეპრესიული მექანიზმების გარდა, ასევე არსებობდა ადმინისტრაციული, პარტიული, კომკავშირული და სხვა სახის სოციალური ზემოქმედების ღონისძიებები. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის სოციალური კონტროლის კრახმა ცხადყო თავად საზოგადოებაში არსებული ღირებულებების აშკარა უმართებულობა.

---

73. M. Freeman. The Legal Structure. London 1974. Pg. 19.

74. Демидов Ю. А. Социальная ценность и оценка в уголовном праве. М. 1975. Ст.37.

## ბ) კრიმინალიზაციის საფუძვლებისა და პრინციპების სისტემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კრიმინალიზაციის განსაზღვრის ორი თეორიული თვალსაზრისი. პირველი თვალსაზრისის მიხედვით, კრიმინალიზაციაში იგულისხმება არა მარტო ცალკეულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა საკანონმდებლო დამაგრება, არამედ არსებული სანქციების გამკაცრება, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმების შეზღუდვა და სხვა. მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი, კრიმინალიზაციის პროცესი გულისხმობს ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებას. ამასთან, სამეცნიერო წრეებში არ არსებობს ერთიანი, მკაცრად რეგლამენტირებული ტერმინოლოგია, რაც ზოგჯერ საფუძველი ხდება პრინციპების და კრიტერიუმების გაგების შინაარსობრივი აღრევის, რაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც რთულ პროცესს, ამიტომ, მიზანშეწონილია მკაცრად იქნას ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ტერმინოლოგიური სისტემა, რათა, კვლევის პროცესში, ამა თუ იმ სამართლებრივი კონსტრუქციის აუცილებლობის დასაბუთებისას არ მოხდეს შინაარსობრივი შეცდომა.

ამ და სხვა საკითხთა დეტალური ანალიზისთვის, საინტერესოა კრიმინალიზაციის, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბება-განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი.

კრიმინალიზაციის სწავლების ფუძემდებლად, სამართლიანადაა მიჩნეული ჩეზარე ბეკარია, რომელმაც თავის წიგნში „დანაშაულისა და სასჯელების შესახებ“ ჩამოყალიბა სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საფუძვლები და პრინციპები; ისეთი, როგორცაა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და რეპრესიულობის ეკონომიკური მხარე.<sup>75</sup>

მიუხედავად ამისა, კრიმინალიზაციის საფუძვლების შესახებ, მეტ-ნაკლებად, სრული მეცნიერული ანალიზი მოცემულია ინგლისელი იურისტის, პროფესორ ქორთონი სთენჰოუპ ქენის ისტორიულ ნაშრომში, „სისხლის სამართლის საფუძვლები“ სადაც ჩამოყალიბებულია დებულებები, რომელთაც დასაბამი დაუდეს კრიმინალიზაციის გენეზისს.

---

75. ჩეზარე ბეკარია. დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ. იურდ. გამომცემლობა მოსკოვი 1939 წ. გვ.14-21.

ეს დებულებებია:

1. ინკრიმინირებული ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი გაცილებით უნდა აჭარბებდეს მნიშვნელობით თვით ამ ქმედების შედეგად გამოწვეულ სისხლის-სამართლებრივ სასჯელს;
2. ქმედება უნდა ექვემდებარებოდეს სამართლისთვის საკმარის ზუსტ განსაზღვრას;
3. უნდა არსებობდეს ქმედების დადასტურების შესაძლებლობა, მაღალი ალბათობით;
4. ასეთ ქმედებათა დადასტურებისას არ უნდა მოხდეს პირადი ცხოვრების უფლებათა დარღვევა;
5. მოცემული ქმედება მნიშვნელოვნად უნდა აღაშფოთებდეს საზოგადოებას და ეწინააღმდეგებოდეს მათთვის დამახასიათებელ შეხედულებებს;
6. ამ ქმედებათა თავიდან აცილება შეუძლებელია სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის დახმარებით.”<sup>76</sup>

სწორედ ეს დებულებები დაედო საფუძვლად კრიმინალიზაციის პრინციპების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ყურადღებას იქცევს პროფესორ ი. გალპერინის მეცნიერული შეხედულებები, რომლის აზრითაც, „მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იგი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისას.

1. კონკრეტულ ქმედებათა გავრცელების დინამიკის შესწავლა და მათი, როგორც შესაბამისი ანტისაზოგადოებრივი კატეგორიისადმი მიკუთვნება;
2. სოციალურად საშიშ ქმედებათა წარმომშობი მიზეზებისა და პირობების კვლევა დინამიკაში;
3. დანაშაულებრივ ქმედებათა შედეგად გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის მასშტაბების განსაზღვრა;
4. სხვადასხვა სოციალური და სამართლებრივი ზემოქმედების ხარისხის დადგენა;

---

76. By Courtney Stanhope Kenny. *Foundamentals of criminal Low*. Cambridge, 1947. Pg. 47.

5. ქმედებათა მეტ-ნაკლებად ტიპიური ნიშნების დადგენა;
6. დანაშაულის შემადგენლობის ცალკეულ ელემენტთა სამართლებრივი შეფასება;
7. ქმედების სუბიექტის ნიშან-თვისებათა განსაზღვრა;
8. საზოგადოების ცალკეული ჯგუფების შეხედულებათა და აზრთა გათვალისწინება;
9. ცალკეულ ქმედებათა წინააღმდეგ მიმართულ სისხლისსამართლებრივ მექანიზმთა სისტემის ჩამოყალიბება.”<sup>77</sup>.

როგორც ვხედავთ, ჩამონათვალი ერთობ სრული და განვრცობითია და ატარებს არა თეორიულ-შინაარსობრივ, არამედ უფრო პროცედურულ-მეთოდოლოგიურ ხასიათს, თუმცა საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი წარმოაჩენს განსხვავებას, რომელიც შეინიშნება გალპერინისა და ქენის მოსაზრებებს შორის. ამ უკანასკნელთან, იგი წარმოდგენილია არა როგორც დავალების სახით, რომელიც აუცილებელია კრიმინალიზაციის პროცესში, არამედ, როგორც პრინციპებზე, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია. ამიტომაც, რომ ქენი საუბრობს არა წანამძღვრებზე, არამედ კრიმინალიზაციის პირობებზე.

ზოგადად, კრიმინალიზაციის საფუძვლებში უნდა ვიგულისხმოთ საზოგადოებაში მიმდინარე ისეთი პროცესები, რომელთა დაბადება-განვითარება ობიექტურად წარმოშობს მათი სისხლისსამართლებრივი დაცვის აუცილებლობას და რომელთა რეგულირება შეუძლებელია სამართლის სხვა დარგების მეშვეობით.

როგორც პროფესორი გ. ზლობინი აღნიშნავს, „კრიმინალიზაციის საფუძველია ის, რაც განაპირობებულა საზოგადოების რეალური, შინაგანი მოთხოვნებით სისხლისსამართლებრივი ნორმის შესაქმნელად და რომელთა რეგულირება შეუძლებელია სამართლის სხვა დარგების მიერ.”<sup>78</sup>.

უმეტეს შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი ნორმის შექმნის აუცილებლობა წარმოიშობა და ეფუძნება ცალკეულ ქმედებათა სოციალურ საშიშროებას და აქვს სისტემური და არა საგამონაკლისო ხასიათი. მხედველობაშია ისეთი მდგომარეობა, როდესაც სოციალურად საშიშ ქმედებათა განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებლები

77. გალპერინი ი. მ. Наказание- социальные функции. Практика применения. М. 1983. Ст.14.

78. Злобин Г. А. Основания и принципы уголовно-правового запрета. Сов. Государство и право. N-1. ст. 25.



ნებელი მაღალია და არ ატარებს კამპანიურ ხასიათს. მაგრამ თუ ქმედება გამოირჩევა, თუნდაც, უაღრესად დიდი სოციალური საშიშროებით და, ამასთან, არ არის დამახასიათებელი საზოგადოების ყოფითი ცხოვრებისთვის ანუ საგამონაკლისოა, ამ შემთხვევაში, იგი ვერ და არ იქნება განხილული კრიმინალიზაციის დაწყების საფუძვლად.

ასე მაგალითად: საქართველოს სისხლის სამართლის პრაქტიკისთვის ცნობილია შემთხვევა, როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში, მაღალმთიან აჭარაში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტს, როდესაც ადამიანთა გვამებს იყენებდნენ ღორების გამოსაკვებად.<sup>79</sup>

ალბათ, წარმოდგენელია სოციალურად უფრო საშიში და, ამასთან ერთად, ამაზე უფრო ამაზრზენი ქმედება, რომელიც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს. მაგრამ, ეს ფაქტი, რომელიც არ იყო დამახასიათებელი საზოგადოებისთვის და წარმოადგენდა უკიდურეს იშვიათობას, ვერ გახდა საფუძველი მისი კრიმინალიზაციისა.

კრიმინალიზაციის საფუძვლების თაობაზე მსჯელობს პროფესორი პ. დაგელი და აღნიშნავს, რომ „მიზანშეწონილია კრიმინალიზაციის საფუძვლების დაყოფა ობიექტური და სუბიექტური ნიშნების მიხედვით:

1. სისხლისსამართლებრივი რეგულირების ობიექტია ადამიანის ქმედება და არა მათი გრძობა, ტემპერამენტი თუ აზრთა წყობა;
2. სისხლისსამართლებრივი საშუალებებით შესაძლებელია ადამიანთა ქცევის რეგულირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ექვემდებარება მის გარე კონტროლს და არსებობს მისი დადასტურების შესაძლებლობა;
3. სისხლისსამართლებრივი საშუალებები გამოყენებულ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის შესაძლებლობა.”<sup>80</sup>

წარმოდგენილ კლასიფიკაციას, ჩვენი აზრით, გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მიუთითებენ რა კრიმინალიზაციის საფუძვლების პრობლემებზე, არ ეხებიან თვით ამ პრობლემის არსსა და მათი გადაწყვეტის გზებს.

---

79. მინდია უგრეხელიძე. სალექციო კურსი დოქტორანტებთან თბილისი 09.01.2020 წ.

80. Дагель П. С. Проблемы советской уголовной Политики. Владивосток 1982 г. Ст.45.

საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ზლობინი, რომელიც არსი იმაში მდგომარეობს, რომ „კრიმინალიზაციის საფუძვლები ეყრდნობა ორ გარემოებას:

1. გარემოებები, რომლებიც გამოხატავენ პასუხისმგებლობის ობიექტურ საჭიროებას და პოლიტიკურ მიზანშეწონილობას (სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური);
2. სისტემურ-სამართლებრივი პრინციპი, რომელიც ემსახურება სამართლის ნორმის შინაგან ლოგიკურ წყობას.”<sup>81</sup>.

ამრიგად, მიზანშეწონილია განხილულ იქნას ორი ჯგუფი ფაქტორებისა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კრიმინალიზაციის პროცესზე: სისხლის-სამართლებრივი აკრძალვის დასაბუთება და კრიმინალიზაციის პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ ორიენტირს და განეკუთვნებიან საკანონმდებლო ტექნიკის სფეროს.

#### **გ) კრიმინალიზაციის იურიდიულ-კრიმინოლოგიური საფუძვლები.**

კრიმინალიზაციის იურიდიულ-კრიმინოლოგიური ასპექტი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს იმ ქმედებათა კლასიფიკაცია, რომელთა მიმართაც გამართლებულია სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენება.

მართებულია პროფესორ ა. ფეფელოვის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს ძირითად ფაქტორს კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოსაცხადებლად.”<sup>82</sup>.

იგივე აზრია გატარებული პროფესორ გურამ ნაჭყეზიას სალექციო კურსში, სადაც ავტორი არგუმენტირებულად მიუთითებს, რომ „დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც განსაზღვრულ ზიანს იწვევს და ქმნის ამგვარი ზიანის გამოწვევის საფრთხეს. ეს უკვე იმის აღიარებაა, რომ დანაშაული სოციალურად საშიში ქმედებაა. დანაშაულისათვის დამახასიათებელი საშიშროება ახასიათებს, უპირველეს ყოვლისა, კრიმინალიზაციის ობიექტს, ე. ი. ადამიანის განსაზღვრულ ქმედებას. კანონმდებელი, დიახაც, ითვალისწინებს ქმედების ამ

---

81. Злобин Г. А. Основания и принципы уголовно-правового запрета. Советское государство и право. N-1. ст. 18

82. Фефелов П. А. Критерии установления уголовной наказуемости деяний. Сов. Государство и право 1970 г. N-11. Ст. 37.

სოციალურ საშიშროებას, როგორც დანაშაულის სოციალური თვისების გამოხატულებას. ეს ბუნებრივია, რადგან, თუ მცირემნიშვნელოვანი ქმედება დანაშაულად არ ითვლება, მაშინ საჭიროა ქმედების ის მნიშვნელობა, რაც დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი. აშკარაა, რომ საქმე ეხება შეფასებით ცნებას, რადგანაც მცირე თუ დიდი მნიშვნელობა შეფასებას თავის თავში მოითხოვს. აქედან გამომდინარე „ქმედების, როგორც კრიმინალიზაციის ობიექტის, სოციალური საშიშროება, შეფასებითი ცნებაა. იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ქმედების საზოგადოებრივი შეფასება მისი მნიშვნელობის მიხედვით. საზოგადოება, როგორც სუბიექტი, თავისი წევრების საქციელს შეფასებას აძლევს და ამით, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობასაც აწესრიგებს. იგულისხმება, სოციალური (საზოგადოებრივი) საშიშროების შეფასებითობაც, რადგან საზოგადოება უფლებამოსილია სახელმწიფოსგან მოითხოვოს კრიმინალიზაცია იმ ქმედებისა, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას ან ამგვარი ზიანის მიყენებით ემუქრება მას. სახელწიფო კი თავის მხრივ, ვალდებულია ყურად იღოს საზოგადოების ეს მოთხოვნა და საკუთარი პოლიტიკური მოტივაციის გათვალისწინებით დანაშაულად გამოაცხადოს იგი. ამრიგად, დანაშაულებრივი ქმედება მისი სოციალური საშიშროების გარეშე წმინდა ფორმალური რამ იქნებოდა.”<sup>83</sup>.

მართლაც, სოციალური საშიშროების ხასიათი განპირობებულია იმ ღირებულებებათა ფასით, რომელიც გააჩნია შესაბამის სიკეთეს. ამიტომაც, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობები, ხოლო შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი რეგულირდება სოციალური ზემოქმედების სხვა საშუალებებით და არა სასჯელის გამოყენების გზით. სოციალური ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხი განისაზღვრება კანონ-მდებლის მიერ, თავად სოციალური ურთიერთობის განვითარების შესაბამისად. მაგალითად: საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, 40-იანი წლების პერიოდში, შრომითი ურთიერთობის საკითხები არ რეგულირდებოდა სისხლისსამართლებრივი ნორმებით, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინარე პერიოდიდან, ამ ურთიერთობის მნიშვნელობა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მკვეთრად გაიზარდა და

---

83. ვ. ნაჭყებია. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. თბილისი 2002 წ. გვ. 19-20.

კანონმდებელმაც დააწესა მათი რეგულირების სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები. სოციალურად საშიში ხასიათი, რა თქმა უნდა, გულისხმობს საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების გათვალისწინებას, ისევე როგორც თვით ამ ქმედების განხორციელების ხერხს. დანაშაულად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ქმედება, რომლებსაც თავისი ობიექტური თვისებებიდან გამომდინარე, შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ზიანი. მაგალითად: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, როგორცაა ქურდობა, ძარცვა, ქონების დაზიანება და სხვა გამორჩევიან შესაბამისი მახასიათებლებით. ასეთი ქმედებები კანონმდებლის მიერ მიიჩნევა დანაშაულად, მაგრამ, შესაძლებელია გარემოებათა ისეთი თანწყობა, როდესაც სახეზეა ქონებრივი ზიანი, მაგრამ იგი დანაშაულად არ მიიჩნევა. შესაბამისად, ყველაფერი დამოკიდებულია ქმედების განხორციელების როგორც ანტისოციალურ ხერხზე, ისე მის ხასიათსა და ხარისხზე.

ამიტომ, ნიშანდობლივია პროფესორ ბეჟან ხარაზიშვილის დებულება, რომ „დანაშაული ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ანტისოციალური ხერხია.“<sup>84</sup>

ამდენად, სოციალური საშიშროება წარმოადგენს ისეთ ნიშანს, რომელიც დამახასიათებელია, როგორც დანაშაულისთვის, ისე ქმედებისთვის. ამიტომ, სოციალური საშიშროების დადგენის ერთ-ერთ კრიტერიუმად გამოიყენება სისხლის სამართლის სუბიექტის მახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომელიც, ცალკეულ შემთხვევებში, საერთოდ გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობას. ასეთ ნიშნებს განეკუთვნება ასაკი, სამსახურებრივი მდგომარეობა, შერაცხადობა და სხვა.

ქმედების სოციალურ საშიშროებაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და მისი შედეგების მიმართ, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტებს წარმოადგენენ. მიზანი და მოტივი არა თუ გავლენას ახდენს ქმედების საშიშროებაზე, არამედ მთლიანად ცვლის კვალიფიკაციასაც. ამიტომ, ობიექტურად, ერთი და იგივე ქმედება, მიზნისა და მოტივის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს დანაშაული ან არ იყოს, ან და ექცეოდეს დანაშაულის სხვადასხვა შემადგენლობის ფარგლებში. მაგალითად, ქურდობის შემადგენლობისთვის აუცილებელია ანგარების მოტივი, ხოლო სხვისი

---

84. ბ. ხარაზიშვილი. სიცრუის ფსიქოლოგია. თბილისი 1975 წ. გვ.12.

ქონების განადგურება, კომპიუტერულ სისტემებში უკანონოდ შეღწევა და სხვა წარმოადგენენ დამოუკიდებელ დანაშაულებრივ კონსტრუქციებს და, შესაბამისად, მათი სოციალური საშიშროების ხარისხიც სხვადასხვაა. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ ამ შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი, ტერორისტული მიზანია, მაშინ ამ ქმედების სოციალური საშიშროება გაცილებით მაღალია და სახეზე გვაქვს სრულიად სხვა დანაშაულის შემადგენლობა- ტერორისტული აქტი.

უნდა ითქვას, რომ ისეთი უნივერსალური კრიტერიუმის დადგენა, რომელიც საკმარისი იქნებოდა სოციალური საშიშროების დონის განსაზღვრისთვის და, შესაბამისად, ქმედებათა კრიმინალიზაციისთვის, ფაქტიურად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სოციალური საშიშროების პრინციპი მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ საჭიროა ცალკეულ ქმედებათა ყოველმხრივ კვლევა, მათი თავისებურებებისა და თვისებების დეტალურად შესწავლის მიზნით.

აქ, ბუნებრივად, თავს იჩენს კრიმინალიზაციის კიდევ ერთი იურიდიულ-კრიმინოლოგიური საფუძველი, რაც იმას გულისხმობს, რომ კრიმინალიზაციის აუცილებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს მისი რეგულირების სხვაგვარი საშუალება. კრიმინალიზაციის ყოველმხრივ დასაბუთების აუცილებლობა იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოშობს უარყოფით სოციალურ შედეგებს. ასე რომ, კრიმინალიზაცია თავისი არსით წარმოადგენს არა სიკეთეს, არამედ ისეთ აუცილებელ ბოროტებას, რომლის დროსაც ხდება სოციალურად ნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერესების დათმობა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ყოველთვის თავს იჩენს დღემდე არსებული პრობლემა, სამართლებრივი ნორმის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ეს საკითხი, განსაკუთრებული სიმწვავეით წარმოჩინდება კიბერსივრცეში წარმოშობილ სოციალურად საშიშ ქმედებებთან მიმართებაში, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიბერსივრცე უნივერსალურია, ამ სიტყვის ფართო გაგებით და მოიცავს ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. ამიტომ, სოციალურ სიკეთეთა კონკურენციის მთელი სირთულე ისე მწვავედ არსად არ ვლინდება, როგორც კიბერსივრცეში. ეს პრობლემა, თავის მხრივ, მჭიდროთ უკავშირდება

კრიმინალიზაციის დასაბუთების ისეთ იურიდიულ-კრიმინოლოგიურ ფაქტორებს, როგორცაა ასეთ ქმედებათა წარმოშობი მიზეზებისა და საფუძვლების განხილვა დინამიკაში, რაც ,თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ დღის წესრიგში დგება საშიშ ქმედებათა წარმოშობა-განვითარებაზე დაკვირვება დინამიკაში; იმის დადგენა, თუ როგორია მათი გავრცელების ტენდენცია. ჩატარებული კვლევები და მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა შეძლებისდაგვარად განისაზღვროს ამ ქმედებათა აღკვეთის ეფექტიანი საშუალებები.

#### **დ) კრიმინალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები.**

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სოციალურ ურთიერთობებზე განხორციელებული სამართლებრივი ზემოქმედების მასშტაბები გაცილებით უფრო მკაცრი და რადიკალურია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისას. შესაბამისად, თანმდევი უარყოფითი შედეგების მასშტაბიც, პროპორციულად უფრო დიდია. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა პრობლემა კრიმინალიზაციის, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეების ურთიერთშეფასების თაობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისით, ქმედების კრიმინალიზაცია მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუ მოსალოდნელი დადებითი შედეგი გაცილებით მეტია, ვიდრე უარყოფითი. ეს თვალსაზრისი, თავისი ბუნებით, კრიმინალიზაციის სოციალურ - ეკონომიკურ მხარეს განეკუთვნება. ზოგადად, სისხლისსამართლებრივი ნორმის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები, საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს, როგორც მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ-სოციალურ მდგომარეობას, ისე მსჯავრდების შედეგად, საზოგადოების ეკონომიკური კლიმატის გაუარესებას. როგორც პროფესორი ა. კორობეევი აღნიშნავს „კრიმინალიზაციას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ და მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც საზოგადოებას აყენებენ საკმაოდ სერიოზულ მატერიალურ და მორალურ ზიანს. ამიტომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრიორიტეტების იერარქიული მოწესრიგება, რათა მოხდეს სოციალურ ღირებულებათა ოპტიმალური მოდელების დადგენა.“<sup>85</sup>.

---

85. Коробеев А.И. сщв. Уголовно-правовая политика. Владивосток 1987 г. Ст.14.

ზოგადად, ამა თუ იმ ქმედებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს კრიმინალიზაციის შედეგად დადგენილი სანქციების სისტემა. სწორედ, ამ სეგმენტში ვლინდება კრიმინალიზაციის, როგორც სოციალ-ლური კონტროლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ბუნება. კრიმინალიზაციის სოციალ-ეკონომიკური საფუძვლების ერთ-ერთ ფაქტორად, პროფესორი კორობევი მიიჩნევს თავად სისხლისსამართლებრივი ნორმის რეალიზაციისათვის აუცილებელ რესურსებს, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ კრიმინალიზაციის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას არა მხოლოდ სამართლებრივი ასპექტები, არამედ მისი რეალიზაციის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

ეს თვალსაზრისი, განსაკუთრებით აქტუალურია და მთელი სიმწვავეით იჩენს თავს კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებათა კრიმინალიზაციის დროს, სადაც უახლოესი ტექნოლოგიების გამოყენებისას, წარმოიშობა სოციალურად საშიშ ქმედებათა მთელი მრავალფეროვნება. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ კიბერსივრცეში საქმიანობა და მის საფუძველზე, ობიექტურად წარმოშობილი ქმედებები მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალი დონის მეცნიერულ ცოდნასთან, ისევე როგორც მაღალი ინტელექტის ადამიანებთან, ასეთ ქმედებათა კრიმინალიზაციის დასაბუთება უთუოდ მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და დაკავშირებულია მრავალ სირთულესთან. როდესაც საუბარია საკითხის კომპლექსურობაზე, მხედველობაში გვაქვს პროცესუალურ ნორმათა ანალიზიც. ამას ეხმაურება ი. გალპერინის მოსაზრება, რომ, „განსაზღვრულ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესი გულისხმობს არა მარტო მატერიალური რესურსების არსებობის დადგენას, არამედ მისი პროცესუალური კუთხით განხორციელების შესაძლებლობასაც.“<sup>86</sup>

მართლაც, სისხლისსამართლებრივი აკრძალვის პრაქტიკული რეალიზაციისთვის, ერთი მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვანია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კანონი, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას, შეიძლება სიცოცხლისუნარიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დადგენაა შესაძლებელი. სხვა სიტყვებით ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროცე-

---

86.Галперин И. М. Наказание- социальные функции и практика применения. М. 1983. Ст.21.

სულურად შესაძლებელი უნდა იყოს. ამ მოთხოვნის ზოგადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ უნდა იქნას დადგენილი თუ რა საშუალებებით უნდა მოხდეს მტკიცების პროცესი და არსებობს თუ არა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსები (მაგალითად, მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება საქართველოში).

მატერიალური და პროცესუალური ასპექტების ერთიანობის პრინციპი კრიმინალიზაციის პროცესში სადავოა, რადგანაც თუ დაცული იქნება სისხლისსამართლებრივი დევნის წესები, მაგრამ, ამავე დროს, არ იქნება შესაბამისი რესურსები მისი რეალიზებისთვის, სისხლის სამართლის კანონი ვერ განხორციელდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არსად და არავის ექნება მისი განხორციელების შესაძლებლობა.

მართლაც, თუ არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსები, მაგრამ არ არის დაცული სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადო ნორმები, სამართალგამოყენებით სფეროში შეუძლებელი იქნება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენა.

როგორც პროფესორი ქორთნი სტენჰოპ ქენი მიუთითებს: „სისხლისსამართლებრივი ნორმის მიზანშეწონილობა იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც იგი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს აღაშფოთებს და ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ შეხედულებებს.“<sup>87</sup>

ამიტომ, ლოგიკურია, რომ კრიმინალიზაცია შესაძლებელია სოციალურ-ფსიქოლოგიური და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არ იქნა გათვალისწინებული საზოგადოების განვითარების დონე მის ყველა ასპექტში, სისხლის სამართლის ნორმა თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებს და იარსებებს მხოლოდ სახელმწიფო იძულების ხარჯზე, რაც, საბოლოოდ, მაინც განწირულია და დაექვემდებარება გაუქმებას. ამიტომ, სისხლის სამართლის კანონის ეფექტიანობის საფუძველია მისი სოციალ-ფსიქოლოგიურ და ტრადიციულ-ისტორიულ ქრილში დასაბუთება. ამ მოსაზრებას ადასტურებს პროფესორი მ. ბობიევა. „ნებისმიერი ნორმატიული სისტემა და დებულებები განწირულია იმისთვის, რომ დარჩნენ ფორმალურ კანონთა კრებულებად, თუ არ იქნება გათვალისწინებული ადამიანთა საქმიანობის სოციალ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. რომელშიც, რა თქმა უნდა, ბუნებრივად მონაწილეობს იდეოლოგიისა და შემეცნების ფაქტორები.“<sup>88</sup>

87. Courtney Stanhope Kenny. Outlines of Criminal Law. Franklin Classics. October 12. 2018. Pg.56

88. Бобиева М. Н. Социальные нормы и регуляция поведения. М. 1978. Ст.67.



ამდენად, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ქმედების კრიმინალიზაცია უნდა იყოს მორალურად დასაბუთებული და საზოგადოების უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი. საზოგადოებრივი აზრი ინტენსიურად განიცდის მთელი რიგი ფაქტორების მხრიდან ინტენსიურ ზემოქმედებას. მაგალითად, რაიმე სახის ზიანის მომტანი ქმედება შეიძლება გახდეს საფუძველი საზოგადოების აღშფოთებისა, თუმცა ასეთი აზრი, ყოველთვის არ მოდის თანხვედრაში სოციალურ საჭიროებასთან. ერთ შემთხვევაში, სასჯელის გამკაცრების მოთხოვნა სრულიად ბუნებრივია დაზარალებულის ახლობელთა მხრიდან, მაშინ როდესაც, ასევე, ლოგიკურია საწინააღმდეგო მოსაზრება დამნაშავეის ახლობელთა მხრიდან. ასე რომ საზოგადოებრივ აზრში ყოველთვის შეიძლება არსებობდეს როგორც სუბიექტური ხასიათის კერძო მოსაზრებები, ასევე, ისეთი ხასიათის წარმოდგენებიც, რომლებიც ობიექტურად ასახავენ საზოგადოებრივ მოთხოვნებს. ამდენად, საზოგადოებრივი აზრი, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსობრივი დატვირთვისაა, მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიმინალიზაციის პროცესში და მისი უგულებელყოფა შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ პროფესორმა ს. პოლენინამ მიუთითა, ,, შესაძლებელია მივიღოთ ისეთი შედეგები, რომელსაც ადგილი ექნებოდა მაშინ თუ უარყოფილი იქნებოდა ნებისმიერი იდეა თუ შეხედულება, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი აზრის შემადგენელი ნაწილია.”<sup>89</sup>.

ამრიგად, კანონმდებელი უნდა მიისწრაფოდეს იმისკენ, რომ სოციალური ურთიერთობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება, საზოგადოების მხრიდან უნდა იმსახურებდეს მოწონებასა და მხარდაჭერას, უნდა განიხილებოდეს როგორც სოციალური საჭიროება. ასეთი თვალსაზრისი შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სამართლებრივი რეგულირების სხვა მექანიზმთა არაეფექტიანობა. ამიტომ, საზოგადოებრივი აზრი, სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების თაობაზე, კანონმდებლისთვის წარმოადგენს არსებით სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს. თუმცა, ყოველივე ეს, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საზოგადოებრივ აზრს გააჩნია უნივერსალური თვისება და არ არის ზღვარდადებული. ამისთვის არსებობს კრიმინალიზაციის პრინციპები და სტანდარტები.

---

89. Поленина С. В. Законодательство в российской федерации. М.1996. ст.34.

საგულისხმოა ფრანგი კრიმინალისტი, გ. ტარდის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „სათნოებათა სისტემა, როგორც დანაშაულთა სისტემა, პერმანენტულად იცვლება ისტორიის მსვლელობის კვალდაკვალ, მაგრამ ისტორიული განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე, ცალკეული ქმედებები ყოველთვის ითვლე-ბოდა ანტისოციალურად.”<sup>90</sup>.

ფრანგი სოციოლოგი ე. დიურკჰეიმი, ასევე, თვლიდა, რომ „დანაშაულებრივი ქმედება, თავისთავად, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად არ არსებობს. დანაშაული, როგორც ასეთი, დანაშაულად მიიჩნევა საზოგადოების განვითარების შესაბამის ეტაპზე. მაგალითად, ძველი ათენის კანონების მიხედვით, სოკრატე უპირობოდ ითვლებოდა დამნაშავედ და მისი დასჯა, მოქმედი სამართლით, არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ, მისთვის ბრალად შერაცხულმა დანაშაულმა, კერძოდ კი, აზრის თავისუფლების იდეამ, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია არა მარტო მის ქვეყანას, არამედ სრულიად კაცობრიობას. სწორედ მან დაუდო დასაბამი ახალი მორალისა და რწმენის დაბადებას, რომელიც ასე სჭირდებოდა ათენსა და მის საზოგადოებას. ამიტომაც, რომ ლიბერალური ფილოსოფიის წინამორბედად უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ყველა ჯურის ერეტიკოსი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უმკაცრესად ისჯებოდნენ ხელისუფლების მიერ.”<sup>91</sup>.

#### **დ) სოციალური კონტროლის ( კრიმინალიზაციის) განხორციელების მეთოდები.**

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სოციალური კონტროლის უმთავრეს დანიშნულებას, მაინც, სოციალურ გადახრათა პრევენცია წარმოადგენს. სოციალურ ურთიერთობათა დაცვა, თავისთავად, გულისხმობს მისი კონტროლის მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საზოგადოების პოზიტიური საქმიანობის სტიმულირება და, ამავე დროს, მავნე ტენდენციების აღმოფხვრა.

არსებობს სოციალური კონტროლის ფორმებისა და მეთოდებისადმი მიდგომის მრავალი სახე. ამიტომ, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია გამოვეყნოთ და განვიხილოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომლის საფუძველზეც

90. Тард Г. - Сравнительная преступность. М. 1907. Ст. 46.

91. E. Durkheim. Rules of Sociological. Eith ed. 1992. Pg.65.

უფრო გაგვიადვილდება კრიმინალიზაციის ადგილის განსაზღვრა თავად სოციალური კონტროლის სისტემაში. ეს კი, თავის მხრივ, თეორიული საფუძველია კიბერ-სივრცეში განხორციელებულ ქმედებათა კრიმინალიზაციის დასაბუთების გზაზე. ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნას ინფორმაციული, სოციალურ-პროფილაქტიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, რეპრესიული და სხვა მეთოდები.

ინფორმაციული მიმართულება ეფუძნება დებულებას იმის თაობაზე, რომ სოციალურ ნორმათა დარღვევები, ხშირ შემთხვევებში, განპირობებულია კანონმდებლობის ცოდნის დაბალი დონით, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არ არის ცნობილი სამართლებრივ ნორმათა შინაარსი. ამ დებულებამ ასახვა ჰპოვა საერთაშორისო დოკუმენტებში. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-6 კონგრესის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „სამართლის ცოდნა ხელს უწყობს საზოგადოების მართლშეგნების დონის ამაღლებასა და მართლწესრიგის დამყარებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი მექანიზმია სოციალური კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებისა და ასოციალურ ქმედებათა შემდგომი პრევენციის განსახორციელებლად.“<sup>92</sup>.

ინფორმაციულობის ადგილი განისაზღვრება იმითაც, თუ რა გავლენას ახდენს სამართლებრივი ნორმის არცოდნა სამართალდარღვევის ფორმირებაზე.

ნორმის ინფორმაციულობის დონე განისაზღვრება თავად ნორმის ხასიათიდან გამომდინარე.

მაგალითად, შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სისხლის სამართლის პროცესუალურ და მატერიალურ ნორმათა არცოდნის დროს, მაგრამ ადამიანს ხელეწიფება იმის შეგნება, რომ არ უნდა ჩაიდინოს მკვლელობა და ქურდობა მაშინაც კი, როდესაც, საერთოდ, წარმოდგენაც არ აქვს სისხლის სამართლის კოდექსზე. ამის საფუძველს იძლევა მოჭარბებული სოციალური ინფორმირებულობა, რომელიც გარკვეულწილად ფარავს სამართლებრივი ნორმის შინაარსსა და მოთხოვნებს. უფრო მეტიც, კრიმინოლოგიური გამოკვლევებით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ განზრახი ანტისოციალური ქმედებებისთვის, კონკრეტული სამართლებრივი ნორმის ცოდნას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

---

92. Sixth United Nation Congress on the Prevention of crime. Caracas, Venezuela, 25 August. 1980. Pg.5

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ სოციალურ თუ სამართლებრივ ნორმათა ცოდნის მიზანშეწონილობა, მთელ რიგ შემთხვევებში, ნაკარნახევია სოციალური საქმიანობის სპეციფიკით. ასეთი შეიძლება იყოს:

ა) პროცედურული ხასიათის მოქმედებები.

ბ) პროფესიული საქმიანობა

გ) ადამიანის, როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობები.

პროცედურულს განეკუთვნება ისეთი ხასიათის ნორმები, რომლებიც მიმართულია პოზიტიური ხასიათის სოციალური შედეგების დადგომისკენ, ხოლო მათი შეუსრულებლობა, როგორც წესი არ იწვევს რაიმე სახის სანქციებს.

პროფესიული ცოდნა აუცილებელია განსაზღვრული პირების მიერ შესაბამისი ფუნქციების განსახორციელებლად. განსაკუთრებით, ეს ვლინდება გაუფრთხილებლობის დროს, რა დროსაც, კონკრეტული ნორმებისა თუ უსაფრთხოების წესების ცოდნა სავალდებულო ხასიათს ატარებს.

ადამიანის, როგორც მოქალაქის მიერ თავისი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა მტკიცე გარანტიაა ნებისმიერი საზოგადოების ნორმალური არსებობისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივ ნორმათა ცოდნის ხარისხი და მისი ზემოქმედების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა ამ ნორმების შინაარსი დუბლირებული სხვადასხვა სახის სოციალურ ნორმებში. მაშასადამე, აუცილებელია სოციალურ-ნორმატიული ცნობიერების დონის ამაღლება, რაც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით. პირობითად, ეს შეიძლება იყოს:

1. ნორმის ცოდნის რაციონალიზაცია;
2. ნორმის სტაბილურობისა და პასუხისმგებლობის გარდუვალობის დემონსტრირება;
3. სამართლებრივი სისტემის პრესტიჟის ამაღლება;
4. საინფორმაციო საშუალებათა კონკურენციის არსებობა, არაობიექტური ინფორმაციის აღმოფხვრის მიზნით;
5. ნორმატიული ინფორმაციის მოსახლეობისთვის გაცნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციულობა, სოციალური კონტროლის მეთოდების პროცესში მეტად საინტერესო და ნაყოფიერია, თუმცა, მისი ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კონტროლის სხვა მეთოდებთან ერთად.

სოციალურ-პროფილაქტიკური მიდგომა მიმართულია ანტისოციალური მოვლენების გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა და აღმოფხვრისკენ. ამიტომაცაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-5 კონგრესმა სათანადოდ მიუთითა, რომ „სამართლიანი განაწილება, შესაბამისი განაწილება, სოციალური მომსახურების კარგი დონე და თვითოეული მოქალაქის სამუშაოთი უზრუნველყოფა, დამნაშავეობის პრევენციის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა.“<sup>93</sup>

სოციალურ-პროფილაქტიკური საქმიანობა გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმებს. არსებობს საერთო და სპეციალური პრევენციული ღონისძიებები, რომელთაგან საერთო გულისხმობს იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების, კულტურული და სამართლებრივი დონის ამაღლებისთვის.

როგორც პროფესორი ა. ჟალინსკი მიუთითებს: „ანტისაზოგადოებრივი მოვლენები შეიძლება აღმოფხვრას საერთო სოციალური დონის ამაღლებით, მაგრამ ეს დებულება გამართლებულია მხოლოდ ტენდენციაში, ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით.“<sup>94</sup>

სპეციალური ღონისძიებები გულისხმობს სისტემას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ცალკეულ ანტისოციალურ ქმედებათა თავიდან აცილება და აღმოფხვრა. ასე მაგალითად: იმის გათვალისწინებით, თუ რა ხასიათისაა ქმედება, შესაძლებელია მათი დიფერენცირება სამართლებრივ, ეთიკურ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია სოციალური პროფილაქტიკის სამი მიმართულება. პირველი გულისხმობს საზოგადოების ძირითად სოციალურ-ეკონო-

---

93. Fifth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders. Economik and Social Consequences of Crime: New Challenges for Research and planning. Geneva, Switzerland, 1-12 September. [shorturl.at/tzFX0](http://shorturl.at/tzFX0)  
94. Жалинский А. Э. Избранные труды Криминология. Т. 16. М.2014. стр.14.

მიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას. მეორე მიმართულების არსი მდგომარეობს ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე ზემოქმედებაზე და მესამე, როდესაც ზემოქმედება მიმართულია ცალკეულ ინდივიდებზე.

რამდენადაც ზოგიერთი სოციალური გადაცდომა შესაძლოა განპირობებულ იყოს სამედიცინო-ბიოლოგიური ასპექტებით, შესაბამისად, არსებობს მასზედ რეაგირების შესატყვისი მექანიზმები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას, რო-გორც დამატებითი ღონისძიებები. სოციალური კონტროლის ეს ღონისძიებები გამოი-ყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სოციალური ნორმების დარღვევის პარალელურად, ადგილი აქვს სამედიცინო ხასიათის ნორმათა დარღვევებსაც. პირობითად, მსგავს შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფსიქიკური აშლილობის დროს, რომელიც არ გამოირიცხავს პირის შერაცხადობას, ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკო-მანიის საწყის ეტაპსა თუ სტრესული მდგომარეობისას.

შევეხებით მხოლოდ იმ დოზით რაც აუცილებელია კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

მხედველობაში გვაქვს ისეთი ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა, როდესაც პირს შენარჩუნებული აქვს საკუთარ თავზე კონტროლი და, რაც საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნას სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები. რა თქმა უნდა, საკითხი მოცულობითი და პრობლემატურია, რომელსაც კვლევის ფორმატიდან გამომდინარე, დეტალურად ვერ განვიხილავთ.

ზოგადად, არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ორი, ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. პირველი თვალსაზრისის მიხედვით, დამნაშავეობის დონეს განაპი-რობებს ადამიანთა სოციალური მდგომარეობა და, ამ შემთხვევაში, სამედიცინო ხასიათის ღონისძიებათა გამოყენება აზრს კარგავს. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, დანაშაულებრიობა ადამიანის ბიოლოგიური თვისებაა და ამ შემთხვევაში, სამედი-ცინო-ბიოლოგიური ღონისძიებები განხილულ უნდა იქნას სოციალური კონტროლის ძირითად სახეებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მიმართულება აქტიურად ვითარდებოდა და იხვეწებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 70-იან წლებში. ქართულ სამეცნიერო კვლევებში ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი არ დათმობია.

სოციალური კონტროლის განხორციელების ყველაზე ტრადიციული მიდგომა სანქციის გამოყენებაა და სწორედაც რომ იგი წარმოადგენს მწვავე კრიტიკის ობიექტს. ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მრავალ სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით კეთდება არგუმენტირებული განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ მკაცრი ხასიათის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არაეფექტიანია. უფრო მეტიც, ამ თვალსაზრისის მიხედვით, დევიაციურ ქმედებათა უმეტესობის აღმოფხვრა რეპრესიული მეთოდებით შეუძლებელია და საპირისპირო შედეგს იძლევა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ სოციალური კონტროლის სფეროში სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებები მნიშვნელობას კარგავს?

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სოციალური კონტროლის განხორციელების იერარქიულ კიბეზე, სისხლის სამართალს ყველაზე ბოლო ადგილი უკავია და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც კონტროლის განხორციელებისას პრიორიტეტი ენიჭება ისეთ საშუალებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული იძულებასთან, არამედ, პირველ რიგში, გამოიყენება ისეთი მექანიზმები, რომლებიც ზნეობრივ ნორმებთან ერთად მიმართული არიან მსგავსი პრობლემების ცივილური მოწესრიგებისაკენ და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც არსებული საშუალებები ვერ უზრუნველყოფენ ურთიერთობათა ნორმალიზებას, ადგილი ეთმობა სისხლის სამართალს.

საკითხს თუ ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, განვითარებულ ქვეყნებში დასაბამი დაედო რეპრესიული მეთოდების უკონტროლო ლიბერალიზაციას. ეს გამოწვეული იყო მოჭარბებული გამამტყუნებელი განაჩენებისა და მათ საფუძველზე დანიშნული მკაცრი სასჯელებით. მაგრამ, ცხოვრებისეულმა რეალობამ აჩვენა, რომ დანაშაულის სტატისტიკა მკვეთრად გაუარესდა, რამაც მთელ რიგ ქვეყნებს ხელი ააღებინა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე.

ჩვენი აზრით, ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში, გადამწყვეტი მაინც ზომიერების, დანაშაულისა და სასჯელის ჰარმონიზაციის პრობლემაა. კრიმინალიზაციის პროცესი მაქსიმალურად უნდა ასახავდეს საზოგადოების სამართლიან მოთხოვნას და ნაკარნახევი უნდა იყოს უკიდურესი აუცილებლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური კონტროლის ისეთი მკაცრი იარაღი, როგორც კრიმინალიზაციაა,

გამოყენებულ იქნება ხელისუფლების სუბიექტური შეხედულებებისა თუ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებად. სწორედ ამაშია პრობლემის არსი და ის სირთულე, რომელიც თან ახლავს კრიმინალიზაციის პროცესს. რა თქმა უნდა, უფრო მიმზიდველი და ჰუმანურია დეკრიმინალიზაციის პროცესი, უფრო ადვილია მისი ფორმალური დასაბუთება და პროპაგანდა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს შორის არსებული ზღვარი ხშირად შეუმჩნეველია და კონკურენციის არსებობისას, საზოგადოების მხრიდან პრიორიტეტი თითქმის ყოველთვის პირველის სასარგებლოდ კეთდება, მაშინ როდესაც მეორის აუცილებლობა საზოგადოების სამართლიანი და ობიექტური მოთხოვნებიდან გამომდინარე, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამიტომ, კრიმინალიზაციის, როგორც სოციალური კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმის ავკარგიანობაზე საუბარი არამართებულია. იმთავითვე ცხადია, რომ კონტროლის ამ საშუალებაზე, საზოგადოებას, მისი განვითარების არც ერთ სტადიაზე უარი არ უთქვამს და ვერც იტყვის უახლოვეს მომავალში. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად, რადოზითაა შესაძლებელი მისი გამოყენება და როგორია მისი დასაბუთების შესაძლებლობა.

სწორედ ამ საკითხს შეეხება პროფესორ ი. გილინსკის მოსაზრება, სადაც იგი აქცენტებს აკეთებს მომეტებული კრიმინალიზაციის უარყოფით მხარეებზე: „მინდა შევახსენო რკინისებრი მართლწესრიგის მომხრეებს, რომ კაცობრიობამ გამოსცადა წესრიგის დამყარების ყველა რეპრესიული მეთოდი, მაგრამ ვერავითარი შედეგი ვერ მიიღო. ამასთან, ნეგატიური სანქციები არ გამოირჩევიან დიდი ეფექტიანობით და მათ მრავალრიცხოვნობას აქვს უკუეფექტი, აჩენს რა კანონის დარღვევის ცდუნებას. ამიტომ, მრავალი განვითარებული ქვეყნის აღიარებული დებულებაა: ყველაფერი დაშვებულია, რაც აკრძალული არ არის. მომეტებული კრიმინალიზაციის პროცესი უთუოდ მიგვიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები საერთოდ არ იქნება გამოძიებული რეალურად, რადგანაც სამართალდამცავი სისტემა ვერ „გადახარშავს“ მას. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ სამართლებრივ პრაქტიკაში დამკვიდრდება და განხორციელდება შერჩევითი სამართალი. გამოძიებულ იქნება ის საქმე, რომელიც მიზანშეწონილად მიაჩნია ვიღაცას. ყოველივე



ეს კი, საბოლოოდ, მიგიყვანს პასუხისმგებლობის გარდუვალობის დეველ-  
ვაციამდე.”<sup>95</sup>.

გილინსკის მსჯელობაში მისაღებია მხოლოდ მითითება, რომ მომეტებული კრიმინალიზაცია და უთანაზომოდ მკაცრი სასჯელები არაეფექტიანია, მაგრამ ეს სრულებითაც არ იძლევა მასზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველს. არასწორად მიგვაჩნია, ასევე, განაცხადი იმის თაობაზე, რომ განვითარებული ქვეყნების მიერ აღებულია დეკრიმინალიზაციის კურსი, რადგანაც თუ გადავხედავთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები, სასჯელთა სისტემა, მტკიცებულებითი სტანდარტი თუ ხანდაზმულობის ვადები, გაცილებით გამკაცრდა ბოლო პერიოდში და გაცილებით რეპრესიულია ეროვნულ კანონმდებლობასთან შედა-რებით. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2000 წლიდან მოყოლებული, დღემდე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რა დრო-საც კრიმინალიზაციას დაექვემდებარა მთელი რიგი ქმედებებისა, მათ შორის, კიბერ-სივრცეში განხორციელებული, მანამდე, ერთი შეხედვით, „უწყინარი“ გადაცდომები. ამასთან, საგრძნობლად გამკაცრდა სასჯელები, თვით სიკვდილით დასჯის ჩათ-ვლით. რა თქმა უნდა, კრიმინალიზაციის პროცესი უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის სამართლებრივ კრიტერიუმებს, სისხლის სამართლის მეცნიერულ კვლევებს და, რაც მთავარია, საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს. ამიტომ, როდესაც საუბარია კრიმინალიზაციაზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მის მნიშვნელობაზე (რაც არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს), არამედ იმაზე, თუ რა უდევს მის განხორციელებას საფუძველად, რამ განაპირობა მისი აუცილებლობა და რა მეთოდები გამოიყენება ამ პროცესში, რამდენად თანხვედრაშია იგი არა მარტო საჭიროებასთან, არამედ საზოგადოებაში მოქმედ ზნეობრივ ნორმებთან. მართლაც, სამართალი ხომ პოლიტიკის, მორალისა და ზნეობის ერთგვარი ნაზავია.

---

95. Гилинский Я. Криминология – учебник для ВУЗ. Санкт-Петербург 2002. Ст. 11.

ცალკე განხილვას ექვემდებარება, პროფესორ მინდია უგრეხელიძის მიერ შემუშავებული და დანერგილი „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი“ სისხლის სამართალში, რომელიც გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის პრინციპია, ასევე, ასრულებს სამართლებრივი მეთოდის ფუნქციას და კვლევის ფარგლებში აკისრია ორიენტირის ფუნქცია, ქმნის ერთგვარ სამართლებრივ კარკასს და სტატისტიკურ მეთოდან ერთად, ცალკეულ სისხლისსამართლებრივ კონსტრუქციათა შემუშავებისა და კრიმინალიზაციის პროცესში, საწყის ეტაპზევე, განსაზღვრავს ქმედების კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობას. ეს პრინციპი ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევს ცალკეულ შემადგენლობათა საჭიროებისა და მეცნიერული დასაბუთების საქმეში. განსაკუთრებით, ეს ეხება კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას, რომელსაც ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, განსხვავებით, სხვა, მრავალი ქვეყნისგან, არ იცნობს. ამიტომ, ამ სამართლებრივი ინსტიტუტის მართებულობაზე მსჯელობისას, ამ პრინციპის აუცილებლობა აშკარაა.

პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „უმართლობის ამა თუ იმ ტიპის კონსტრუირებისა და შესაბამისი შემთხვევების ტიპიზაციისას საერთოდ, მარტო იმის უნარი კი არ მიიღება მხედველობაში, რომ ხდომილებათა დიდ მასაში, მსგავს ქმედებას (კანონში უმართლობას) შეუძლია ზიანი ან მისი საფრთხე გამოიწვიოს, არამედ ისიც არის თუ არა ტიპური (ტიპობრივი) და ადეკვატური იმ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს კავშირი, რომლებიც ამ ქცევის ერთიან, განუყოფელ სტრუქტურას ქმნიან. ეს უნარი, თვისება და მდგომარეობა, რომელსაც პირობითად შეიძლება ტიპობრივი ვალენტობა ეწოდოს, უფრო განვრცობითი სახით ასე ხასიათდება: ამა თუ იმ უმართლობის ცნების ფორმირებისას მარტო თავსებადობის კავშირი კი არ მიიღება მხედველობაში ქმედების ობიექტურ მხარეს და მის წარმო-მშობ ფსიქოფიზიოლოგიურ (სუბიექტურ მხარეს) წყაროს შორის, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ტიპურია, ტიპობრივია შემთხვევათა დიდი მასისთვის.“<sup>96</sup>

მართლაც, თავისთავად, ზოგიერთი ქმედება, შეიძლება სრულად აკმაყოფილებდეს კრიმინალიზაციის პროცესის მოთხოვნებს, იყოს სოციალურად საშიში და

---

96. მ. უგრეხელიძე. ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში. მაცნე N-11. თბილისი 2017 წ. გვ. 40.

იწვევდეს საზოგადოების აღშფოთებას, მაგრამ იმის გამო, რომ იგი არ არის „ტიპური“ და მის განხორციელებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევიდან შემთხვევამდე, ვერ იქნება კრიმინალიზაციის ობიექტი. ასე მაგალითად: „საქართველოს სასამართლო პრაქტიკისთვის ცნობილია შემთხვევა, როდესაც მაღალმთიან აჭარაში, გვამებს იყენებდნენ ღორების გამოსაკვებად.“<sup>97</sup>

დამეთანხმებით, რომ წარმოდგენელია ამაზე უფრო საშიში და, ამავდროულად, ამაზრზენი ქმედება, რომელიც ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს. მიუხედავად ამისა, მსგავსი ქმედება ვერ გახდა საფუძველი მისი კრიმინალიზაციისა, სწორედაც რომ მისი ატიპიური ხასიათის გამო.

„ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი“ ყველაზე კარგად წარმოაჩენს კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის თავისებურებას, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება ყველა დანარჩენ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესისგან. განსაკუთრებით, ეს ითქმის ისეთი ტიპის კიბერდანაშაულებრივ უმართლობათა მიმართ, რომელიც შეიძლება განხორციელდეს გაუფრთხილებლობითაც. ჩვენი აზრით, აქ იკვეთება საკითხისადმი მიდგომის ორი, უაღრესად მნიშვნელოვანი თვალსაზრისი. პირველი თვალსაზრისით, თუ კიბერდანაშაულებრივ ხასიათის ქმედებები წარმოდგენენ დამოუკიდებელ უმართლობათა კატეგორიას, მაშინ ჩვენ მოგვიწევს ცალკეული დანაშაულის შემადგენლობათა საჭიროებისა და აუცილებლობის დასაბუთება, მათი შემდგომი კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის დასაყენებლად. შემდეგ კი, უნდა დასაბუთდეს ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობაც („ობიექტივაციის მეთოდი“) და არა მარტო შესაძლებლობა, არამედ ისიც, რომ იგი ტიპურია სოციალური ურთიერთობისთვის.

მეორე თვალსაზრისით, კიბერდანაშაულებრივი ქმედებები მოაზრებულ უნდა იქნას, უკვე არსებულ, ტრადიციულ შემადგენლობათა ფარგლებში და, ამ შემთხვევაში, მისი გაუფრთხილებლობით განხორციელების საკითხიც გადაწყდება უკვე არსებული სამართლებრივი კონსტრუქციის მიხედვით.

რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ რა ტიპის უმართლობას წარმოსდგენს „კიბერდანაშაულებრივი“ ხასიათის ქმედებები, არის დამოუკიდებელი უმართლობა თუ განეკუთვნება იგი უკვე არსებულ დანაშაულთა შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტს, ამის თაობაზე, ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქ კი იმას აღვნიშნავთ, რომ

97. მ. უგრეხელიძე. სამართლის სადოქტორო პროგრამის სალექციო კურსი. თბილისი. 09.01.2020 წ.

„ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი” არსებითად ზღუდავს ისეთი ტიპის შემადგენლობების კრიმინალიზაციას, რომელსაც ჩვენ გაუფრთხილებლობას მივაკუთვნებთ.

„ტიპობრივი ვალენტობის პრინციპის გამოყენება არსებითად ზღუდავს გაუფრთხილებლობის დასჯადობის სფეროს სისხლის სამართალში, თავსებადობის კონსტატაცია (ობიექტივირებული ქმედებისა ფსიქიკის უყურადღებო მდგომარეობასთან) ვერ უზრუნველყოფს ასეთ შეზღუდვას. თავსებადობის პრინციპით ორიენტაციისას მხოლოდ იმას შევიტყობთ, რომ უყურადღებობამ შეიძლება გამოვლინება ჰპოვოს ლამის ნებისმიერ სხეულებრივ მოძრაობაში. ეს შესაძლებელს ხდის შევიქმნათ წარმოდგენა იმ ტიპის ქმედების ერთიანი სტრუქტურის შესახებ, რომელშიც ობიექტური და სუბიექტური ელემენტები ერთმანეთთან მდგრადი კავშირით იქნებოდნენ შერწყმული. გამორიცხული არ არის, რომ მართლ თავსებადობის პრინციპით აგებულმა ცნებამ გაუფრთხილებლობით ქმედებისა თავის ორბიტაში მოაქციოს ატიპური შემთხვევები და მაშინ სისხლის სამართალს ოპერი-რება მოუწევს ცნებებით, რომლებიც არ ასახავენ და გამოხატავენ მოვლენათა შორის კანონზომიერ კავშირებს.”<sup>98</sup>

როგორც ვხედავთ, კიბერსივრცეში წარმოშობილ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შემადგენლობის ცალკეულ ელემენტთა შორის თავსებადობის საკითხის გარკვევა, არამედ მისი ტიპურობა. ამის გარეშე, ნებისმიერი დასაბუთება მხოლოდ საკითხის წმინდა ფორმალური განხილვა იქნებოდა.

ამიტომ, კიბერდანაშაულებრივ შემადგენლობათა აუცილებლობის დასაბუთებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებებით: „პირველ ეტაპზე, მკაცრად უნდა განისაზღვროს იმ ქმედებათა წრე, რომელიც „დახშულია გაუფრთხილებლობისათვის.” შემდგომ საჭიროა მოინიშნოს იმ ქმედებათა არადიფერენცირებული სფერო, რომელიც კარხსნილია გაუფრთხილებლობისთვის, ე.ი. პრინციპულად ვარგისია კრიმინალიზაციისთვის. ამ გზით მოპოვებული მასალის შემდგომი აქსიოლოგიური და იურიდიული დამუშავება შეიძლებოდა მიგვეჩნია პროგრამის რეალიზაციის მეორე ეტაპად. მესამე ეტაპად გვესახება გაუფრთხილებლობით ქმედებათა ცალკეული შემთხვევებისა და ჯგუფების რეკომენდირებული კრიმინალიზაციის შესახებ. და ბოლოს, მეოთხე ეტაპი- კანონმდებლობისთვის სპეციალური კატალოგისა და რუქის შედგენა გაუფრთხილებლობის შემთხვევათა კრიმინალიზაციის მიზნით.”<sup>99</sup>

---

98.მ. უგრეხელიძე. ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში. მაცნე N-11. თბილისი 2017 წ. გვ. 46.  
99. იხ. იქვე გვ. 48.

## თავი III. კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი

### რეგულირების პრობლემა

#### 3.1. ცალკეული ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა.

იმთავითვე უნდა შევთანხმდეთ, რომ კიბერუსაფრთხოებისა და მისი შემადგენელი ნაწილის - კიბერდამნაშავეობის საკითხი, აშკარად სცილდება ცალკე აღებული ქვეყნისა და ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებს. ამის მიზეზი კი მისი ტრანსნაციონალური და გლობალური ხასიათია.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავას არ იწვევს კიბერდანაშაულის, როგორც მომეტებული საშიშროების საკითხი, ისე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობა. სწორედ, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობითაა შესაძლებელი კიბერუსაფრთხოების გარკვეულწილად უზრუნველყოფა და შესაბამის ჩარჩოებში მოქცევა.

დღემდე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების უმეტესი ნაწილი, არსებული მონოგრაფიები, სადისერტაციო ნამუშევრები თუ ცალკეული სტატიები, ეძღვნება კიბერდანაშაულის წარმოშობის ისტორიულ ასპექტებს, ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას, კიბერუსაფრთხოების ტექნიკურ მხარეებს და დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული კონსტრუქციების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, ისევე როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს. ამ კუთხით, რაიმე არსებითი და აქტუალური პრობლემა ვერ იქნება წინ წამოწეული და განხილული, ხოლო იგივე საკითხთა განმეორებით კვლევა, საკითხისადმი მხოლოდ ფორმალური მიდგომა იქნებოდა და არავითარ მეცნიერულ ღირებულებას ვერ შეიძენდა. ამიტომ, ჩვენს მიერ, საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ანალიზისას გამოვყოფთ მხოლოდ ძირითად და კვლევისთვის, იმ არსებულ მინიმუმს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ფოკუსირება მოვახდინოთ ჩვენს მიერ დასმული საკითხების ირგვლივ, რომლის არსიც იმის გარკვევაში მდგომარეობს - თუ რამდენადაა შესაძლებელი კიბერდანაშაულებრივი ხასიათის ქმედებები მივაკუთვნოთ დამოუკიდებელ უმართლობათა კატეგორიას და მეორე - მსგავსი კატეგორიის ქმედებათათვის, რამდენადაა „კარხსნილი“ (მ. უგრეხელიძე) გაუფრთხილებლობა.

ამასთან, ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ასახული კომპიუტერული დანაშაულები განხილულ იქნება ერთიან კონტექსტში, სხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან ერთად.

**ამერიკის შეერთებული შტატები** - პირველი კანონპროექტი, რომლითაც დაწესებულ იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, შემუშავებულ იქნა აშშ-ში, ჯერ კიდევ 1977 წელს. ამ კანონპროექტის საფუძველზე, 1984 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი „თაღლითობისა და კომპიუტერის ბოროტად გამოყენების შესახებ“ (Computer Fraud and Abuse Act, CFAA).<sup>100</sup> აღნიშნული კანონი მოგვევლინა პირველ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტად ისტორიაში, რომელმაც დააწესა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიბერსივრცეში ჩადენილი, სოციალურად საშიში ქმედებისთვის. ამ კანონმა, დროთა განმავლობაში, არაერთხელ განიცადა ცვლილება და დამატება: განსაკუთრებით, სასჯელთა გამკაცრების კუთხით. არსებული კანონის საფუძველზე კრიმინალიზაციას დაექვემდებარა შემდეგი სახის ძირითადი დანაშაულის შემადგენლობები: კომპიუტერული ჯაშუშობა; ინფორმაციაზე არასანქცირებული წვდომა; კომპიუტერული თაღლითობა; დაცული კომპიუტერების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანება; კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილი მუქარა, გამოძალვა, შანტაჟი და სხვა. სასჯელთა სახე და ზომა დამოკიდებული იყო მიყენებულ ზიანსა და დამნაშავის პიროვნულ მახასიათებლებზე და ითვალისწინებდა როგორც ფულად ჯარიმებს, ისე თავისუფლების აღკვეთას. ამჟამად, მოქმედი კანონის მიხედვით, პირვანდელ ვარიანტთან შედარებით, საგრძნობლად გამკაცრებულია სასჯელთა ზომები და ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედებისთვის გათვალისწინებულია 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე. (U.S. Code: Title 18).<sup>101</sup>

მთავარი მაინც ისაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, ეროვნული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ითვალისწინებს კიბერდანაშაულებრივ შემადგენლობათა გაუფრთხილებლობით ჩადენას.

---

100. ob. shorturl.at/gltKU

101. ob. shorturl.at/chuKO

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აშკარად იკვეთება მსგავსი კატეგორიის დანაშაულთა სოციალური საშიშროების გათანაბრების ტენდენცია, ტრადიციულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა სოციალურ საშიშროებასთან. მართალია, ეს არ გამოირჩევა მის პირობითად, ( ეს პრობლემა ამერიკული სისხლისსამართლებრივი სისტემისთვის საერთოდ არაა აქტუალური) დამოუკიდებელ უმართლობად განხილვას, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩვენს მიერ ადგილი ექნება კიბერდანაშაულთა დამოუკიდებელ უმართლობად აღიარების მიზანშეუწონლობის დასაბუთებას. ამ საკითხზე ოდნავ მოგვიანებით გვექნება მსჯელობა, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც კიბერტექნოლოგიათა სამშობლოდ მიიჩნევა, მიზანშეწონილად და აუცილებლად მიიჩნევს ქმედებათა ამ კატეგორიისათვის გაუფრთხილებლობის წრის გაფართოვებას. ეს გარემოება კი, აშკარად მიგვანიშნებს ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ხარვეზზე.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში შეინიშნება კიბერდანაშაულის შემადგენლობათა დიდი სიმრავლე, რომელიც გერმანულ-რომანული სამართლებრივი ოჯახის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის უცნობია. ეს გარემოება განპირობებულია, ერთი მხრივ, ამ სამართლებრივი სისტემის თავისებურებით და, მეორე მხრივ იმით, რომ ამერიკული სოციუმი მთლიანად კომპიუტერიზებულია. შესაბამისად, კიბერტექნოლოგიები სრული დატვირთვით მონაწილეობენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში და არა თუ მონაწილეობენ, არამედ კარნახობენ კიდევ თავიანთ დღის წესრიგს. ამასთან, ამერიკული ფულად-საკრედიტო და ფინანსური სისტემის არქიტექტურას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კიბერტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ფენომენი. ამიტომ, ბუნებრივია ისიც, რომ ამ ურთიერთობაში აღმოცენდა მრავალი საფრთხის შემცველი ქმედება, რომელთაც დროთა განმავლობაში განიცადეს კრიმინალიზაცია, ხოლო კიბერდანაშაულის მიმართ არსებული მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკის წყალობით, მათ მიმართ დაწესდა უმკაცრესი სასჯელები.

აშშ-ს კანონმდებლობაში არსებულ დანაშაულის შემადგენლობათა სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ანალიზი საჭიროებს ცალკე კვლევასა და მიდგო-მებს, რაც ჩვენი კვლევის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებლად გვეჩვენება. მაგრამ, არსებულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა მრავალფეროვნებაზე მიუთითებს

შემდეგი გარემოებები: 1984 წელს მიღებულმა კანონმა კომპიუტერული უსაფრთხოების შესახებ განიცადა მრავალი ცვლილება - დამატება ( 1986, 1988, 1989, 1994, 1996) და 1986 წელს შეიცვალა სახელწოდებაც - „1986 წლის კანონი, კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობისა და მისი ბოროტად გამოყენების თაობაზე.“<sup>102</sup> ამასთან, ეს კანონი აისახა ამერიკის შეერთებული შტატების კანონთა მე-18-ე კრებულის 47-ე თავის 1030-ე პარაგრაფში. ამ კანონით გათვალისწინებულია ისეთი შემადგენლობები, როგორიცაა: კომპიუტერულ ბაზებზე წვდომისათვის, ნაქურდალი ან/და ფალსიფიცირებული მოწყობილობებით ვაჭრობა, ფულადი სახსრების, მომსახურების ან საქონლის მიღების მიზნით.<sup>103</sup> ეს არის ძირითადი შემადგენლობა, რომლის შემდგომაც ხდება მისი დიფერენცირება სხვადასხვა შემადგენლობებად. როგორც ჩანს, კანონმდებლის ნება მიმართულია შემადგენლობათა კრიმინალიზაციისკენ, როგორც დანაშაულის ჩადენის მეთოდების, ისე კანონით დაცული ობიექტისა და დანაშაულის საშუალების მიხედვით.

ქვეყანაში არსებულმა „კიბერდანაშაულებრივმა“ ქაოსმა, იძულებული გახადა ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოები მიეღოთ მთელი რიგი სპეციალური კანონები, რომლებიც დაარეგულირებდა კიბერსივრცეში არსებულ მძიმე მდგომარეობას. ამის მაგალითია ფლორიდის შტატის „კანონი კომპიუტერულ დანაშაულთა შესახებ“,<sup>104</sup> სადაც კანონმდებელი აკეთებს კომპიუტერულ დანაშაულთა კლასიფიცირებას სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; მეორე ჯგუფში ერთიანდება ისეთი სახის დანაშაულები, რომლებიც მიმართულია კომპიუტერულ მოწყობილობათა ან/და დამხმარე საშუალებების მიმართ (აქ იგულისხმება კომპიუტერულ სისტემათა დაზიანება, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით) და ბოლოს, მესამე ჯგუფს მიაკუთვნეს კომპიუტერით მოსარგებლეთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. (აქ იგულისხმება კომპიუტერით ნებისმიერი უნებართვო სარგებლობა და ოპერაციები).

102. ob.18 U.S. Code § 1030 - Fraud and related activity in connection with computers. [shorturl.at/dfmtB](http://shorturl.at/dfmtB)

103. ob. იქვე. [shorturl.at/pxyK5](http://shorturl.at/pxyK5)

104. Мазуров В.А., Потапов Д.П., Сорокин В.В. Компьютерные преступления: анализ уголовного законодательства США и Германии // Известия Алтайского государственного университета. 2005. № 2. С. 59-66.



აქაც, ფედერალური კანონის მსგავსად, ადგილი აქვს დანაშაულებრივ შემადგენლობათა სიმრავლეს.

მნიშვნელოვანია, ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სადაც „კომპიუტერულ დანაშაულთა შესახებ“ კანონში (იხ. მუხლი 33.01) განსაზღვრულია ისეთი კატეგორიები, როგორცაა „ხელმისაწვდომობა,“ „კომპიუტერი,“ „კომპიუტერული პროგრამა,“ „კომპიუტერული სისტემა,“ „კომპიუტერული მომსახურება,“ „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა,“ „კომპიუტერული მონაცემი,“ „კომპიუტერული ვირუსი,“ „ზიანი,“ „ მესაკუთრე,“ „ საკუთრება,“ „ტელე-საკომუნიკაციო საშუალებებთან წვდომის კონტაფაქტული მოწყობილობები,“ და მრავალი სხვა.<sup>105</sup> მსგავსი ტერმინოლოგიური განმარტებები თვით კანონის ფარგლებში, ერთი მხრივ, მოსახერხებელია მისი გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა ხდება კანონის ტექსტის უთანაზომოდ გადატვირთვა. ზოგადად კი, ასეთ განმარტებათა საკანონმდებლო დეფინიცია ხელს უწყობს რაიმე სახის ორაზროვნების აღმოფხვრას და აადვილებს კანონის ინტერპრეტაციის პროცესს. მოცემულ საკანონმდებლო აქტებში თავმოყრილია კომპიუტერულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა სოლიდური ოდენობა და რაც ამერიკული სამართლისთვისაა დამახასიათებელი, თანაარსებობენ პროცესუალურ ნორმებთან ერთად.

**დიდი ბრიტანეთი** - ქვეყანაში კიბერუსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსგავსი კატეგორიის ურთიერთობათა სისხლისსამართლებრივ რეგულირებას, რომლის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენენ პასუხისმგებლობის დაწესება კომპიუტერული დანაშაულისთვის (computer crime) და დანაშაულისთვის, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტის გამოყენებასთან ( Internet related crime). არსებულ, მრავალრიცხოვან, ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს 1990 წლის კანონი კომპიუტერულ ტექნოლოგიათა არამართლზომიერი გამოყენების შესახებ (Computer Misuse Act).<sup>106</sup> აღნიშნული კანონით წესრიგდება საინფორმაციო სფეროში მიმდინარე

---

105. 16. Уголовный кодекс штата Техас / Научное редактирование и предисловие канд. юрид. наук, проф. И.Д. Козочкина. Перевод с английского Д.Г. Осипова, И.Д. Козочкина. СПб.: Изд-во Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2006. Ст. 576

106. Computer Misuse Act 1990. First Published 1990, Reprinted in the United Kingdom by The Stationery Office Limited. London, 1997.

პროცესები. 1998 წლის კანონი - პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (Data Protection Act)<sup>107</sup>; 2001 კანონი - სოციალურ სფეროში მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; 2006 წლის კანონი - პოლიციისა და იუსტიციის შესახებ ( The Police and Justice Act)<sup>108</sup>. და სხვა მრავალი ნორმატიული აქტი.

ამ სამართლებრივ აქტებში თავმოყრილია კიბერტექნოლოგიების არამართლზომიერ გამოყენებასთან დაკავშირებული უამრავი დანაშაულებრივი შემადგენლობები, რომელთა კრიმინალიზაციაც განაპირობა კიბერსივრცეში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა, რომელთან გამკლავებაც, სხვა, სოციალური კონტროლის მექანიზმებით შეუძლებელი გახდა. ანალიტიკური სამსახურების შეფასებით, ჯერ კიდევ 2010 წელს, კომპიუტერული დანაშაულის შედეგად გამოწვეულმა ზიანმა შეადგინა 27 მილიარდი ფუნტი სტერლინგი. უშუალოდ, მოქალაქეებისადმი მიყენებული ზიანი განისაზღვრა 3,1 მილიარდი ფუნტი სტერლინგით, ხოლო დაწესებულებებიდან, ინტელექტუალური საკუთრების ქურდობით მიყენებული ზიანი შეფასდა 9,2 მილიარდი ფუნტი სტერლინგით.<sup>109</sup>

მიუხედავად ნორმატიული აქტების სიმრავლისა, უპირატესი მნიშვნელობა მაინც 1990 წლის კანონს - კომპიუტერული ტექნოლოგიების არამართლზომიერ გამოყენებას ენიჭება. აქ ასახულ ძირითად შემადგენლობათა საფუძველზე მიღებულ და კრიმინალიზირებულ იქნა მრავალი სოციალურად საში ქმედება.

რა თქმა უნდა, ასევე, შეუძლებელია ყველა შემადგენლობის დეტალური მიმოხილვა და იგი არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს. კრიმინალიზირებულ შემადგენლობები შეეხება და მიმართულია როგორც საინფორმაციო სფეროში აღმოცენებული არამართლზომიერი ქმედებების, ისე, მთლიანად კიბერსივრცის სისხლის-სამართლებრივი რეგულირებისკენ.

დიდმა ბრიტანეთმა, კანონმდებლობის საერთაშორისო ჰარმონიზაციის მიმართულეებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. 2011 წელს რატიფიცირებული იქნა

---

107. Data Protection Act 1998. London.

108. Social Security Fraud Act 2001. London.

109. The cost of cyber. A detica report in partnership with the office of cyber security and information assurance in the cabinet office.London 2010.

ევროპის საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის კონვენცია, რომელიც შეეხებოდა კიბერ-დანაშაულს.

**ავსტრალია** - კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას უზრუნველყოფს ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, ავსტრალიის სისხლის სამართლის კოდექსი. მის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ კანონმდებელი, სისხლის-სამართლებრივი ნორმების კონსტრუირების დროს, რათა თავიდან აიცილოს ტერმინოლოგიური სირთულეები, აყალიბებს ტერმინთა დეფინიციას. კოდექსის 476-ე განყოფილებაში (წინმსწრები დანაწესები) განმარტებულია ტერმინთა მნიშვნელობა, რომელიც შემდგომ ასახულია ცალკეულ მუხლებში. ასე მაგალითად: კომპიუტერულ მონაცემებზე წვდომა განმარტებულია, როგორც ა) კომპიუტერში არსებული მონაცემების ჩვენება ეკრანზე ან/და ნებისმიერი სხვა ფორმით მონაცემთა მიღება. ბ) მონაცემების კოპირება ან/და მათი გადაადგილება ნებისმიერ სხვა ადგილზე ან მონაცემთა განთავსების სხვა მოწყობილობაზე.

მსგავსი განმარტებები მრავლადაა და ეფექტიანად ასრულებს თავის მიზნებს. ამ ფონზე, ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განსხვავებული მდგომარეობაა, სადაც მრავალი ტერმინის დეფინიცია მოცემულია პროცესუალურ ნორმებში, მაშინ როდესაც სამართლებრივ და სხვა ტერმინთა დამკვიდრება უფრო სისხლის სამართლის პრეროგატივაა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კომპიუტერული (და არა კიბერ-დანაშაულებრივი) დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 თავით (ეროვნული ინფრასტრუქტურა) და წარმოდგენილია სხვადასხვა დანაშაულებრივი შემადგენლობები: სერიოზული დანაშაულის ჩასადენად, არასანქცირებული წვდომა ან მონაცემთა მოდიფიკაცია; არასანქცირებული მოდიფიკაცია მონაცემთა გაუარესების დანზრახვით; ელექტრონული კავშირის გაუარესება; დაცულ მონაცემთა არასანქცირებული მოდიფიკაცია ან წვდომა მათზე; კომპიუტერულ დისკზე არსებული არასანქცირებული მონაცემების გაუარესება და სხვა.<sup>110</sup> ამასთან, რაც ყურადსადეობა, ავსტრალიის სისხლის სამართლის კოდექსი,

---

110. Уголовный кодекс Австралии. Научное редактирование проф. И.Д. Козочкин, Е.Н. Трикоз. Перевод Е.Н. Трикоз. Санкт-Петербург, Юридический центр Пресс, 2002.

ცალკე აწესებს სპეციალური სუბიექტის - თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

**კანადა** - სპეციფიურობით გამოირჩევა კანადის სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც კომპიუტერული კატეგორიის დანაშაულებრივი შემადგენლობები, ასახულია დამატებებისა და შესწორებების სახით. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ კოდექსში ფორმულირებული ცალკეული მუხლების დასახელება არ ხდება ტრადიციული სამართლებრივი გზით და ცალკეული მუხლების, თავებისა თუ დანაყოფების აღსანიშნავად გამოიყენება ციფრობრივი ნუმერაცია. აღნიშნული სამართლებრივი სტრუქტურა საშუალებას იძლევა კანონის პირთა ფართო წრის მიმართაც იქნას გამოყენებული. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, განპირობებულია კომპიუტერულ დანაშაულთან მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობით.

ასეთია, მოკლედ ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა კომპიუტერულ დანაშაულებთან მიმართებაში. არსებული დანაშაულებრივ შემადგენლობათა სიმრავლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოწვეულია კიბერტექნოლოგიების სოციალიზაციითა და კომპიუტერიზაციის არნახული ტემპებით.

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა** - გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში, კომპიუტერულ დანაშაულს, საგანგებო ადგილი არ ეთმობა და მსგავსი შინაარსის შემადგენლობებს ვხვდებით სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთა თავებში, კოდექსის ცალკეული მუხლების სახით.

კოდექსში გამოყენებულია ტერმინი „Daten“, რომლის განმარტებაც მოცემულია 202-ე მუხლში და გულისხმობს მონაცემებს, რომლებიც ინახება კომპიუტერულ ბაზებში და გადაეცემა ელექტრონული, მაგნიტური თუ სხვა, ვიზუალურად შეუმჩნეველი საშუალებით.<sup>111</sup>

---

111. **German Criminal Code (Strafgesetzbuch – StGB)**

Full citation: Criminal Code in the version published on 13 November 1998 (Federal Law Gazette I, p. 3322), as last amended by Article 2 of the Act of 19 June 2019 (Federal Law Gazette I, p. 844)

კომპიუტერულ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება 303 - ე მუხლის შემადგენლობა, რომელიც ითვალისწინებს კომპიუტერულ საბოტაჟსა და კომპიუტერული ვირუსის გავრცელების შემთხვევებს.

თუ რატომ არ ეთმობა კომპიუტერულ დანაშაულებს გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი, საგანგებო ადგილი, საკითხის შემაჯამებელ ნაწილში ავხსნით.

**უკრაინის რესპუბლიკა** - 2013 წლის 12 მარტს, უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა კანონპროექტი N-2483, რომელიც მიმართული იყო კიბერდანაშაულებრივ ქმედებებთან საბრძოლველად. იმავე წლის ივნისის თვეში, უმაღლესი რადის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა კანონპროექტი „ინფორმაციული სივრცის დაცვის შესახებ” რომლის მიზანსაც შეადგენდა ინტერნეტ-რესურსების რეგულირება.

კომპიუტერულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ რეგულირებას დათმობილი აქვს უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის XVI-ე განყოფილება (სისხლისსამართლებრივი დანაშაულები ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების [კომპიუტერების], კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების კავშირგაბმულობის ელექტრონული ქსელების გამოყენების სფეროში) და შედგება ექვსი მუხლისგან:

**მუხლი 361.** ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების (კომპიუტერის), ავტომატიზირებულ სისტემების, კომპიუტერული ქსელებისა და კავშირგაბმულობის ქსელების მუშაობაში არასანქცირებული ჩარევა.

**მუხლი 361<sup>1</sup>.** მავნე პროგრამული და ტექნიკური საშუალებების შექმნა, მისი გამოყენების, გავრცელების ან გასაღები მიზნით, აგრეთვე მისი გავრცელება ან გასაღება.

**მუხლი 361<sup>2</sup>** ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებში (კომპიუტერებში), ავტომატიზირებულ სისტემებში, კომპიუტერულ ქსელებში, ან ინფორმაციის მატარებელ საშუალებებში, შეზღუდული წვდომის ინფორმაციის არასანქცირებული გასაღება ან გავრცელება.

**მუხლი 362.** ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებში (კომპიუტერებში), ავტომატიზირებულ სისტემებში, კომპიუტერულ ქსელებში ან ინფორმაციის მატარებლებში არსებული ინფორმაციის მიმართ არასანქცირებული ქმედება, ჩადენილი ამ ინფორმაციაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

**მუხლი 363.** ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების (კომპიუტერის), ავტომატიზირებული სისტემის, კომპიუტერული ქსელების ან კავშირგაბმულობის ქსელების ექსპლუატაციის წესების დარღვევა ან/და ინფორმაციის შენახვისთვის დადგენილი წესების უგულებელყოფა.

**მუხლი 363<sup>1</sup>.** ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების (კომპიუტერის), ავტომატიზირებული სისტემების, კომპიუტერული ქსელების ან კავშირგაბმულობის ქსელებისთვის ფუნქციონირებისთვის ხელი შეშლა.<sup>112</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ამით ამოიწურება კომპიუტერულ დანაშაულთა რეგლამენტაცია, რომელსაც შესაბამისი შემადგენლობები არეგულირებენ, მაგრამ რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ ამავე კოდექსის 190-ე მუხლის (თაღლითობა) მე-3 ნაწილის შემადგენლობა ითვალისწინებს თაღლითობის შემადგენლობის განხორციელებას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. (თაღლითობა, ჩადენილი უკანონო ოპერაციების განხორციელებით, ელექტრო-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით).

ამ შემთხვევაში, კანონმდებელი მიზანშეწონილად არ თვლის და არ ქმნის დამოუკიდებელ დანაშაულის შემადგენლობას ( კიბერთაღლითობას), მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული თაღლითობა მრავალი ქვეყნის მიერ მიჩნეულია მომეტებული საფრთხის მატარებლად. შესაბამისად, არსებობს დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსტრუქციებიც.

გარდა ამისა, კოდექსის VII-ე განყოფილება დათმობილი აქვს სამეურნეო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებს (მუხლი 199-233), რომლის განხორციელებაც, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, თუმცა, კანონმდებელს აქ არ შემოაქვს კიბერდანაშაულებრივი ხასიათის დანაშაულის შემადგენლობები. უფრო მეტიც, ამ განყოფილებით გათვალისწინებული შემადგენლობები არც კი განიხილავენ კომპიუტერული ტექნოლოგიების როლს, როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებას და ისინი მიჩნეულ არიან დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტად, დანაშაულის განხორციელების საგნად ან საშუალებად (ფაკულტატური ელემენტები).

---

112 Уголовный кодекс Украины от 5 апреля 2001 года № 2341-III. По состоянию на 24.03.22 г.

ერთი შეხედვით, შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი, ჯეროვნად ვერ არეგულირებს კომპიუტერულ დანაშაულებს და არ მიიჩნევს მას მაღალი დონის საშიშროებად. მართლაც, კოდექსში გამოყენებული ტერმინოლოგია - „ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები,” სხვა არაფერია, თუ არა კომპიუტერულ ტექნოლოგიათა პირველი თაობა, მაგრამ, თუ ეს უმნიშვნელო ხარვეზად შეიძლება იქნას განხილული, იგივეს ვერ ვიტყვით კიბერდა-ნაშაულებრივი კატეგორიის შემადგენლობათა რეგლამენტაციაზე, როდესაც მთელი რიგი შემადგენლობების მიერ არ ხდება კიბერტექნოლოგიების მნიშვნელობის გათვალისწინება. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? საქმე გვაქვს კანონის ხარვეზთან, თუ იგი განპირობებულია სამართლებრივი მიზანშეწონილობით, პასუხი ამ კითხვაზე გაცემულ იქნება თემის განხილვის პროცესში.

გარდა ამისა, კოდექსის მთელ რიგ მუხლებში, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ფაქტი ასრულებს მაკვალიფიცირებელი გარემოების ფუნქციას. ამის მაგალითია: **მუხლი 258<sup>2</sup>** (საჯარო მოწოდება, ტერორისტული აქტის ჩადენის მიზნით). აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებას „იგივე ქმედება, ჩადენილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით”; მე-XII განყოფილების (საზოგადოებრივი უშიშროებისა და ზნეობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები) **301-ე მუხლის** (პორნოგრაფიული საგნების შემოტანა, დამზადება, გასაღება ან გავრცელება) მერე ნაწილი ითვალისწინებს იგივე ქმედებას, ჩადენილს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით; **301<sup>1</sup>-მუხლის** (საბავშვო პორნოგრაფიაზე წვდომა, შეძენა, შენახვა, შემოტანა, გადაზიდვა ან სხვაგვარი გადაადგილება, დამზადება, გასაღება ან გავრცელება) მეორე ნაწილი ითვალისწინებს ამ ქმედებათა განხორციელებას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით; **301<sup>2</sup>-მუხლის** (არასრულწლოვნის მონაწილეობით სექსუალური ხასიათის სანახაობის მოწყობა) მერე ნაწილი ითვალისწინებს ქმედების ჩადენას საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; მე-XX განყოფილების (მშვიდობის, კაცობრიობის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები) **436<sup>1</sup>-ე მუხლის** ( კომუნის-ტური და ნაციონალ-სოციალისტური [ნაცისტური] სიმბოლიკის დამზადება, გავრცელება ან

პროპაგანდა) მერე ნაწილი, რომელიც აღნიშნული ქმედების განხორციელებას, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით განიხილავს, როგორც დამამძიმებელ გარემოებას.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სრული სია იმ დანაშაულთა შემადგენლობებისა, რომლებიც მოქცეულ არიან ცალკეული მუხლების შემადგენლობებში, როგორც დამამძიმებელი გარემოება. ისიც მნიშვნელოვანია, რომ არსებულ სამართლებრივ კონსტრუქციათა უმეტესი ნაწილის ბუნება და მახასიათებელი ნიშნები, იმთავითვე გულისხმობს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების გარდაუვალობას.

რაც შეეხება, „კიბერდანაშაულის“ ცნების საკითხს, იგი გამოიყენება როგორც მეცნიერული კატეგორია და არ არსებობს მისი საკანონმდებლო დეფინიცია. ამის საჭიროება არც არის, რადგანაც უკრაინის მოქმედი კანონმდებლობა, ისე, როგორც სხვა ქვეყნებისა, იყენებს კომპიუტერული დანაშაულის ცნებას.

**აზერბაიჯანი.** ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მსგავსად, აზერბაიჯანის კანონმდებლობაც იყენებს „კიბერდანაშაულის“ ცნებას, მაგრამ არ არსებობს მისი საკანონმდებლო დეფინიცია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს გარემოება ანალოგიურ პრობლემებს ქმნის სამართალგამოყენებით სფეროში.

კიბერდანაშაულს ეთმობა სისხლის სამართლის კოდექსის ოცდამეათე თავი და შედგება (კიბერდანაშაული) ხუთი მუხლისგან. ყველა მათგანი განეკუთვნება განზრახ დანაშაულთა კატეგორიას და, ფაქტობრივად, იდენტურია ქართული სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ დანაშაულთა შემადგენლობებთან. ამიტომ, მათი განხილვა მოხდება ერთობლივად.

**საქართველო.** სისხლის სამართლის კოდექსში კიბერდანაშაულს დათმობილი აქვს XXXV-ე თავი და შედგება ხუთი მუხლისგან:

1. მუხლი 284. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა.
2. მუხლი 285. . კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება.
3. მუხლი 286. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა.



4. მუხლი 286<sup>1</sup>. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.

5. მუხლი 286<sup>2</sup>. ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა.<sup>113</sup>

წარმოდგენილ დანაშაულის შემადგენლობათა შინაარსი და სტრუქტურა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ყველა მათგანი განეკუთვნება განზრახ დანაშაულთა კატეგორიას. ამასთან, 286<sup>1</sup> და 286<sup>2</sup> მუხლების კრიმინალიზირება მოხდა შედარებით მოგვიანებით, 2021 წლის აპრილი-მაისის თვეში.

როგორც უკვე ითქვა, ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ განმარტავს „კიბერდანაშაულის” არსს და იძლევა მხოლოდ კომპიუტერის არამართლზომიერ გამოყენებასთან დაკავშირებულ ისეთ ტერმინოლოგიურ განმარტებებს, როგორცაა კომპიუტერული სისტემა, კომპიუტერული მონაცემი, უნებართვო შეღწევა და კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტი. აღნიშნულ ტერმინთა საფუძველზე უნდა განიმარტოს და ჩამოყალიბდეს კომპიუტერთან დაკავშირებული ქმედებების სტრუქტურა, ანუ კომპიუტერული დანაშაული.

### **3.2. „კიბერდანაშაულის,, სამართლებრივ-სისტემური მოწესრიგება**

სოციალურად საშიშ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესი, რომელიც სამართალშემოქმედებითი საქმიანობის რთული და მრავალასპექტიანი სფეროა, ყველაზე კარგად ჩანს კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა ანალიზის მაგალითზე.

განხილული საკანონმდებლო კონსტრუქციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ პრობლემები, რომლის არსიც შემდეგი საკითხების გარკვევაში მდგომარეობს:

#### **1) „კიბერდანაშაულის” ცნების სამართლებრივი ფუნქცია.**

„კიბერდანაშაულის” ეტიმოლოგიურ წარმომავლობაზე, ზოგადად, უკვე გვქონდა მსჯელობა და მასზე აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება, მის იურიდიულ დანიშნულებას, საინტერესოა, არის თუ არა იგი სინამდვილეში სამართლებრივი კატეგორია, თუ მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობის ან რაიმე სახის ურთიერთობის აღმნიშვნელია. საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ამ ტერმინის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს, არც ეროვნულ სისხლისსამართლებრივ და არც საზღვა-

---

113. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. N-2287. კონსოლიდირებული ვერსია 21.04. 2022 წ.

რგარეთის კანონმდებლობებში, მაშინ როდესაც საქართველოსა და აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსები იყენებენ ამ ტერმინს (კიბერდანაშაული).

თვითონ სახელწოდების, კიბერ და დანაშაულის კომბინაცია, მიგვითითებს დანაშაულის სპეციფიკურ კატეგორიაზე, ისევე როგორც „ნარკოდანაშაულის” შემთხვევაში, სახელწოდება ცხადყოფს, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს უმართლობის განსაზღვრული სახე. ლოგიკურია ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის XXXV-ე თავის სათაური (კიბერდანაშაული), ცალკეული უმართლობის აღმნიშვნელია.

ეს რომ ასეა, ადასტურებს პროფესორ გ. ნაჭყებიას მიერ განვითარებული თვალსაზრისი. კერძოდ: „დანაშაულის შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ორი დამოუკიდებელი ელემენტია, თუმცა, არსებობს მათი ერთიანობის იდეაც, რომელიც უმართლობის სახელითაა ცნობილი. იგულისხმება დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა.”<sup>114</sup>

მართლაც, უმართლობის ცნება გულისხმობს, დანაშაულთა კლასიფიკაციას გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით. რა ნიშნებია ეს, რომელიც „კიბერდანაშაულს” ცალკეულ უმართლობად აყალიბებს და რატომ ვამახვილებთ ყურადღებას, თითქოსდა, ისედაც არააქტუალურ საკითხზე, ქვევით ვიმსჯელებთ. მანამდე, თუ გავყვებით ნაჭყებიას მსჯელობას და მიუსადაგებთ მას კიბერდანაშაულის შინაარსობრივ მხარეს, არავითარი ეჭვი არ დარჩება იმისა, რომ კიბერდანაშაული დამოუკიდებელი უმართლობაა. „შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა გაერთიანებით, ერთიანდება შემადგენლობის ინდივიდუალობა და მართლწინააღმდეგობის ზოგადობა. ამ ვითარების ფონზე, აშკარად გამოიკვეთა უმართლობის ტიპის ცნებაც, რადგან სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, მართლაც, გადმოცემულია დანაშაულის შემადგენლობის ტიპური ნიშნები მათი ინდივიდუალიზაციის ფარგლებში. ამიტომ, შესაძლებელი გახდა უმართლობის ტიპიზაცია, ამა თუ იმ კონკრეტულ დანაშაულთა შესაბამისად, როგორცაა, მაგალითად: მკვლელობის უმართლობა, მარცვის უმართლობა და ა. შ.”<sup>115</sup>

---

114. გ. ნაჭყებია. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. (ლექციების კურსი. თბილისი 2002 წ. გვ. 120.

115. იხ. იქვე, გვ. 121.

„უმართლობის“ დაფუძნება შესაძლებელს ხდის და გულისხმობს არა მარტო ცალკეულ შემადგენლობათა უმართლობის ცნების არსებობას, არამედ შემადგენლობათა დაჯგუფებას (კლასიფიცირებას) საერთო ნიშნების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა კერძო ნაწილის თავებად და კარებად დასაყოფად. გარდა იმისა, რომ ეს, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით მოსახერხებელია, იგი ხელსაყრელი-ცაა სამართალგამოყენებითი კუთხით. ის გარემოება, რომ „კიბერდანაშაულის“ საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს, ქმნის მნიშვნელოვან გაურკვევლობას ამ კატეგორიის დანაშაულთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ისეთ სამართლებრივ გარემოს, როდესაც არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომელიც გამიჯნავდა კიბერდანაშაულებრივი კატეგორიის ქმედებებს, სხვა სახის უმართლობათაგან.

აქ კი თავს იჩენს არა მარტო საკანონმდებლო საქმიანობის ტექნიკური დაბრკოლებები, არამედ ისეთი სამართლებრივი პრობლემებიც, როდესაც ფაქტიურად ხდება ერთი და იგივე შემადგენლობათა დუბლირება. საბოლოოდ, ვიღებთ სისხლის-სამართლებრივ ნორმათა ისეთ თანაარსებობას, რომლის დროსაც, მათ შორის არსებული კონკურენცია და ის, თუ რომელ ნორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ვერ წყდება კანონის განმარტებისა და ინტერპრეტაციის გზით. ამ ვითარებაში, აუცილებელია კიბერდანაშაულის ცნების საკითხის დოქტრინალური განმარტება, მისი მახასიათებელი ნიშნებისა და სპეციფიკის დასადგენად.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ მხრივ, არ არსებობს კიბერდანაშაულის ერთიანი განმარტება, რაც ამ ფენომენის უნივერსალობით უნდა აიხსნას.

„კიბერდანაშაულის“ ცნება პირდაპირ უკავშირდება კიბერუსაფრთხოების ცნებას და მოიაზრება მის ფარგლებში. ამიტომ, კიბერუსაფრთხოება კიდევ უფრო მრავლის მომცველია და წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის საგანს. ამასთან, მისი შესწავლის საზღვრები, უმეტეს შემთხვევაში, იმთავითვე გულისხმობს ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საზღვრების დაახლოვებას (დიმენსი-ოლოგია).

ამ სფეროში მოღვაწე კომპეტენტური ექსპერტი, ალექსანდრე ლლონტი, მართებულად აღნიშნავს, რომ, კიბერუსაფრთხოებას არ გააჩნია ერთიანი, ყველასათვის მისაღები დეფინიცია. იქიდან გამომდინარე, თუ ვის შეეკითხებით, თქვენ მოისმენთ

განსხვავებულ პასუხებს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე სპეციალისტის პასუხი არ არის სწორი. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული სფერო არის ძალიან ფართო.”<sup>116</sup>.

არსებობს მისი საკანონმდებლო დეფინიცია და კანონმდებელი იფარგლება მხოლოდ კომპიუტერისა და მასთან დაკავშირებული, შესაბამისი, ტექნოლოგიური მონაცემების განმარტებით. მაგრამ, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისთვის ეს საკმარისი არ არის, რადგანაც საბოლოოდ, იგი უკავშირდება ბრალის პრობლემატიკას, რომლის ქვაკუთხედს მისი ინდივიდუალიზაცია წარმოადგენს. გასაგებია ისიც, რომ კოდექსსა და სხვა ნორმატიულ აქტებში არსებობს გარკვეული სახის განმარტებები კომპიუტერული დანაშაულის შინაარსის შესახებ და გაწერილია შესაბამისი შემადგენლობები. შეიძლება გამოითქვას საპირისპირო მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კოდექსში რეგლამენტირებული სამართლებრივი კონსტრუქციები წარმოადგენენ მკაცრად განსაზღვრულ, ცალკეულ შემადგენლობებს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, ამ კუთხით, არანაირი საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება, კომპიუტერულ შემადგენლობათა კლასიფიკაციას XXXV-ე თავის ფარგლებში, რომელიც „კიბერდანაშაულით” სათაურდება, არანაირ სამართლებრივ გაუგებრობას არ იწვევს.

მართლაც, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ბრალად შერაცხვა ხდება შესაბამისი, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, ცალკეული შემადგენლობების კვალდაკვალ და არა იმის მიხედვით, თუ რა სახით სათაურდება კოდექსის შესაბამისი თავი. გარდა ამისა, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კომპიუტერული დანაშაული მოიაზრება კიბერსივრცის და, შესაბამისად, კიბერდანაშაულის ფარგლებში. ამიტომ, „კიბერდანაშაულის” ტერმინოლოგიური და სამართლებრივი მიზანშეწონილობის საკითხი დავას არ უნდა იწვევდეს.

სავარაუდოდ, აღნიშნული კონტრარგუმენტი, სრულად იქნებოდა გაზიარებული, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც უკავშირდება მსგავსი კატეგორიის ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესს და კრიმინალიზირებულ შემადგენლობათა სისტემურ მოწესრიგებას. მხედველობაში გვაქვს მათი კლასიფიკაციისა და გარ-

---

116. ა. ლლონტი. კიბერუსაფრთხოების სახელმძღვანელო. პრაქტიკული გზამკვლევი. თბილისი 2019. გვ.7.

კვეული კატეგორიის უმართლობისადმი კუთვნილების საკითხი, როდესაც შეუძლებელია ცალსახად გაირკვეს, მაგალითად: კიბერტერორიზმი კომპიუტერული უმართლობაა თუ არა, ან პირადი ხასიათის ინფორმაციის გავრცელება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, წარმოადგენს თუ არ კომპიუტერულ (კიბერდანაშაულებრივ) დანაშაულებრივ უმართლობას და სხვა. მსგავსი მაგალითები მრავლადაა. აქ წარმოიშობა ლეგიტიმური კითხვა: თუ ზემოაღნიშნული შემადგენლობები კიბერდანაშაულებრივ უმართლობათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, მაშინ რატომ არ მოხდა მათი გაერთიანება კიბერდანაშაულთა სამართლებრივ სისტემაში.

მსგავსი გარემოება შეიძლება აიხსნას საკანონმდებლო ტექნიკის ნიუანსებითა და კრიმინალიზაციის პროცესის თავისებურებებით, ისევე, როგორც კანონმდებლის ექსკლუზიური უფლებით, სამართალშემოქმედებით საქმიანობაში. მაგრამ, პრობლემა გაცილებით უფრო სიღრმისეულია და თავს იჩენს სამართალგამოყენებით საქმიანობაში, როდესაც კოდექსში უსისტემოდ განლაგებული შემადგენლობები ქმნიან ნორმათა ისეთი კონკურენციის ვითარებას, რომელიც ართულებს ქმედებათა სასამართლო კვალიფიკაციას (განსაკუთრებით საგამოძიებო პრაქტიკაში). ხშირად ადგილი აქვს ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით, მაშინ როდესაც სახეზეა ხოლოდ ერთი უმართლობა.

ჩვენს მიერ დაყენებული პრობლემის აქტუალობა, პერმანენტულად წარმოჩინდება კონკრეტული, სასამართლო პრაქტიკიდან მოტანილი, მაგალითებითა და ცალკეულ, კიბერდანაშაულებრივ შემადგენლობათა კონსტრუქციების ანალიზისას.

მანამდე კი საინტერესოა ცალკეულ მეცნიერთა შეხედულებები „კიბერდანაშაულის“ არსისა და გაგების თაობაზე. პროფესორი ტ. ტროპინა, განიხილავს რა კიბერდანაშაულის მახასიათებელ ნიშნებს, აკეთებს დასკვნას: „კიბერდამნაშავეობა არის საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალიზაციის გარდაუვალი შედეგი. ანონიმურობა, სიმარტივე, ლატენცობა, დროის ეკონომიურობაწარმოადგენს იმ თვისებებს, რომელიც მიმზიდველს ხდის მას ადამიანებისთვის. ამასთან, იზიდავს მათ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად.“<sup>117</sup>.

---

117. Тропина Татьяна Львовна. АВТОРЕФЕРАТ диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. Владивосток — 2005. [shorturl.at/nHOY2](http://shorturl.at/nHOY2).

ტროპინა გამოყოფს, კიბერდამნაშავეობის, როგორც სოციალური სინამდვილის მახასიათებელ ნიშნებს, მისი საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით. მსგავსი ნიშნები კი დამახასიათებელია ნებისმიერი სოციალურად საშიში ქმედებისათვის. ამასთან, იგი მართებულად მიუთითებს, რომ „კიბერდამნაშავეობა, თავისი არსით, გაცილებით უფრო ყოვლის მომცველია, ვიდრე კომპიუტერული დანაშაული და შეიცავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ფართო სპექტრს. შესაბამისად, კიბერდანაშაული-არის ისეთი ბრალეული ქმედება, რომელიც მიმართულია კომპიუტერის, კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული მონაცემების წინააღმდეგ; არასანქცირებული მოდიფიკაცია, ასევე, ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედება, რომლის ჩადენაც შესაძლებელია კომპიუტერის უშუალო გამოყენებით ან მისი დახმარებით, ან/და ისეთი მოწყობილობით, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციულ სივრცეს.”<sup>117</sup>.

წარმოდგენილი დეფინიცია, მართალია, რეალურად ასახავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ ფრაგმენტულად და არა სრულად, რადგანაც არსებობს მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო დეფინიცია, რომელიც განსაზღვრავს კომპიუტერული დანაშაულის ცნებას.

თვით ბუდაპეშტის კონვენცია აყალიბებს რა კიბერდანაშაულის დეფინიციას, აქცენტს აკეთებს კომპიუტერულ სისტემებსა და საშუალებებზე. „კიბერდანაშაული-ეს არის დანაშაული კომპიუტერული სისტემების წინააღმდეგ ან კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.”<sup>118</sup>.

როგორც ვხედავთ, კიბერდანაშაულის დეფინიცია დაყვანილია მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და მონაცემების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შემთხვევებზე და შეიძლება ითქვას, რომ იგი არასრულყოფილია.

მიმოიხილავს რა კიბერდანაშაულის რეგულირების სისხლისსამართლებრივ პრობლემებს, უ. ზაქაშვილი ყურადღებას ამახვილებს კიბერდანაშაულის ცნებასა და მისი სამართლებრივი კვლევის ისტორიაზე, მაგრამ კიბერდანაშაულში იგი მოიაზ-

---

117. იხ.იქვე . [shorturl.at/chquS](http://shorturl.at/chquS).

118. ბუდაპეშტის კონვენცია „ კიბერდანაშაულის შესახებ” 2001 წლის 23 ნოემბრი. [ib. shorturl.at/byJMX](http://shorturl.at/byJMX)

რებს კომპიუტერისა და მასთან დაკავშირებული საშუალებების მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას. ამასთან, ადგილი აქვს კიბერდანაშაულისა და კომპიუტერული დანაშაულის ცნებებს გაიგივების ტენდენციას.<sup>119.</sup>

გარდა ამისა, ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ კიბერდანაშაულის ცნების შემუშავების პრეროგატივა უნდა ეკუთვნოდეს ცალკეულ სახელმწიფოებს. ავტორი გვთავაზობს კიბერდანაშაულის დეფინიციის საკუთარ ვერსიას: „კიბერდანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედება, რომელიც მიმართულია კომპიუტერული სისტემის ან მონაცემის უსაფრთხოების ხელყოფის ან/და ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებისაკენ, ასევე, კომპიუტერული მონაცემის დაფარვის, შეცვლის, წაშლის, კოპირების ან დაზიანებისკენ.“<sup>120.</sup>

მსგავსი სახის განმარტებებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ცნების შემუშავება არავის არ აუკრძალავს არც რომელიმე ქვეყნისთვის და არც ცალკეული კერძო პირებისათვის. აქ მთავარი ისაა, რომ ცნება სრულად უნდა უზრუნველყოფდეს, სწორედ, ამ მიზნით განსაზღვრულ ფუნქციებს და იყოს საყოველთაოდ აღიარებული. მოცემულ შემთხვევაში კი, როდესაც საკითხი ეხება კიბერდანაშაულს, რომელიც თავისი ბუნებით ტრანსნაციონალური ხასიათისაა, არ იფარგლება ტერიტორიული საზღვრებით და უნივერსალური ბუნებისაა, ვერ ასახავს მის რეალურ ბუნებას.

რაც შეეხება, კიბერდანაშაულის დეფინიციის ავტორისეულ ვერსიას, აქ ახლი არაფერია და იმეორებს, როგორც ბუდაპეშტის კონვენციაში მოცემულ განმარტებას, ისე გაეროსა სხვა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის დებულებებს. ამასთან, კიბერდანაშაულის დეფინიცია შეიცავს მხოლოდ ცალკეულ, კომპიუტერულ დანაშაულთა შემადგენლობების ჩამონათვალს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუდაპეშტის კონვენციასთან მიმართებაში, დეფინიციის მსგავსი ფორმულირება არ ეწინააღმდეგება კიბერდანაშაულის შინაარსს, მაგრამ საკმარისი არაა.

საინტერესოა კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორის, მარტინ პაულ ვასმერის მოსაზრება, „კიბერდანაშაულის“ დეფინიციის პრობლემატურობის შესახებ, რომე-

119. უ. ზაქაშვილი. კიბერდანაშაულის სისხლის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საქართველოში. თბილისი 2014 წ. გვ. 28.

120. იხ. იქვე გვ. 28.

ლიც აღნიშნავს, რომ „კიბერდანაშაულის“ დეფინიციის განსაზღვრა რთულია. ფართო გაგების მიხედვით, კიბერდანაშაულში მოიაზრება ყველა სისხლისსამართლებრივი დანაშაული, რომელიც ჩადენილია საინფორმაციო ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ან მათ მიმართ. ერთმანეთისაგან განასხვავებენ დანაშაულებს, რომლებიც ინტერნეტის, მონაცემთა ბაზის, საინფორმაციო ტექნოლო-გიური სისტემების ან მათი მონაცემების წინააღმდეგ არის მიმართული (კიბერდა-ნაშაული ვიწრო გაგებით) და დანაშაულებს, რომლებიც ამ ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება (კიბერდანაშაული ფართო გაგებით).”<sup>121</sup>.

ჩვენი აზრით, „კიბერდანაშაულის“ ცნების განხილვა ვიწრო და ფართო გაგებით არამიზანშეწონილია, რადგანაც პირველ რიგში, კიბერდანაშაულის ცნების ფართოდ გაგებას საფუძვლად უდევს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტი (კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება), ქმედების განხორციელების საშუალება. ხოლო, ცნების ვიწრო გაგებას კი, როდესაც ეს ქმედებები მიმართულია ამ ტექნოლოგიების (კანონით დაცული ობიექტის) წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, ამ ორი გაგების საფუძვლად გვევლინება შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტები. გარდა ამისა, ცნების ვიწრო გაგებისას ხდება ცალკეულ კომპიუტერულ დანაშაულთა შემადგენლობების ჩამოთვლა.

ცხადია, რომ დეფინიციის მსგავსი ფორმულირება გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ არ გვაქვს კიბერდანაშაულის სრულყოფილი განმარტება, მაგრამ საგულისხმოა, როდესაც მითითება კეთდება კიბერდანაშაულის ისეთ მახასიათებელ ნიშანზე, როგორიცაა ქმედების განხორციელების საშუალება. წესით, ეს ნიშანი უნდა ედოს საფუძვლად „კიბერდანაშაულის“ სისტემურ და სისხლისსამართლებრივ მოწესრიგებას. მაგრამ, ეს ასე არ არის და გაურკვეველია ამ ქმედებათა სისტემური ადგილი სისხლის სამართლის კოდექსში. ხოლო, თუ რა უარყოფითი შედეგების მომტანია იგი სამართალგამოყენებით სფეროში, მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

121.მ. პ. ვასმერი. კიბერდანაშაული-აწყობა და მომავალი.გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი.

ობ. [shorturl.at/epDG9](http://shorturl.at/epDG9)



დღეის მდგომარეობით, არც საერთაშორისო დოკუმენტებში და არც ეროვნულ კანონმდებლობაში ვერ შევხვდებით „კიბერდანაშაულის“ ლეგალურ განმარტებას. უფრო მეტიც, სამართლის თანამედროვე დოქტრინაში არ არსებობს საკითხის შინა-არსობრივი ასპექტებისადმი მიდგომის ერთიანი ხედვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით „კიბერდანაშაულში“ მოიაზრება ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერთან ან კომპიუტერულ სისტემასთან, მის გამოყენებისთან ან/და მის წინააღმდეგ.<sup>122.</sup>

პროფესორი იშენკო კიბერდანაშაულს მიაკუთვნებს მაღალტექნოლოგიურ სფეროში ჩადენილ ნებისმიერ არამართლზომიერ ქმედებას.<sup>123.</sup>

რიგი ავტორებისა კიბერდანაშაულის დეფინიციას უკავშირებენ კიბერსივრცეს (ვებრევი და ნესტეროვიჩი). მათი აზრით, კიბერდანაშაულს განეკუთვნება ყველა დანაშაული, რომელიც ჩადენილია კიბერსივრცეში.<sup>124.</sup>

როგორც ვხედავთ, საკითხის მიმართ არსებული შეხედულებები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანი მცდარია. მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოთ, საქმე გვაქვს, დეფინიციის არასრულ განმარტებასთან.

განხილულ დეფინიციათა ანალიზი მიგვითითებს კიბერსივრცის არსებით ნიშნებზე და ასახავს კიბერდანაშაულის დამოკიდებულებას ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ სფეროსთან, როგორც ზოგადისა კერძოსთან. მეორე მხრივ, არც ის უნდა იწვევდეს დავას, რომ კომპიუტერული სისტემები, მონაცემები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და საშუალებები წარმოადგენენ კიბერსივრცის მატერიალურ შემადგენელ ნაწილებს.

ჩვენი აზრით, კიბერდანაშაულის შედარებით მართებულ განმარტებას აყალიბებენ ტ. ტროპინა და ვ. ნომოკონოვი: „კიბერდანაშაული წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობას, ჩადენილს კიბერსივრცეში, კომპიუტერული სისტემებისა თუ კომპიუტერული ქსელების მეშვეობით ან კიბერსივრცესთან წვდომის სხვა საშუ-

---

122. [ob. shorturl.at/gmDXY](http://ob.shorturl.at/gmDXY)

123. . Ищенко Е.П. 2015. О криминалистическом обеспечении раскрытия и расследования киберпреступлений. В кн.: Деятельность правоохранительных органов в современных условиях: сборник материалов 20-й международной научно-практической конференции. В 2 томах. Том 1. Иркутск: 336–337.

124. . Вепрев С.Б., Нестерович С.А. 2018. Киберпреступность как новая форма преступности. Расследование преступлений: проблемы и пути их решения, 3(21):78–82.

ალებით, ისევე როგორც კომპიუტერული სისტემების, ქსელების და მონაცემების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.”<sup>125</sup>.

პროფესორი მ. პროსტოსერდოვი იყენებს რა ტერმინს-„კიბერსივრცე,” ცდილობს ახსნას „კიბერდანაშაულის” შინაარსობრივი მხარე და განმარტავს მას, როგორც ისეთი კატეგორიის დანაშაულად, რომელიც ხორციელდება დისტანციურად, კომპიუტერული და ნებისმიერი სახის ტექნოლოგიებით შექმნილ სივრცეში.”<sup>126</sup>.

წარმოდგენილ განსაზღვრებაში, როგორც ვხედავთ, კიბერსივრცე გამოდის, როგორც კიბერდანაშაულის განხორციელების აუცილებელი სფერო, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება, მიუხედავად მისი განხორციელების ხერხისა და მეთოდისა, მიუხედავად იმისა, დანაშაულებრივი უმართლობის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება იგი, ჩაითვლება კიბერდანაშაულად თუ იგი ჩადენილია კიბერსივრცეში.

ჩვენი აზრით, „კიბერდამნაშავეობისა და კიბერდანაშაულის” შინაარსის განსაზღვრისას, გონივრულია, მისი არსებითი და სპეციფიკური ნიშნების გამოყოფა, დახასიათება და კლასიფიცირება მოხდეს ტერმინ-„კიბერსივრცის” შინაარსის განმარტების კვალდაკვალ, რაც საშუალებას მოგვცემს მკაცრად განსაზღვრული მახასიათებლების გამოსაკვეთად.

ამ მოსაზრებითაა განმსჭვალული მრავალი მეცნიერის შეხედულებები და ამ თემაზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები. ამ კუთხით, აღნიშვნის ღირსია პ. მორისონის[1991]<sup>127</sup>, ვ. კოლინის [1997]<sup>128</sup>, პარკერ დონის [1998]<sup>129</sup>, ს.ვ. ბრენერის [2002]<sup>130</sup>, ი.ლუისის, შელის [2003]<sup>131</sup>, პ. ვილიამსის [2005]<sup>132</sup>, უ. სიბერის [2007]<sup>133</sup>. და სხვათა სამეცნიერო ნაშრომები.

125. . Номоконов В.А. Тропина Т.Л. 2012. Киберпреступность как новая криминальная угроза. Криминология: вчера, сегодня, завтра, 24: 45–55.

126.Простосердов М.А. 2016. Экономические преступления, совершаемые в киберпространстве, и меры противодействия им. Диссертация ... кандидата юридических наук. Москва: 232.

127. . . Morrison P. 1991. Computer Crime. The Improvement of Investigative Skills. Final Report Part One: 89.

128. . Colin B. 1997. The Future of Cyberterrorism. Crime and Justice International. March: 15–18.

129. . Brenner S. W. 2002. The emerging consensus on criminal conduct in cyberspace. UCLA Journal of Law and Technology. № 3. URL: [http://www.lawtechjournal.com/articles/2002/Q3\\_020625\\_goodmanbrenner.php](http://www.lawtechjournal.com/articles/2002/Q3_020625_goodmanbrenner.php) (ბოლო ნახვის თარიღი4.01.2022).

130. Donn B. Parker. Crime by Computer. [shorturl.at/qHYZ2](http://shorturl.at/qHYZ2) (ბოლო ნახვის თარიღი 8.01.2022)

131. Shelley Louise I. 2003. Organized Crime, Terrorism and Cybercrime. Security Sector Reform: Institutions, Society and Good Governance. Baden–Baden: 303–312.( ბოლო ნახვის თარიღი 20.02.2022).

132. . Williams P. 2005. Organized Crime and Cybercrime: Synergies, Trends and Responses. URL: [shorturl.at/uxzR1](http://shorturl.at/uxzR1) (ბოლო ნახვის თარიღი 27.02. 2022)

133. Sieber U. 2007. Legal Aspects of Computer–Related Crime in the Information Society. URL: [shorturl.at/suCPU](http://shorturl.at/suCPU) (ბოლო ნახვის თარიღი 3.03.2022).

დასახელებულ ნაშრომთა დადებითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ ისინი ეხებიან არა კონკრეტულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა კრიმინალიზების საკითხებს, არამედ გვთავაზობენ მისი გააზრების ზოგად-თეორიულ საწყისებს, რაც კიბერდამნაშავეობისა და კიბერდანაშაულის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ დოქტრინაში გამოთქმულ მეცნიერულ მოსაზრებებს „კიბერდანაშაულის“ დეფინიციასთან დაკავშირებით, შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მისი შინაარსისა და ცნების ერთიანი გაგება, სახეზეა ისეთი ნიშან-თვისებათა რეგლამენტაციის მცდელობა, როგორცაა ვირტუალური სივრცე, დისტანცირება, უკიდურესი ლატენცობა, ტრანსნაციონალური ხასიათი, უნივერსალობა და სხვა. ეს პარამეტრები, მართალია, არ არის ამომწურავი, მაგრამ წარმოაჩენს კიბერდანაშაულს, როგორც სოციალურად საშიში ქმედების სპეციფიკურ სახეს. ამასთან, დოქტრინაში ამ ტერმინის დამკვიდრება და სამართლებრივ კატეგორიად ჩამოყალიბების ტენდენცია არსებული რეალობითა და პრაქტიკული მოსაზრებებითაა განპირობებული. თუმცა, ერთია ცნების მეცნიერული დეფინიცია და მეორეა, მისი სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში დანერგვის პრეცედენტი, როდესაც იგი იძენს შესაბამის სამართლებრივ ფუნქციას. თუ როგორია ცნების ეფექტიანობა და შეესაბამება თუ არა იგი სამართლებრივ წესრიგს, როგორც წესი, ყოველთვის სამართალგამოყენებითი პრაქტიკით მოწმდება.

## **2) კიბერდანაშაულის ადგილი სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.**

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ თემის სპეციფიურობა და კვლევის მიზანი, გარდა ცალკეული გამონაკლისისა, არ საჭიროებს საგანგებოდ, ცალკეული ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს, რადგანაც კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში არსებული სიძნელები და პრობლემები საერთოა აბსოლუტურად ყველა ქვეყნი-სათვის. ამის მიზეზი კი, უმეტესწილად განპირობებულია, როგორც საერთაშორისო კონვენციებისა და სარეკომენდაციო დოკუმენტების დამსახურებით, ისე ეროვნულ დონეზე, საკანონმდებლო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებით.

პრობლემის არსი მდგომარეობს, არა იმდენად, კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის აუცილებლობის დასაბუთებაში (რაც თავისთავად ასევე კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს), არამედ იმის დადგენაში, სავარაუდოდ, თუ სად გადის უამრავ კიბერდანაშაულებრივ შემადგენლობათა კრიმინალიზაციის ზღვარი.

მხედველობაში გვაქვს საკანონმდებლო საქმიანობის ისეთი ტენდენცია, როდესაც სისტემატიურად წარმოიშობა „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა ისეთი სახეობები, რომლებიც დაუყოვნებლი საჭიროებენ კრიმინალიზაციას და კანონმდებელიც იძულებულია შეიმუშავოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი კონსტრუქცია და დააწესოს სიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მსგავსი ტენდენცია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიგვიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც, ერთი მხრივ, პარალელურად, სახეზე გვექნება ტრადიციულ შემადგენლობათა ანალოგიური შემადგენლობები. ე. ი. გვექნება თაღლითობის ტრადიციული შემადგენლობა და კიბერთაღლითობა (აღნიშნულ შემადგენლობებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს); ქურდობა და კიბერქურდობა; ტერორიზმი და კიბერტერორიზმი, ან ტექნოლოგიური ტერორიზმი; მუქარა და კიბერმუქარა და სხვა. ამასთან, დასახელებულ ქმედებათა ზოგიერთი კონსტრუქცია რეგლამენტირებულია ეროვნულ სისხლის სამართლის კოდექსში. მთავარი მაინც ისაა, რომ კიბერსივრცე პერმანენტულად გვთავაზობს რაოდენობრივად და თვისობრივად ახალ, სოციალურად საშიშ ქმედებათა მრავალფეროვნებას, ხოლო ყოველ ჯერზე, მათი კრიმინალიზება და ცალკეულ შემადგენლობათა ჩამოყალიბება უთანაზომოდ გაზრდის სისხლის სამართლის კოდექსის მოცულობას, რაც ყველაფერთან ერთად, გაამწელებს სამართალგამოყენებით სფეროს. ამ შემთხვევაში, აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსი მაგალითად არ გამოგვადგება, რადგანაც იქ არსებულ დანაშაულებრივი ქმედებათა რეგლამენტაცია ხდება არა სისტემურად, არამედ ალფავიტის მიხედვით, რაც ამ ქვეყნის სამართლის სისტემის თავისებურებითა და სამართალგამოყენების გაადვილების მოტივითაა განპირობებული.

შორს რომ არ წავიდეთ, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსში უკვე შეინიშნება კიბერდანაშაულის შემადგენლობათა სიმრავლე, რომლებიც მიმოზნეულია კოდექსის სხვადასხვა თავებში და უსისტემოდ ხდება მათი რეგლამენტაცია. ასეთი მდგომარეობაა ყველა ქვეყნის სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ერიდება კიბერდანაშაულის საკანონმდებლო განმარტებას და, შესაბამისად, ამ ტერმინის გამოყენებაც უარყოფილია მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში. იგი ჩანაცვლებულია „კომპიუტერული დანაშაულის“ ცნებით, რაც სრულად აკმაყოფილებს სისხლისსამართლებრივ მოთხოვნებს.

ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსი, მსგავსად აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსისა, იყენებს ტერმინს- „კიბერდანაშაული“ და ისე, რომ არ აკეთებს მის საკანონმდებლო განმარტებას, ფაქტიურად ანიჭებს მას სამართლებრივი ცნების ფუნქციას. ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ე.წ. „ბლანკეტურ“ ანუ მითითებით ნორმასთან, მაგრამ მატერიალურ, პროცესუალურ თუ ცალკეულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში, ხდება არა „კიბერდანაშაულის“, არამედ „კომპიუტერული“ დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების ლეგალური განმარტება. კომპიუტერული დანაშაული კი სხვა არაფერია თუ არა „კიბერდანაშაულის“ ერთ-ერთი მატერიალური გამოვლინება. როდესაც ვსაუბრობთ ერთ-ერთი გამოვლინებაზე, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ „კიბერდანაშაული“, თავისი არსით, გაცილებით მოცულობითია, ვიდრე „კომპიუტერული დანაშაული.“ ამჯერად, ჩვენ გვინტერესებს თუ რა სახის დამატებით პრობლემას ქმნის „კიბერდანაშაულის“ საკანონმდებლო დეფინიციის არარსებობა ცალკეულ ქმედებათა კრიმინალიზაციის დროს.

ამ საკითხის გასარკვევად მოგვიწევს დადგენა იმისა, თუ რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, „კიბერდანაშაულებრივი“ ან, თუნდაც, თავისი ბუნებით, კომპიუტერული დანაშაულების ტიპის შემადგენლობათა კონსტრუირებისას. ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს არა სოციალური საშიშროების, სამართლიანობის, მისი გავრცელების (ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი) ინტენსობა თუ სხვა, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ანალიზი, არამედ კონკრეტულად ის გარემოება, რომელიც ამა თუ იმ ქმედებას გამოყოფს დანარჩენ ქმედებათაგან და მიაკუთვნებს მას (კომპიუტერულ) „კიბერდანაშაულთა“ კატეგორიას.

ჩვენი აზრით, ამის პასუხი უნდა ვეძიოთ, როგორც ამ კატეგორიის დანაშაულთა კლასიფიკაციის თავისებურებაში, ისე, ამ ნიშნით შექმნილ დანაშაულთა შემადგენლობის სტრუქტურაში.

მანამდე კი უნდა ითქვას, რომ სამომავლო პერსპექტივაში, კიბერსივრცის ფენომენი და მასში მიმდინარე პროცესები, უამრავი ტიპის კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა სიმრავლე და მათი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროზე ზემოქმედების მკვეთრი ინტესივობა, აუცილებლად მიგვიყვანს კიბერსამართლის ცალკეული მიმართულების - კიბერუსაფრთხოების სისხლისსამართლებრივი რეგულირებისა და სპეციალური კანონმდებლობის შექმნამდე. დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, უკვე არსებობს და ვითარდება კიბერსამართალი, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგი. უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით, საქართველოშიც შეინიშნება პოზიტიური ძვრები, რაზედაც მეტყველებს პროფესორ ზ. გაბისონიას მიერ ახლახან გამოცემული ფუნდამენტური კვლევითი ნაშრომი, სახელმძღვანელო - „ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი,”<sup>134</sup> რომელიც წარმოადგენს ახალი დარგის, ინტერნეტ სამართლის წარმატებით დამკვიდრების მცდელობას.

აღნიშნული ნაშრომის ანალიზი, კიდევ ერთხელ ადასტურებს კიბერსივრცის წიაღში განვითარებული პროცესების უნივერსალობასა და უსაზღვრო მოქმედების არეალზე. ამიტომ, წიგნში მოტანილი მონაცემები და მეცნიერულად დასაბუთებული დებულებები, ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.

ვუბრუნდებით რა განსახილველ საკითხს, გამოვყოფთ კიბერდანაშაულის კლასიფიკაციის საყოველთაოდ ცნობილ ვარიანტებს.

ბუდაპეშტის კონვენცია, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წლის 23 ნოემბერს იქნა მიღებული, ახდენს რა ტერმინთა განმარტებებს, ქმნის კომპიუტერულ დანაშაულთა კლასიფიკაციას შემდეგი თანმიმდევრობით:

**კარი 1.** - კომპიუტერულ მონაცემთა და სისტემების კონფიდენციალურობის, ერთიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ამ კარით გათვალისწინებულია 5 სამართლებრივი კონსტრუქცია და მოიცავს კონკრეტულ შემადგენლობებს: მუხლი 2. უნებართვო დაშვება; მუხლი 3. მონაცემთა ხელში ჩაგდება ნებართვის გარეშე. 4. მონაცემთა ხელყოფა. 5. სისტემაში ჩარევა. 6. მოწყობილობათა ბოროტად გამოყენება.

---

134. ზ. გაბისონია. ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი. თბილისი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2022 წელი.

**კარი2 .** კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულები.

აქ რეგლამენტირებულია 2 შემადგენლობა: მუხლი 7. კომპიუტერთან დაკავშირებული გაყალბება. მუხლი 8. კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა.

**კარი3.** შინაარსთან დაკავშირებული დანაშაულები :მუხლი 9. ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები.

**კარი 4.** საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულები: მუხლი 10. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული დანაშაულები.<sup>135.</sup>

კიბერუსაფრთხოების ექსპერტი, ნიკა კოხრეიძე ფაქტობრივად ანალოგიურ კლასიფიკაციას ახდენს და საუბრობს კონკრეტულ შემადგენლობებზე, რომელთა უმეტესობა ტრადიციულ დანაშაულთა შემადგენლობებს უკავშირდება.<sup>136.</sup>

ეროვნული სისხლისსამართლებრივი კონმდებლობა აგებულია და ძირითადად შეესაბამება კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

როდესაც საუბარია კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კლასიფიკაციაზე, ძირითადი აქცენტი კეთდება კონკრეტულ დანაშაულის შემადგენლობებზე და მისი კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობაზე, ამიტომ არც კანონმდებლობაში და არც დოქტრინაში ვერ შევხვდებით ისეთი სახის კრიტერიუმებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მკაცრად განგვესაზღვრა კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა ფარგლები. ამის მიზეზი გასაგებია, რადგან „კიბერსივრცის“ ფენომენი მთლიანად ფარავს ტრადიციულ დანაშაულთა შემადგენლობებს, ამასთან, წარმოშობს ისეთი სახის სოციალურად საშიშ ურთიერთობებს, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც ეხება კიბერდანაშაულს, ფაქტიურად ათანაბრებს მას ტრადიციულ დანაშაულებთან, მათი სოციალური საშიშროების თვალსაზრისით. ამასთან, საგრძნობლად გაიზარდა სასჯელებიც (15 დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ხოლო სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ განხორციელებული კიბერშეტევისას, სასჯელი ით-

135. ETS 185 – Convention on Cybercrime, 23.XI.2001.

136. ნიკოლოზ კოხრეიძე. კიბერსივრცის სამართალი.

ინტერნეტ რესურსი: [shorturl.at/diltD](http://shorturl.at/diltD) ( ზოლო ნახვის თარიღი 10.05.2022)

ვალისწინებს 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე.<sup>137.</sup>

აქ ვხვდებით დანაშაულთა ჩამონათვალს, რომლის განხორციელებაც დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან:<sup>138.</sup>

- კომპიუტერული ჯაშუშობა;
- სამთავრობო კომპიუტერებში დაცულ ინფორმაციაზე არასანქცირებული წვდომა;
- სამთავრობო კომპიუტერის დაზიანება ან წყობილებიდან გამოყვანა;
- კიბერთაღლითობა;
- თაღლითობა, ჩადენილი კომპიუტერული პაროლებით ვაჭრობისას;
- მუქარა, გამოძალვა და შანტაჟი, კომპიუტერი გამოყენებით;
- ნაქურდალი ან ყალბი წვდომის საშუალებებით ვაჭრობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფულის, საქონლის ან მომსახურების მისაღებად.
- მოწყობილობის, ხაზის ან კავშირგაბმულობის სისტემის განზრახ დაზიანება;
- ცნობების ხელყოფა ან გახმაურება, ჩადენილი სატელეგრაფო გადაცემისას, ზეპირსიტყვიერი საუბრისას ან ელექტრონული საშუალებით;
- ელექტრონული და ხმოვანი შეტყობინებების კონფიდენციალობის დარღვევა;
- კომპიუტერის მეხსიერების ბარათზე არსებული ინფორმაციის უკანონო მიღება ან შეცვლა, ასევე ასეთ ინფორმაციის წვდომაზე ხელის შეშლა;

როგორც ვხედავთ, აშშ-ს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში წარმოდგენილია კიბერდანაშაულთა საკმაოდ ფართო სპექტრი. ამასთან, დანაშაულის შემადგენლობათა ჩამოყალიბებისას არ ხდება შემადგენლობის ელემენტთა მკაფიო ფორმულირება და კანონმდებელი ასახავს მხოლოდ ძირითად და არსებით ნიშნებს, ტოვებს რა მისი, როგორც დანაშაულად შეფასების შესაძლებლობას.

ჩამონათვალი სრულად არ ასახავს კიბერდანაშაულთა შემადგენლობებს, რაც მიუთითებს მსგავს ქმედებათა მზარდი კრიმინალიზაციის ტენდენციაზე.

---

137. [shorturl.at/akIP1](http://shorturl.at/akIP1) (ბოლო ნახვის თარიღი 10.05.22)

138. Волеводз А.Г. Противодействие компьютерным преступлениям... С. 83 – 84.



ამდენად, დინამიკაში თუ დავაკვირდებით კიბერსივრცეში მიმდინარე პროცესებსა და წარმოშობილ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას, ცხადი გახდება ისიც, რომ უახლოვეს მომავალში აღმოცენდება მისი რეგულირების განსხვავებული მექანიზმების საჭიროება.

როგორც პროფესორი გაბისონია აღნიშნავს: „სამართლისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დაპირისპირებისას, წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპის სამართლებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა ტერმინით: (კომპიუტერული სამართალი (Computer Law), კიბერსამართალი ან კიბერსივრცის სამართალი (Cyber or Syberspace Law), ელექტრონული კომერციული სამართალი (electronic commerce Law), ინტერნეტ სამართალი (Internet Law) და სხვა მრავალი.<sup>139</sup>

გარდა ამისა, უკვე სახეზეა სოციალურ ურთიერთობათა მომწესრიგებელი იმდენი სახისა და ტიპის კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც კიბერსივრცის ქოლგის ქვეშ განიხილება:

**ელექტრონული კომერციის სამართალი**, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. B2B (Business to Business) – (ბიზნესი-ბიზნესი).
2. B2C (Business to Consumer)-(ბიზნესი-მომხმარებელი)
3. C2C (Consumer-Consumer)-(მომხმარებელი-მომხმარებელი).
4. C2B (Consumer to Business)- (მომხმარებელი-ბიზნესი).
5. B2G (Business to Government)-(ბიზნესი-სახელმწიფო).
6. G2B(Government to Business)- (სახელმწიფო-ბიზნესი)
7. G2C(Government to Consumer)-(სახელმწიფო-მომხმარებელი)
8. C2G(Consumer to Government)-(მომხმარებელი-სახელმწიფო).<sup>140</sup>

---

139. ზ. გაბისონია. ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი. თბილისი 2022 წ. გვ. 32.

140. იხ. იქვე გვ. 221-222.

ჩამოთვლილი მიმართულებების არსი მდგომარეობს კომერციულ სფეროში მიმდინარე სპეციფიკური საქმიანობით, რომელიც ხორციელდება კომპიუტერული ტექნოლოგიების უშუალო გამოყენებით. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მხოლოდ ამ სფეროში აღმოცენებული ურთიერთობები, რომელიც სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს, იმთავითვე, გარდაუვლად წარმოშობს სოციალურად საშიშ ქმედებათა მთელ წყებას. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს მისი სისხლისსამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას.

ყურადღებას იმსახურებს ტექნოლოგიური მიღწევის ისეთი ინოვაცია, როგორც „ბლოკჩეინია.“ თანამედროვე მსოფლიოსთვის იგი მიჩნეულია ერთ-ერთ „გამრღვევ ტექნოლოგიად.“<sup>141</sup>

ამ შემთხვევაშიც, ჩვენ გვანტერესებს სოციალურ ურთიერთობათა ისეთი სახეები, რომლებიც პოტენციურად შეიცავენ მაღალ საზოგადოებრივ რისკს და კიბერტექნოლოგიების სფეროს განეკუთვნებიან.

ბლოკჩეინი, ესაა კრიპტოგრაფიულად დაცული ჩანაწერების ჯაჭვი. სწორედ, აქედან წარმოსდგება სიტყვა „ბლოკჩეინი“ (ინგლისურად „Blockchain“-ბლიკების ჯაჭვს ნიშნავს. მასში მონაცემების წაშლა ან შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ბლოკჩეინი არ იყენებს რომელიმე კონკრეტული შენახვის ბაზას, სერვერს.

შესაბამისად, ბლოკჩეინში შეღწევისა და ინფორმაციის მოპარვისათვის ან ჰაკერული თავდასხმისათვის საჭიროა ბლოკჩეინ ქსელში ჩართულ ყველა კომპიუტერში ერთროულად შეღწევა, რაც ურთულეს ამოცანას წარმოადგენს... მისი უნიკალურობა იმაშია, რომ ინფორმაციების ასლები ინახება ქსელში მონაწილე სხვა მილიონობით კომპიუტერში... მოგვიანებით „ბლოკჩეინი“ გამოცხადდა „ბიტკოინის“ შემადგენელ ნაწილად.<sup>142</sup>

---

141. იხ. იქვე გვ.382.

142. იხ. იქვე გვ. 282-283.

რა თქმა უნდა, მსგავსი კატეგორიის ტექნიკური სიახლე ექვემდებარება გადაუდებელ სამართლებრივ რეგულირებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგი კრიპტოვალუტასთან ერთად „ფულის გათეთრების“ საუკეთესო საშუალებაა, მაშინ მისი სისხლისსამართლებრივი რეგულირების აუცილებლობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამიტომ, მართებულადაა დაყენებული ზ. გაბისონიას მიერ სამართლებრივ პრობლემათა საკითხი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. უნდა იქნას თუ არა აღიარებული ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილი კრიპტოვალუტები (ბიტკოინი, ეთერიუმი, ლიბრა, ლაითკოინი და სხვ.) კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალუტად;
2. იმ შემთხვევაში თუ ისინი არ იქნებიან აღიარებული ვალუტად, რა სამართლებრივ ფორმად უნდა იქნან მიჩნეულნი (ნივთი, ქონება, საქონელი, კომპიუტერული პროგრამა და ა. შ.);
3. როგორ უნდა მოხდეს ცალკეული კრიპტოგრაფიული ვალუტების ემისიის (მაინინგის, შექმნის და სხვ.) რეგულირება და საჭიროების შემთხვევაში, მათი დაბეგვრა;
4. უნდა იქნას თუ არა კრიპტოვალუტის მეშვეობით დადებული გარიგებები (უძრავი ქონების ნასყიდობა, ავტომანქანების, სხვადასხვა სახის საქონლის და სხვა მოძრავი ნივთების და ა. შ.) მიჩნეული ნამდვილად;
5. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, კრიპტოვალუტის მფლობელთა მაღალი ანონიმურობა და მათ მიერ ბლოკჩეინის გამოყენებით დადებული გარიგებების „საეჭვოობის“ მაღალი რისკი წარმოშობს „ფულის გათეთრების“ პირობებს და კანონმდებლობის გაფართოვების არეალს.<sup>143</sup>

დაყენებულ საკითხთა შინაარსი იძლევა ლეგიტიმურ საფუძველს იმისა, რომ უახლოვეს მომავალში, თუ უკვე დაგვიანებული არ არის, მოხდეს მსგავსი ურთიერთობებისა და ქმედებათა კრიმინალიზაციის საჭიროება; მით უმეტეს, რომ მსგავსი ურთიერთობები, მომსახურება თუ ფულადი ნიშნები იძენენ სასაქონლო თვისებებს, რომელთა მითვისება, ქურდობა, თაღლითობა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება სრულიად შესაძლებელია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ხელოვნური ინტელექტის“ ფენომენი, რომლის თაობაზეც, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ამჯერად, გვაინტერესებს მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი. კერძოდ, ის გარემოება თუ რამდენად არსებობს მისი სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების საჭიროება? თუ იგი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ კერძო სამართლის ნორმათა შესაბამისად. ისიც აღსანიშნავია, რომ „ხელოვნური ინტელექტი,“ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც მეთოდი, რომლის შესწავლა მიმდინარეობს ინტერდისციპლინური დარგების მიერ. მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განიხილება საკითხი მისი სამართალსუბიექტობის შესახებ. ეს საკითხი ფართოდაა განხილული ზემოაღნიშნულ ნაშრომში-ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, ”ამიტომ, გამოვყოფთ ისეთ მომენტებს, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა და შეესაბამება ჩვენი კვლევის მიზნებს.

„როგორც ჩანს, ხელოვნური ინტელექტის შემდგომი განვითარება იურისტებს აიძულებს, გადახედონ სამართლის სუბიექტის კლასიკურ ორწევროვან აღქმას. იმ შემთხვევაში თუ ხელოვნური ინტელექტი თვითგანვითარების შედეგად მიაღწევს იმ ეტაპს, რომ ადამიანისგან დამოუკიდებლად შექმნის პროდუქტებს თუ მომსახურებას, რისი მაგალითებიც უკვე გვაქვს, საჭირო იქნება სრულიად ახლებური რეგულირების მექანიზმების შემოტანა.“<sup>143</sup>.

ამრიგად, თუ მოკლედ შევაჯამებთ განხილულ საკითხებს, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ კიბერსივრცის შესაძლებლობები უსაზღვრო და უკიდევანოა. არსებულ პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, თავს იჩენს მათი სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა, რაც გულისხმობს მის სისხლისსამართლებრივ რეგლამენტაციასაც. ეს კი, შედარებით რთული და დროში გაწელილი პროცესია. მხედველობაში გვაქვს, უკვე არსებულ და პოტენციურად, ახლო მომავალში მოსალოდნელ დანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაცია.

როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, იმის გაცნობიერება, რომ კაცობრიობას საქმე აქვს, თავისი ბუნებით, უნივერსალურ მოვლენასთან, რომელიც სიკეთესთან ერთად, მრავალი

---

143. იხ. იქვე გვ.507.

პრობლემის საწყისია, აიძულებს კანონმდებელს მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გასატარებლად. ეს საკითხი დავას არ იწვევს, რადგანაც აშშ-სა და ევროპული ქვეყნების მიერ კრიმინალიზებული ქმედებები ამის ნათელი მაგალითია.

ამ ვითარებაში, აქტუალურია საკითხი კრიმინალიზაციის პროცესის მიმართ. სწორედ, აქ იკვეთება სახელმწიფოს პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული, ტრადიციული თუ ღირებულებითი ასპექტები. კრიმინალიზაციის, როგორც სოციალური კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმის სამართლებრივი და არა მარტო სამართლებრივი კვლევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რთული და მრავალასპექტიანი საქმიანობაა. ამიტომ, ჩვენს მიერ დასმული პრობლემატური საკითხი, რომელიც შეეხება კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა სისტემურ მოწესრიგებას, უმნიშვნელოვანესია. მართლაც, ყოველგვარი მეცნიერული კვლევის შედეგი, საბოლოო ჯამში, მისი პრაქტიკული ვარგისიანობით განისაზღვრება.

მაშასადამე, ჩვენ ზოგადად მიუთითეთ (სრულად მისი დახასიათება კვლევის ფორმატიდან გამომდინარე შეუძლებელია) არსებულ და სამომავლოდ, პოტენციურ ქმედებათა სოციალურ საშიშროებაზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ქმედებათა სისტემური მოწესრიგების პრობლემა: იმის გარკვევა, თუ რა სამართლებრივი და კრიმინოლოგიური კრიტერიუმებით ხდება ამა თუ იმ ქმედების მიკუთვნება კიბერდანაშაულებრივი კატეგორიებისადმი და როგორია მათი კლასიფიკაცია? ხომ არ წარმოადგენს „კიბერდანაშაული“ უმართლობის ისეთ სახეს, რომელიც სტრუქტურულად განასხვავებს მას დღემდე ცნობილი ტრადიციული უმართლობებისგან ?

ამ საკითხის გასარკვევად, აუცილებელია ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ასახულ კიბერდანაშაულთა სისტემური განლაგების ანალიზი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV-ე თავი, რომელიც დათმობილი აქვს კიბერდანაშაულს, შედგება ხუთი დანაშაულის შემადგენლობისგან:

1. მუხლი 284. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა;
2. მუხლი 285. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება;
3. მუხლი 286. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა;

4. მუხლი 286<sup>1</sup>. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით;
5. მუხლი 286<sup>2</sup>. ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა.<sup>144</sup>

აღნიშნულ შემადგენლობათა ელემენტების დეტალური ანალიზი და სოციალური საშიშროების საკითხი, არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის კვლევის საგანი იყო და არის. მასზე მსჯელობა დღესაც მიმდინარეობს და კვლავ გაგრძელდება. ჩვენთვის კი, საინტერესო და მნიშვნელოვანია მსგავს ქმედებათა დამოუკიდებელ შემადგენლობებად (უმართლობად) ჩამოყალიბებისა და კრიმინალიზების სისხლისსამართლებრივი საჭიროება.

აღნიშნული განაცხადი, არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოსდა ექვის ქვეშ ვაყენებდეთ კიბერდანამაშულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის საჭიროებას საერთოდ. რა თქმა უნდა არა; პირიქით, მსგავსი კატეგორიის ქმედებათა კრიმინალიზების საჭიროებაზე ჩვენ არაერთხელ მიუთითეთ და გავამახვილეთ ყურადღება. აქ საკითხის პრობლემატურობა იმაში მდგომარეობს, რომ ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგება მსგავსი ხასიათის ქმედებათა კრიმინალიზების საჭიროება, რაც საკანონმდებლო ტექნიკისა და სამართალგამოყენებითი თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნება. თავი რომ დავანებოთ სამომავლო სირთულეებს, დღეის მდგომარეობით, სამართალგამოყენებით სფეროში უკვე შეინიშნება მრავალი სახის ხარვეზი. კერძოდ, საუბარია მსგავს ქმედებათა სასამართლო კვალიფიკაციაზე, რომელიც გამოწვეულია კოდექსში არსებულ ნორმათა კონკურენციით. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან:

გ-სთვის ცნობილი იყო რა ბ-ს არასათანადო კომპიუტერული ცოდნის შესახებ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ამ უკანასკნელს გაუგზავნა შეტყობინება, თითქოსდა ეკოლოგიური დაბინძურების გამო ჯარიმის- ხუთი ათასი ლარის არსებობის თაობაზე და მიუთითა შესაბამისი ანგარიში. დაუყოვნებლივ გადაუხდელობის შემთხვევაში მას დაეკისრებოდა დამატებითი ხარჯები. ბ-მ, რომელსაც, რეალურად, ადრე ჰქონდა მსგავსი სახის პრობლემა, ისე რომ არ გადაამოწმა წერილის ავთენტურობა, გადარიცხა თანხა მითითებულ ანგარიშზე. აღნიშნული ფაქტის

---

144. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. (კონსოლიდირებული ვერსია 21.04. 22)

საფუძველზე, გ-ს მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). გამოძიების პროცესში, გ-ს მიმართ დამძიმდა ბრალი და დამატებით წარედგინა 286<sup>1</sup>-ე მუხლი (კომპიუ-ტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.)<sup>145</sup>.

მიუხედავად თვითონ ფაქტის ბანალური ხასიათისა, საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ იქნა მოსაზრებები, რომელმაც წარმოაჩინა დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები.

დაცვის მხარემ, საქმის გამოძიების სტადიაზე გაასაჩივრა ზემდგომ პროკურო-რთან ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხი და მიუთითა, რომ დანაშაულთა ერთობლიობით ბრალის წარდგენით ირღვეოდა სისხლის სამართლის კანონი. კერძოდ, საჩივრის დასაბუთებისას, მითითება კეთდებოდა იმის თაობაზე, რომ გ-ს მოქმედება შეესაბამებოდა სსკ-ს 180-ე მუხლით გათვალის-წინებულ შემადგენლობას და არავითარი საფუძველი არ არსებობდა დამატებით, 286<sup>1</sup>-ე მუხლით ბრალის დასამძიმებლად. ამასთან, ერთი და იგივე ქმედებისთვის ბრალის წარდგენა ორი სხვადასხვა მუხლით ეწინააღმდეგებოდა სამართლებრივ პრინციპს.

ბრალდების მხარის არგუმენტაციით, ბრალი წარდგენილ იქნა კანონმდებლობის სრული დაცვით და შეესაბამებოდა გ-ს მიერ განხორციელებულ მართლსაწინააღ-მდეგო ქმედებას. ამ შემთხვევაში, თაღლითობის შემადგენლობა ვერ ფარავდა გ-ს მიერ განხორციელებულ ქმედებას, რადგანაც თაღლითობის შემადგენლობა არ ითვა-ლისწინებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას. მას ითვალისწინებს სსკ-ს 286<sup>1</sup>-ე მუხლი და ამიტომაც მოხდა ბრალის წარდგენა დანაშაულთა ერთობლიობით.

თუ გავანალიზებთ წარდგენილი ბრალდების სამართლებრივ მხარეს, ქმედების კვალიფიკაციის კუთხით, შეიძლება მართლაც წარმოიშვას გარკვეული ბუნდოვანება. კერძოდ: საქ. სსკ-ს 180-ე მუხლი განეკუთვნება ეკონომიკურ დანაშაულთა კატეგო-რიას, მიმართულს საკუთრების წინააღმდეგ. ხოლო, ამ შემადგენლობის ჩამოყალი-

145. საქ. შსს სამინისტროს საგამოძიებო მასალები. ( 5.01. 22.)

ბებასა და დამოუკიდებელ უმართლობად ფორმირებას საფუძვლად დაედო მისი განხორციელების ხერხი (მოტყუება), ისევე, როგორც სხვა შემადგელობების კონსტრუირებასა და ფორმირებას (ქურდობა, რომლის განხორციელების მეთოდი ფარულობაა; ძარცვისას აშკარად დაუფლება და ა. შ.). რა თქმა უნდა, კანონმდებელს უფლება აქვს მოახდინოს ამა თუ ქმედების კრიმინალიზება ცალკეული ნიშნების (დანაშაულის ცალკეული ელემენტების) მიხედვით. ეს შეიძლება იყოს როგორც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ხერხი, ისე გარკვეულ პირთა კატეგორიის მიხედვით და ა.შ. მთავარია ის, თუ შემადგენლობის რომელი ელემენტი იქნება მიჩნეული აქტუალურად. მაგრამ, პრობლემა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ შემადგენლობათა შორის (სისხლისსამართლებრივ ნორმათა) კონკურენციის საკითხის გადაწყვეტა ძნელდება კანონის ინტერპრეტაციის დროსაც. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ისეთ შემადგენლობათა სტრუქტურა, რომელთა ელემენტები ერთმანეთს ემთხვევა სტრუქტურულად და შინაარსობრივად და მიმართული არიან ერთგვაროვანი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ე.ი. არ არსებობს მკვეთრად გავლებული სამართლებრივი ზღვარი ცალკეულ შემადგენლობებს შორის.

2021 წლის 27 აპრილს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV-ე თავს (კიბერდანაშაული) დაემატა მუხლი 286<sup>1</sup>(კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით). აღნიშნული შემადგენლობის კრიმინალიზება გამოწვეული იყო გახშირებული შემთხვევებით, როდესაც ხდებოდა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გზით ფინანსური სარგებლის მიღება. ამ შემთხვევაში, კანონმდებლის მიზანი და მოტივაცია, სრულად გასაგები და მისაღებია, მაგრამ მან შექმნა ერთგვარი გაუგებრობა სამართალგამოყენებით სფეროში, მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა და რაიმე სახის ლეგალური განმარტება.

იმის გასარკვევად, თუ რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდებიან თაღლითობისა და 286 პრიმა მუხლის შემადგენლობები, მოვახდინოთ ცალკეულ ელემენტთა (ობიექტური მხარის) ანალიზი. თაღლითობის სამართლებრივი კონსტრუქცია რაიმე სახის გაუგებრობას არ იწვევს:,, თაღლითობა, ესე იგი მართლ-საწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი



უფლების მიღება მოტყუებით “ და 286<sup>1</sup> მუხლი:., თავისთვის ან სხვისთვის ქონებ-რივი უფლების მოპოვების ან ნებისმიერი სახის ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის უნებართვო ჩასმა, წაშლა, შეცვლა ან დაფარვა ან კომპიუტერული სისტემის ფუნ-ქციონირებაში ნებისმიერი სახის უნებართვო ჩარევა, რამაც სხვისთვის ფინანსური ზიანის მიყენება გამოიწვია.”<sup>146</sup>.

შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტებზე დეტალურად არ შევჩერ-დებით, რადგანაც ორივე შემადგენლობა განზრახი კატეგორიისაა; დანაშაულის მოტივი ანგარებითია და მიმართულია მატერიალური სარგებლის მიღებისკენ. ამ შემთხვევაში, განმსაზღვრელ გარემოებად გვევლინება შემადგენლობის ობიექტური მხარის ისეთი ელემენტი, როგორც ქმედების განხორციელების ანტისოციალური ხერხია. თაღლითობისას, ქონებრივი სარგებლის მიღება მოტყუებით ხდება, ხოლო 286<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში პრიორიტეტი დანაშაულის ჩადენის საშუალებას ენიჭება. საქ. სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.”

იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა 286<sup>1</sup> მუხლი სპეციალურ ნორმას, თაღ-ლითობის შემადგენლობასთან მიმართებაში, უნდა დადგინდეს ამ შემადგენლობათა ობიექტური მხარის ელემენტის მიხედვით (ხერხი). თაღლითობის განხორციელების ხერხი მოტყუებაა, მაგრამ გულისხმობს თუ არა 286<sup>1</sup> მუხლის სამართლებრივი სტრუ-ქტურა ქმედების განხორციელებას მოტყუებით, ამის შესახებ პირაპირ მითითებას დისპოზიციაში ვერ ვხვდებით, თუმცა კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციფიკა, იმანენტურად, გულისხმობს მის ლატენტურ ხასიათს (სადაც მოტყუების ელემენტიც მოიაზრება) და თუ ეს ასეა, მაშინ დასაბუთებული ვარაუდიცაა იმისა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თაღლითობის, როგორც ზოგადი ნორმისა და 286<sup>1</sup> მუხლის, როგორც სპეცია-ლური ნორმის ურთიერთმიმართებასთან.

---

146. საქ სისხლის სამართლის კოდექსი. (კონსოლიდირებული ვერსია 21.04.22.)

თუ აღნიშნული საკითხი დავას არ იწვევს, მაშინ მოტიანილ მაგალითში, წარგენილი ბრალდების უკანონობა სახეზე გვექნება. მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება, რადგანაც მსგავს შემადგენლობებში არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც ადასტურებენ ან გამორიცხავენ წარდგენილი ბრალის კანონიერებასაც და უკანონობასაც. როგორც არ უნდა იყოს საქმის რეალური მდგომარეობა, ერთი რამ ცხადია. მსგავსი კატეგორიის შემადგენლობები ყოველთვის იწვევენ დავას მეცნიერთა შორის, ხოლო საგამომიებო პრაქტიკაში, საერთოდ, არ არსებობს ერთნაირი თვალსაზრისი. ამას ადასტურებს, ჩვენს მიერ შსს სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანამშრომელთა შერჩევით (ინტერვიუს მეთოდი) გამოკითხვის შედეგები (გამოკითხვა ჩატარდა შსს სამინისტროს შიდა ქართლის დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების მასშტაბით. გამოკითხვა ჩატარდა 145 პირთან; მიმდინარეობდა სიღრმისეული ინტერვიუს ფორმით 09.01.2022-25.02.2022), რომელთა წინაშეც დაისვა ზემოაღნიშნულ მაგალითში მოყვანილი საქმის მიხედვით, კვალიფიკაციის თაობაზე, საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. გამოკითხულ პირთა ნახევარზე მეტი (82 პირი) მიემხრო ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის მართებულობას; 47 პირმა მიიჩნია, რომ ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 286<sup>1</sup> მუხლით, ხოლო 16 პირს, საერთოდ, გაუჭირდა პასუხის გაცემა (იხ. თანდართული მასალები N- 1, სოციოლოგიური კვლევის თაობაზე).

მოსამართლეთა მხრიდან, პასუხის გაცემაზე უარი ითქვა იმ მოტივით, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მოსამართლის განხილვაში იმყოფება, კომენტარის გაკეთება ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი კატეგორიის ქმედებათა სისხლისამართლებრივი რეგულირებისას წამოჭრილი საკითხები (მხედველობაშია გვაქვს ჩვენს მიერ დასმული კონკრეტული პრობლემა), პირველ რიგში უნდა ვეძიოთ თვით კრიმინ-ლიზა-ციის პროცესის ნიუანსებში.

პრობლემის ნათელსაყოფად, მიზანშეწონილია შემდეგი კითხვის დასმა: რა სამართლებრივი საჭიროებაა იმისა, რომ საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, სისხლისამართლებრივ კანონმდებლობაში, დამოუკიდებელ შემადგენლო-ბებად ფუნქციონირებდეს 286<sup>1</sup> მუხლი და სხვა, მსგავსი სტრუქტურისა და შინაარსის მქონე, ცალკეული უმართლობები?

ჩვენს მიერ, ზემოთ მოტანილი საქმის მაგალითზე წამოჭრილი საკითხები, რომელიც კრიმინალიზაციის და, აქედან გამომდინარე, კვალიფიკაციის პრობლემას უკავშირდებოდა, არ არის უცხო საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის, მაგრამ მათ (ყოველ შემთხვევაში უმეტესობამ - აშშ, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.) ეს საკითხი გადაწყვიტა აშკარად მკაფიო, სამართლებრივად მოწესრიგებული დანაშაულის შემადგენლობის კრიმინალიზაციის გზით. ამის მაგალითია „კიბერთაღლითობის“ სამართლებრივი კონსტრუქცია, რომელიც თაღლითობის კერძო გამოვლინებაა. ამიტომ, მსგავსი ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია რაიმე სახის კითხვებს არ ბადებს.

თუ კიდევ უფრო შორს წავალთ და სიღრმისეულად გავაანალიზებთ დასმულ საკითხს, შეიძლება ეჭვს ქვეშ დავაყენოთ თვით ისეთი ქმედების დამოუკიდებელ შემადგენლობად კრიმინალიზების საჭიროება, როგორც „კიბერთაღლითობაა.“

თავისი შინაარსით, კიბერთაღლითობა არაფრით განსხვავდება თაღლითობის ძირითადი, ტრადიციული შემადგენლობისგან; განსხვავება მხოლოდ მისი განხორციელების ხერხში, მისი ჩადენის საშუალებაშია (კომპიუტერის გამოყენება). ამიტომ, გაცილებით მიზანშეწონილი იქნებოდა კომპიუტერული კომპონენტის გათვალისწინება, თაღლითობის ტრადიციული შემადგენლობის ფარგლებში, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოებისა. ეს თავიდან აგვაცილებდა, როგორც სამართლებრივ, ისე საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პრობლემებს.

ნიშანდობლივია, რომ სოციალურ და მათ შორის, სამართლებრივ ურთიერთობებში, ტერმინმა - „კიბერთაღლითობამ“, უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრა თავი, როგორც სოციალური სინამდვილის აღმნიშვნელმა სიმბოლომ და ფაქტობრივად ასრულებს სამართლებრივი კატეგორიის ფუნქციას.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ „კიბერთაღლითობით“ და იგი ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსში რეგლამენტირებულ სხვა დანაშაულებრივ შემადგენლობებზე. ხშირია ისეთ ტერმინთა გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა, როგორცაა „კიბერქურდობა“, „კიბერთავდასხმა“, „კიბერშეტევა“ და მრავალი სხვა. ეს ტერმინები, როგორც უკვე ავღნიშნეთ,

მართლაც გამოხატავენ სხვადასხვა დანაშაულებრივ შემადგენლობათა ფაქტობრივ შინაარსს. მაგრამ, ერთია ტერმინთა მსგავსი დანიშნულებით გამოყენება და მეორეა, ამ ტერმინთა შესაბამისი შემადგენლობების შექმნის ტენდენცია, რაც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში შეინიშნება.

მსგავსი ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად გვხვდება ოფიციალურ განცხადებათა ისეთი ფორმულირება, რომელიც მართალია, არ შეესაბამება იურიდიული აზროვნების წესს (გ.ნაჭყებია), მაგრამ გამოხატავს ქმედების რეალურ მდგომარეობას.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია შსს-ს ოფიციალური ინფორმაციის დემონსტრირება, რომელსაც უცვლელად წარმოგიდგენთ:

„ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიბერთაღლითობის საქმე გახსნა



შს სამინისტრო

**ფოტო: შინაგან საქმეთა სამინისტრო**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „კიბერდანაშაული“ გახსნა. საკითხი ეხება სხვადასხვა მოქალაქეების ანგარიშებიდან თაღლითური სქემით დიდი ოდენობის თან-

ხების მოხსნის საქმეს, რომელშიც ასობით დაზარალებული ფიგურირებს, უკანონოდ მითვისებული თანხის ოდენობა კი 42 ათას ლარზე მეტს შეადგენს.”<sup>146</sup>

ანალოგიურ განცხადებას ვხვდებით შემდეგ საინფორმაციო განცხადებაში:

„სამართალდამცველებმა რ.კ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, მის მიერ უკანონოდ მოპოვებული ონლაინ ტოტალიზატორების 1000-მდე მომხმარებლის სახელი და პაროლი, ასევე, სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემები ნივთ-მტკიცებად ამოიღეს.

გრძელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად სხვა შესაძლო დაზარალებული პირების გამოკვეთა-დადგენის მიზნით“.

გამოძიება ანგარებით ჩადენილ პერსონალური მონაცემების ხელყოფის, ქურდობის, თაღლითობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით, ასევე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და 157-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.”<sup>147</sup>

მსგავსი მაგალითები უამრავია. მათი განხილვა კი, არ წარმოადგენს საკითხის ფორმალურ მხარეს, არამედ მეტყველებს იმაზე, რომ ეს ტერმინები ბუნებრივად მიგვითითებენ გარკვეული ურთიერთობების (ჩვენს შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობათა) სამართლებრივი რეგულირებისა და შესაბამისი ცნებების დაფუძნების საჭიროებაზე.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ საკითხი არ დგას კიბერტექნოლოგიების გამოყენებით, რაიმე სახის ქმედებათა მომეტებული საშიშროების მიზანშეწონილობის თაობაზე, არამედ იგი შეეხება ამ კატეგორიის ქმედებათა კრიმინალი-ზაციის პროცესს და იმას, თუ როგორი ფორმით მოხდება ამ ქმედების (დანაშაულის შემადგენლობის) ფორმირება? სისხლის სამართალი კოდექსში დაიკავებს დამოუკიდებელი შემადგენლობის ადგილს თუ მისი კრიმინალიზება შესაძლებელია უკვე

146. [shorturl.at/lrszj](http://shorturl.at/lrszj)

147. იხ.იგივე ინტერნეტ რესურსი.( ბოლო ნახვის თარიღი 12.05.22)

არსებულ (თაღლითობის, ძარცვის, ტერორიზმის, ტექნოლოგიური ტერორიზმის და სხვ.) შემადგენლობათა ფარგლებში?

თუ რა სახის სიძნელები ახლავს თან მსგავსი კატეგორიის ქმედებათა კრიმინალიზაციასა და სისტემურ მოწესრიგებას, უკვე აღვნიშნეთ. მთავარი მაინც ისაა, რომ „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა კრიმინალიზაციის ტენდენცია, მსოფლიო მასშტაბით, სულ უფრო დიდ აქტუალობას იძენს. გამონაკლისი არც საქართველოა, (ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს), მაგრამ იმ სამართლებრივი ოჯახისთვის, რომელსაც საქართველო მიეკუთვნება, მსგავსი კატეგორიის უამრავ ქმედებათა კრიმინალიზაცია, (რომელიც ეჭვს არ იწვევს), მსგავსი სისტემურ-სტრუქტურული მოდელით, სამრთალგამოყენებით სფეროში, გამოიწვევს ქაოსს. უბრალოდ, საგამომიებო ორგანოები ვერ „გადახარშავენ“ მოზღვავებულ შემადგენლობათა სიმრავლეს. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, ანგლო-ამერიკული სისხლისსამართლებრივი იუსტიციის პრაქტიკა ჩვენთვის არაეფექტიანი იქნება, რადგანაც გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და სხვა საგამომიებო ორგანოების ექსკლუზიური უფლება, საკუთარი მიხედულებით გადაწყვიტონ, დანაშაულის ტიპობრივი კუთვნილება, ჩვენს რეალობაში ვერ იმუშავებს იმ მარტივი მიზეზით, რომ ამისთვის არც ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, არც შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული მომზადების საკმარისი დონე და არც საკანონმდებლო ბაზაა. (გამომძიებელი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური ფიგურა, აუცილებლად უნდა იყოს პროფესიით იურისტი).

პრობლემა, რომელიც „კიბერდანაშაულის“ სამართლებრივ რეგულირებას, კერძოდ კი, მის კრიმინალიზაციასა და სტრუქტურულ-სისტემურ მოწესრიგებას უკავშირდება, კიდევ უფრო კარგად ჩანს მსგავსი შინაარსის იმ შემადგენლობათა მაგალითზეც, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავშია რეგლამენტირებული. ასეთებია:

**მუხლი 157.** პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა;

**მუხლი 157<sup>1</sup>.** პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა;

**მუხლი 158.** კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა;

**მუხლი 159.** პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა;

**მუხლი 324.** ტექნოლოგიური ტერორიზმი;

**მუხლი 324<sup>1</sup>.** კიბერტერორიზმი.

დასახელებული შემადგენლობებით გათვალისწინებულია ინტერნეტისა და სხვა ტექნოლოგიურ საშუალებათა კომპონენტი, რაც უშუალოდ მიუთითებს მათ კიბერდანაშაულებრივ ხასიათზე, თუმცა მოქცეულნი არიან კოდექსის სხვადასხვა თავებში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ შემადგენლობებიდან 157-159-ე მუხლები, კომპიუტერულ ტექნოლოგიათა ელემენტებს ითვალისწინებენ, როგორც ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად, ხოლო 324-324<sup>1</sup> მუხლები კი წარმოადგენენ დამოუკიდებელ შემადგენლობას, ანუ ტერორიზმის სპეციფიკურ გამოვლინებას და განიხილება, როგორც სპეციალური ნორმები. კონკრეტულად ეს შემადგენლობები არ ქმნიან კონკურენციის ისეთ ხარისხს, რომელიც შექმნიდა რაიმე სახის სიძნელეებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას, როგორც ეს შეინიშნება, თაღლითობისა და მსგავსი შემადგენლობის განხორციელებისას ინტერნეტის საშუალებით. სხვა საკითხია ტექნოლოგიური ტერორიზმისა და კიბერტერორიზმის დამოუკიდებელ შემადგენლობად კრიმინალიზების სამართლებრივი საჭიროება, მაშინ როდესაც სრულიად გამართლებული იქნებოდა მისი გათვალისწინება ტერორიზმის ტრადიციულ შემადგენლობაში, როგორც მაკვალიფიცირებელი ან ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი.

ჩვენს მიერ წამოჭრილი პრობლემა ამით არ ამოიწურება და ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ, თითქმის, ნებისმიერ დანაშაულის შემადგენლობებზე, რადგან მათი ელემენტების სტრუქტურაში კიბერტექნოლოგიების მოაზრება, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება, ისეთივე ბუნებრივი და გარდაუვალია, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის ან სპეციალურად ამისთვის მომარჯვებული საგნის გამოყენება. ასეთ დროს კი აუცილებლად დადგება ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას სამართლებრივ ნორმათა განმარტების გზით; სასურველია ყოველთვის საკანონმდებლო ან სასამართლო განმარტება, რაც ამ ქმედებათა სპეციფიკიდან გამომდინარე

ან, საერთოდ, არ არსებობს ან ბუნდოვანია. სირთულესთანაა დაკავშირებული კიბერსივრცისთვის დამახასიათებელი ტერმინების ინტერპრეტაცია, რაც დროში გაწელილი პროცესია. პროფესორ რაინჰოლდ ციპელიუსის განმარტებით: „წესის-მებრ, საკანონმდებლო ცნებებს აქვთ მნიშვნელობის განსაზღვრული სივრცე. მეთოდოლოგიურად, სიტყვების არაზუსტი მნიშვნელობები ინტერპრეტაციით ზუსტდება, მაგრამ მთლიანობაში მათი მთლიანად აღმოფხვრა, როგორც წესი, შეუძლებელია. ინტერპრეტაცია არ არის ზუსტი მეთოდი, არამედ ინტერპრეტაციების პრინციპებისა და შესაძლებლობების შესახებ დისკუსიის შედეგი.“<sup>148</sup>

მართლაც, თუ ინტერპრეტაციის მეთოდი ზუსტი არ არის და, ამასთან, ნორმის ინტერპრეტაციას სხვა გარეობებებიც უშლის ხელს, ისეთ სენსიტიურ სფეროში, როგორც სისხლის სამართალია, არასასურველი სამართლებრივი შედეგები გარდაუვალი იქნება.

როგორც ციპელიუსი მიუთითებს: „სამართლის ნორმათა შორის წინააღმდეგობა თავიდან უნდა იქნას აცილებული. ამ საკითხს ეხება წესები ნორმათა კონკურენციის შესახებ. სამართლის ნორმათა კონკურენცია ნიშნავს, რომ რამდენიმე ნორმა, თავისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის ჟღერადობით შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთი და იმავე შემთხვევის მიმართ. ასეთ შემთხვევაში არსებობს ორი ალტერნატივა: შესაძლებელია ორივე ნორმის ერთდროული გამოყენება, ასევე შესაძლებელია ერთმა ნორმამ კონკურენციის გამო მეორე აქციოს ძალადაკარგულად.“<sup>149</sup>

როგორც ვთქვით, სისხლის სამართალი, სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებით, გამოირჩევა რეპრესიულობის მაღალი ხარისხით, რის გამოც სწორედ ამ სფეროში იჩენს თავს ყველაზე მტკივნეულად სამართლებრივ ნორმათა კონკურენციის მაღალი დონე. თუ ამ ვითარების მოსაწესრიგებლად არსებობს შესაბამისი სამართლებრივი მეთოდები, იგივეს ვერ ვიტყვით ნორმათა კოლიზიის დროს. თუ ნორმათა კოლიზიურობის საკითხი აშკარაა და აიძულებს კანონმდებელს განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობა ამ მიმართებით, იგივეს ვერ ვიტყვით კონკურენციის შემთხვევაში. მართალია, მსგავსი შემთხვევები სისხლის სამართლისათვის არ არის ტიპური, მაგრამ ნორმათა კონკურენციის ისეთი კონ-

148. რ. ციპელიუსი. იურიდიული მეთოდების მოძღვრება. მეათე გადამუშავებული გამოცემა. ბეკის გამომცემლობა 2006. გვ. 14.

149. იბ. იქვე გვ. 45.



ფიგურაციისას, როდესაც ერთი და იგივე ქმედების მიმართ, შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი ან მათი სისხლისსამართლებრივი ნორმა, წარმოშობს წინააღმდეგობას სამართლებრივი კუთხით. მხედველობაში არ გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ისეთი კატეგორია, რომელიც სტრუქტურულად და შინაარსობრივად ითხოვს დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას, არამედ ისეთი, რომლის ორი სხვადასხვა ნორმით რეგულირება, გაუმართლებელი და უსამართლოა. ასეთ შემთხვევათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითი - ქმედების კვალიფიკაცია „თაღლითობის“ ტრადიციული და მისი „კონკურენტი“ შემადგენლობის (286<sup>1</sup>- კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით) მიხედვით.

არც ისაა სადავო, რომ კანონმდებელი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კომპიუტერულ ტექნოლოგიათა ელემენტს მიიჩნევს მომეტებული სოციალური საშიშროების შემცველად და ახდენს მის კრიმინალიზაციას, მაგრამ რა საჭირო იყო მისი ცალკე შემადგენლობად კონსტრუირება, როდესაც სისხლისსამართლებრივი მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მისი მაკვალიფიცირებელ ნიშნად მიჩნევის შემთხვევაში.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითი, არ წარმოადგენს განყენებულ, ცალკე აღებულ გარემოებას, არამედ ვრცელდება სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში არსებულ მრავალ შემადგენლობათა მიმართ. უამრავი მაგალითია, ქურდობის და სსკ 284-ე მუხლით ( კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევა), ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციისა, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს ქურდობის ტრადიციულ შემადგენლობასთან; განსხვავება კი მხოლოდ შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტებშია. თანაც, საშუალება და ხერხი ე.წ. ფაკულტატური ნიშნებია. ამ ნიშნების გათვალისწინება კი სრულიად შესაძლებელი იყო ზემოაღნიშნული სახით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მსგავსი მიდგომები მხოლოდ ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისთვის არაა დამახასიათებელი და მოიცავს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობას.

შექმნილ ვითარებას, შესაშური სიზუსტით, ასახავს ციპელიუსის ნააზრევი, რომელიც ეხება რა კონკურენციის პრობლემატიკას, აცხადებს: „განსაკუთრებით რთულია ნორმათა ისეთი კონკურენციის გადაწყვეტა, როდესაც ქმედების სხვადასხვა

საკანონმდებლო შემადგენლობები ერთმანეთთან მიმართებაში იმყოფე-ბიან არა როგორც ვიწრო და ფართო ცნებები, არამედ, როგორც „გადამკვეთი წრეები.“<sup>150</sup>

ამ დებულების შინაარსი იმდენად ფართო და მრავლის მომცველია, რომ მისი კვლევის ფარგლების დადგენა, მით უმეტეს აღნიშნულ პრობლემატიკაზე დეტალური მსჯელობა კვლევის ფორმატში შეუძლებელია. რაც მთავარია, იგი სრულად ასახავს კვლევაში დაყენებული პრობლემების არსსა და, შესაბამისად, გვისახავს მისი გადაწყვეტის მეცნიერულ გზებს.

დაყენებული აქტუალური საკითხების გამოსაკვეთად, კიდევ ერთხელ ჩამოვყალიბებთ პრობლემის არსს და მიუთითებთ მისი გადაწყვეტის საკუთარ მოსაზრებას :

კრიმინალიზაცია, როგორც სამართალშემოქმედებითი საქმიანობის, ერთ-ერთი სპეციფიკური და მრავალსპექტიანი პროცესი, რომელიც მიმართულია სოციალური კონტროლის განხორციელებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, სათანადო ბალანსის შენარჩუნებისკენ, თავისი შინაარსით, რეპრესიული, არაპოპუ-ლარული და არაკუმანური ინსტრუმენტია. სავარაუდოთ, არ არსებობს ადამიანთა საქმიანობის სხვა ისეთი სფერო, სადაც ამდენი განსხვავებული აზრი, დაპირისპირება და წინააღმდეგობა იყოს თავმოყრილი, როგორც ეს კრიმინალიზაციის პროცესში ვლინდება.

ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხები, რომელიც კრიმინალიზაციის მხოლოდ მცირე სპექტრს მოიცავს და უკავშირდება კიბერტექნოლოგიების სოციალიზაციის შედეგად წარმოშობილ, საშიშროების შემცველ ქმედებათა სამართლებრივ რეგულირებას, სერიოზულ პრობლემებს ქმნის სამართალგამოყენებით სფეროში. ამის მიზეზი კი, „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში დაშვებული უზუსტობები უნდა იყოს. ერთი რამ, რაც კატეგორიულად შეგვიძლია განვაცხადოთ არის ის, რომ კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესი, ისევე როგორც, საერთოდ, მისი სამართლებრივი რეგულირება არასათანადო დონეზეა. მსგავსი შინაარსის განაცხადის საფუძველს გვამლევს მრავალი მეცნიერის, საერთა-შორისო ორგანიზაციის თუ ცალკეულ სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლების არასაიმედო პროგნოზები.

---

150.იხ იქვე 48.

ამჯერად, გამოვყოფთ პრობლემებს, რომლებიც, ერთის მხრივ, შეიძლება განზოგადებულ იქნეს ქმედებათა დიდი წრისთვის, ხოლო მეორე მხრივ, შეეხება კონკრეტულ საკითხებს.

ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზების პროცესი განაპირობა საერთაშორისო გამოცდილებამ და თავად საკითხის აქტუალობამ. დღეის მდგობარეობით, საქ.სსკ XXXV-ე თავი ემ-ღვნება „კიბერდანაშაულს“ და შედგება ხუთი შემადგენლობისგან (284-286<sup>2</sup>). აღნიშნული შემადგენლობები ჩვენ ზოგადად განვიხილეთ და მისი შემდგომი განხილვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვებს: 1) რამ განაპირობა „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა კრიმინალიზაციის საჭიროება დამოუკიდებელ შემადგენლობებად? 2) ხომ არ შექმნა მსგავსმა პროცესმა სისხლისსამართლებრივ ნორმათა კონკურენციის ისეთი დონე, როდესაც მათი გამიჯვნა სირთულესთანაა დაკავშირებული ან/და შეუძლებელი ხდება? 3) თუ ეს ასეა, მაშინ რა სახის საკანონმდებლო ცვლილებებია მიზანშეწონილი საკითხის ნორმალიზებისთვის?

საკვლევი თემის ფარგლებში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ შემდეგი სახის პასუხები ნაწილობრივ მაინც იქნება შესაბამისობაში, როგორც პრობლემის არსთან, ისე მათი რაციონალური გადაწყვეტის გზებთან:

1. ეროვნულ და საზღვარგარეთის სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ასახულ კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა დამოუკიდებელ შემადგენლობად ფორმირებას საფუძველად დაედო შემადგენლობის ობიექტური მხარის ისეთი ელემენტები (ფაკულტატური), როგორცაა -დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, საგანი. (კომპიუტერული ტექნოლოგიები). კანონმდებელმა, მომეტებული სოციალური საშიშროების შემცველად მიიჩნია ნებისმიერი დანაშაულის სტრუქტურაში კომპიუტერულ ტექნოლოგიათა ნიშანი. (კიბერტერორიზმი, ტექნოლოგიური ტერორიზმი და სხვ). ამასთან, რაც შემადგენლობებში კიბერტექნოლოგიების როლი და მისი ადგილი განისაზღვრა, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება, რაც გამართლებულია სამართლებრივი და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. რაც შეეხება,

ქმედებათა დამოუკიდებელ შემადგენლობებად ფორმირებას, ამის არც სამართლებრივი, არც კრიმინოლოგიური და არც სოციალური საჭიროება არ არსებობდა. სავარაუდოთ, იგი განპირობებულია „ბუდაპეშტისა“ და სხვა საერთაშორისო კონვენციების რეკომენდაციებით, ისევე, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო საქმიანობის მექანიკური კოპირებით.

2. კიბერდანაშაულებრივ შემადგენლობათა დამოუკიდებელ უმართლობად ფორმირებამ იმ ფორმით, როგორც ეს სისხლის სამართლის კოდექსშია ასახული, შექმნა არა სპეციალური ნორმის ტიპური კონსტრუქცია, არამედ ფიქციის ისეთი მოდელი, რომელიც იძულებულს ხდის სამართალგამოყენებით პრაქტიკას მოახდინოს ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით. მსგავსი პრაქტიკა ეწინააღმდეგება, კრიმინალიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და კრიტერიუმებს; ხელს უწყობს მახინჯი საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას და ქმნის უსამართლობის განცდას.

3. მიუხედავად იმისა, რომ „კიბერდანაშაულთან“ მიმართებაში არსებული საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკა მწირია და ხშირად ხელმიუწვდომელი, ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ პრობლემის სათავე, პირველ რიგში, კრიმინალიზაციის პროცესშია. კერძოდ, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა დამოუკიდებელ სამართლებრივ კონსტრუქციად კრიმინალიზება იმთავითვე გულისხმობს სისხლისსამართლებრივ ნორმათა კონკურენციას, ამ სიტყვის ყველაზე უარყოფითი გაგებით. უმეტეს შემთხვევაში, კრიმინალიზებას დაექვემდებარა იდენტური შინაარსისა და სამართლებრივი სტრუქტურის ნორმები, რაც დაუშვებელია.

ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიზანი იქნება „კიბერდანაშაულებრივ“ ხასიათის ქმედებათა არა დამოუკიდებელ უმართლობად კრიმინალიზება, არამედ მისი გათვალისწინება უკვე არსებულ, ტრადიციულ შემადგენლობათა ფარგლებში. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ფაკულტატური ელემენტების (დანაშაულის ჩადენის საშუალება, საგანი, ხერხი) გათვალისწინება მსგავსი სქემით სრულად

აგვაცილებდა არსებულ და სამომავლო პერსექტივაში მოსალოდნელ სამართლებრივ სირთულეებს. ამასთან, ამ ელემენტების გათვალისწინება, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოებისა, შესაძლებელია, როგორც ცალკეული თავების მიხედვით, ისე კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებში.

ამდენად, ჩვენს მიერ დაყენებული საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ პრობლემის დაყენების, დემონსტრირებისა და მისი აქტუალობის წამოჩინების მცდელობაა, რადგან თავად პრობლემის სიღრმისეული კვლევა საჭიროებს გაცილებით განსხვავებულ მიდგომებს. ჩვენის მხრიდან კი ადგილი ქონდა მხოლოდ ამ პრობლემის აქტუალობის დასაბუთების მცდელობას.

### **3.3 გაუფრთხილებლობა, როგორც „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა გამოვლინების შესაძლო ფორმა**

ის გარემოება, რომ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას, ბადებს ლეგიტიმურ კითხვებს და მიანიშნებს კანონმდებლობის ხარვეზზე, მაშინ როდესაც რიგი ქვეყნების მიერ იგი კრიმინალიზებულია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „კიბერდანაშაული“, თავისი ბუნებით, არ წარმოადგენს რომელიმე გეოგრაფიულ-ტერიტორიული ერთეულისთვის დამახასიათებელ მოვლენას, ან სოციალური ცხოვრების რომელიმე სფეროს მახასიათებელ დესტრუქციას. რა თქმა უნდა არა და ამის შესახებ, ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა. იგი უნივერსალური მოვლენაა და არსებობს ყველგან და ყველაფერში, არ იზღუდება დროითა და სივრცით და გააჩნია უსაზღვრო შესაძლებლობები.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა თანხვედრა „კიბერდანაშაულის“ უნივერსალობის შესახებ, დასტურდება სოციალური ცხოვრების სინამდვილითაც. ამიტომაც, რომ მრავალი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა „კიბერდანაშაულის“ მახასიათებელ ნიშნად გაუფრთხილებლობას ბუნებრივად მიიჩნევს (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვ). მაშინ, რატომაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV-ე თავით გათვალისწინებული შემადგენლობები განეკუთვნებიან განზრახ კატეგორიებს, მაშინ როდესაც „კიბერდანაშაულის“ „უნივერსალობის“ ლოგიკით, გაუფრთხილებლობის ფორმის უარყოფა ყოვლად გაუმართლებელია.

შესაძლებელია, კანონმდებელი ფრთხილად ეკიდება ამ კატეგორიის ქმედებათა კრიმინალიზაციას, გაუფრთხილებლობის ინსტიტუტის პრობლემატურობიდან გამომდინარე. შესაძლებელია, ეს გამოწვეული იყოს სასამართლო პრაქტიკის სიმწირით და საკითხი საჭიროებდეს დამატებით კვლევებს. სწორედ, გაუფრთხილებლობის შეზღუდვაზე საუბრობს პროფესორი მ. უგრეხელიძე, როდესაც აღნიშნავს, რომ „ დასჯადი გაუფრთხილებლობის სფეროს მოცულობა არ უნდა იყოს დამოკიდებული კანონმდებლის შეუზღუდავ ნებასა და მიხედულებაზე, როგორც ამას პოზიტივისტური ყაიდის მეცნიერები არც თუ იშვიათად ირწმუნებიან იურიდიულ ლიტერატურაში... აქედან ლოგიკური თანმიმდევრობით გამომდინარეობს, რომ მიხედვლობაში არ მიიღება ობიექტური და სუბიექტური, რომლებიც ამა თუ იმ ქმედების ერთგვარ „შიგთავსს“ წარმოადგენენ. არადა, სწორედ მათ შორის ხასიათი, ბუნება და სიმტკიცე წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს და კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, მხოლოდ განზრახ ქმედებებს განეკუთვნება მოცემული შემთხვევა, თუ კანონში მისი შეტანა და გათვალისწინება გაუფრთხილებლობის სტატუსითაც შესაძლებელია.“<sup>151</sup>.

აღნიშნული სისხლისსამართლებრივი პრინციპი, რომლის ძირითადი დებულებები უკვე განვიხილეთ ზევით, საშუალებას გვაძლევს „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა მიმართ გამოვიყენოთ და მიუსადაგოთ მათ ცალკეული ელემენტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ა) კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა მიმართ „დახშულია“ (მ.უგრეხელიძე) თუ არა გაუფრთხილებლობა და ბ) შესაძლებელია თუ არა გაუფრთხილებლობის სტატუსის გავრცელება მსგავსი კატეგორიის ქმედებებზე.

მოცემულ საკითხთა შემდეგი კვლევის ვექტორი დამოკიდებულია ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე; კერძოდ: თუ ჩვენ ვიზიარებთ „კიბერდანაშაულებრივ“ (კომპიუტერულ) ქმედებათა უნივერსალობას, რომელიც აუცილებლად ან პოტენციურად ახლავს თან, ფაქტობრივად, ყველა ტრადიციულ შემადგენლობას, მიუხედავად მათი შინაარსისა, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ უნდა მივდიოთ და ვიხელმძღვანელოთ უკვე არსებული, მეცნიერულად დადასტურებული შეხედულებებით დანაშაულთა ჩადენის ფორმების თაობაზე და საჭიროებას არ წარმოადგენს ცალკეულ შემადგენლობათა ანალიზი.

---

151. მ. უგრეხელიძე. ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში. მაცნე 11. 2017. გვ.47.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვიწევს ქმედების სუბიექტური მხარის ელემენტთა ანალიზი(რომელიც განზრახვა-გაუფრთხილებლობის კლასიფიკაციის საშუალებაა), არამედ მხოლოდ ობიექტური მხარის იმ ელემენტების დახასიათება, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქმედების კუთვნილებას დანაშაულთა ისეთი კატეგორიისადმი, რომელსაც ჩვენ „კიბერ-დანაშაულად“ მოვიხსენიებთ.

იმ შემთხვევაში, თუ უგულებელვყოფთ „კიბერდანაშაულის“ უნივერსალობას (რაც მეტად საეჭვოა), მაშინ, მართლაც მოგვიწევს ცალკეულ შემადგენლობათა განხილვა-ანალიზი, მისი ჩადენის ფორმების თაობაზე.

ჩვენი აზრით, პირველი თვალსაზრისის მართებულებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. თუ ჰიპოთეტურად გავიაზრებთ დანაშაულებრივ შემადგენლობათა ნებისმიერ სამართლებრივ კონსტრუქციას, ალბათ, ძნელია მოიძებნოს ისეთი, რომლის განხორციელებაც არ შეიძლებოდეს კიბერტექნოლოგიების ან უშუალო გამოყენებით ან მონაწილეობით ან ხელშეწყობით.

თუნდაც, განზრახ მკვლელობის ჩადენა კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით არვითარ ეჭვს არ იწვევს.

ასე მაგალითად; 1999 წლის თებერვლის თვეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირებულ იქნა ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც მკვლელობის ჩადენის საშუალებად მოგვევლინა კომპიუტერი: გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მოწმე, რომელიც იმყოფებოდა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, გამოძიების ფედერალური ბიუროს მეთვალყურეობის ქვეშ, დაქირავებულმა ჰაკერმა, ინტერნეტის მეშვეობით, შეაღწია რა საავადმყოფოს ლოკალურ ქსელში, შეცვალა კარდიოსტიმულიატორისა და ფილტვების ხელოვნური ვენტილიაციის აპარატის მუშაობის რეჟიმი, რის შედეგადაც პაციენტი გარდაიცვალა.<sup>152</sup>

სავარაუდოთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მკვლელობის ჩადენა გაუფრთხილებლობით, რადგანაც თანამედროვე ტრანსპორტის, საავიაციო თუ ენერგეტიკის

---

152. Поликарпов В.С. Поликарпова В.А. Этика и технологии в начале 20 века. Ростов-На Дону. Таганрог, 2003. С.82

სისტემური არქიტექტურა უმეტესწილად ეყრდნობა კიბერტექნოლოგიებს. შორს რომ არ წავიდეთ, ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი მსოფლიო მასშტაბის ტრაგედია<sup>153</sup>. ან, თუნდაც კრუიზული გემის -კონკორდიას ჩაძირვა,<sup>154</sup>. სხვა არაფერია თუ არა გაუფრთხილებელი დანაშაული.

საინტერესოა ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომელიც კულტურული და ბუნებრივი ობიექტების გაუფრთხილებლობით განადგურება-დაზიანებას ითვალისწინებს. (მუხლი 257. შემადგენლობის სამართლებრივი საჭიროება მეცნიერულად იქნა დასაბუთებული პროფესორ მ. უგრეხელიძის მიერ).

თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ თანამედროვე რეალობაში, კულტურულ და ბუნების ობიექტთა დაცვა-შენახვის ტექნიკურ მექანიზმთა უმეტესი ნაწილი შედგება კომპიუტერული შემადგენლისგან, მაშინ ბუნებრივია ისიც, რომ ბუნების ძეგლის დაზიანება ან განადგურების დანაშაულებრივ გაუფრთხილებლობაში კიბერტექნოლოგიების როლი სულ უფრო მზარდი იქნება. რაც შეეხება, ამ სფეროში გაუფრთხილებლობის კრიმინალიზების მიზანშეწონილობას, მისი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტები მთლიანად გაზიარებულია კანონმდებლის მიერ და ადეკვატურია სოციალური მოთხოვნებისადმი.

ანალოგიურადაა შესაძლებელი მსგავსი თვალსაზრისის გავრცელება ტრადიციულ შემადგენლობათა ისეთი კატეგორიების მიმართ, სადაც გაუფრთხილებლობა ფიგურირებს. ამიტომ, ჩვენს მიერ განვითარებული მოსაზრების დასაბუთებისას, რაიმე სახის ძალისხმევა საჭირო არაა და არც სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზს მოითხოვს, რომელიც ისედაც არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა გაუფრთხილებლობა არ არის კრიმინალიზებული.

ჩვენს მიერ ზევით განვითარებული მსჯელობა, რომელიც „კიბერდანაშაულის“ საკანონმდებლო დეფინიციის არარსებობის გამო წარმოშობილ სამართლებრივ წინააღმდეგობებს შეეხებოდა, კვლავ გვახსენებს თავს. ამჟამად, ცნების საჭიროება ვლინდება იმის დადგენაში, თუ რა მოიაზრება კიბერდანაშაულში; ეს კი, თავის მხრივ,

---

153. იხ. ინტერნეტ რესურსი [shorturl.at/djmH0](http://shorturl.at/djmH0)

154. იხ. ინტერნეტ რესურსი [shorturl.at/bkEV1](http://shorturl.at/bkEV1)



დაგვეხმარება გავარკვიოთ, რეალურად და არა ფორმალურად, „კარხსნილია“ თუ არა გაუფრთხილებლობა კიბერდანაშაულისთვის.

მაშასადამე, თუ ჩვენ „კიბერდანაშაულს“ მივაკუთვნებთ მხოლოდ XXXV-ე თავით გათვალისწინებულ შემადგენლობებს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს განზრახვი კატეგორიის დანაშაულთან, მაგრამ თუ „კიბერდანაშაული“ შეიძლება განხილულ იქნას ამ თავის იქით არსებულ შემადგენლობებზეც, მაშინ, რეალურად გაუფრთხილებლობა ისეთივე შესაძლო ფორმაა „კიბერდანაშაულისთვის“, როგორც ნებისმიერი შემადგენლობისთვის.

ასეთ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება საქ. სსკ 157-159 მუხლები, რომლებიც კოდექსის XXIII-ე თავშია ასახული (ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული).

საქ. სსკ 401-ე მუხლით გათვალისწინებულია საფრენი აპარატის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა; ხოლო 402-ე მუხლი ივალისწინებს ხომალდის მართვის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას; ისევე, როგორც 403-ე მუხლი: გარშემომყოფისათვის მომეტებული საშიშროების შემცველ იარაღთან მოპყრობის წესის დარღვევა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დღეს არსებული სამხედრო ტექნიკის სისტემური სტრუქტურა მთლიანად კომპიუტერიზებულია, მაშინ წესების დარღვევა სხვა არაფერია თუ არა კომპიუტერულ ტექნოლოგიათა არასწორი ექსპლუატაცია, ისევე, როგორც სატრანსპორტო დანაშაულთა ის შემადგენლობები, რომლებიც გაუფრთხილებლობას გულისხმობს.

გამოდის რომ „ფაქტობრივად, „კიბერდანაშაულისთვის“ გაუფრთხილებლობა „კარხსნილია“ და არა „დახშული.“

ამ კუთხით, საინტერესოა საგამოძიებო პრაქტიკის მასალები, როდესაც ადამიანთა დიდმა ჯგუფმა, ინტერნეტის საშუალებით, მიიღო პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. აღნიშნულ საქმეზე, დაწყებულმა გამოძიებამ (საქ.სსკ 157<sup>1</sup>- პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა), მართალია, ვერ დაადგინა პირველწყარო, მაგრამ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოვლენილი და პასუხისგებაში მიცემულ იქნა იმ პირთა სოლიდური რაოდენობა, რომლებიც ინახავდნენ და იყენებდნენ აღნიშნულ

კადრებს<sup>155</sup>. საინტერესო ამ საქმეში ის გახლავთ, რომ ბრალდებულთა ნაწილი (მათ შორის ერთი მათგანი შეზღუდული შესაძლებლობისაა), არა თუ სრულყოფილად ვერ ფლობდა საინფორმაციო საშუალებების ექსპლუატაციის წესებს, არამედ ვერ ერკვეოდა მობილურ ტელეფონთა მუშაობის ელემენტარულ წესებში. ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებათა საფუძ-ველზე, ერთი ბრალდებულის, ვ-ს მიმართ დამძიმდა ბრალდება და დაემატა ახალი ეპიზოდო-გავრცელება. საქმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ვ-ს მეგობარმა, შემთხვევით ისარგებლა რა მისი მობილურით, გაეცნო აღნიშნულ მასალას და ამის თაობაზე, თავის მხრივ, გაუზიარა საკუთარი აზრები მეგობრებს.

თუ გამოძიების ნიუანსებს არ ჩაუღრმავდებით და ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ძირითად, საკვანძო დეტალებს, საქმის რეალური მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ვ-ს მხრიდან ინფორმაციის გავრცელება არ იყო განპირობებული განზრახვით და უკავშირდებოდა გაუფრთხილებლობას, რაც დადგენილ იქნა გამოძიების შემდგომ ეტაპზე. შესაბამისად, ვ-ს მიმართ წარდგენილმა ბრალდებამ ისევ განიცადა ცვლილება და მოეხსნა გავრცელების ეპიზოდი იმის გამო, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა გულისხმობდა მხოლოდ განზრახვას.

ჩვენ, შესაძლოა ვიმსჯელოთ და ვიკამათოდ პირადი ცხოვრების საიდუმ-ლოების გავრცელების გაუფრთხილებლობით კრიმინალიზაციის მიზანშეწო-ნილობაზე, მაგრამ ის ფაქტი, რომ მსგავსი უმართლობის ელემენტების შინაარსი თავსებადია გაუფრთხილებლობის ბუნებასთან, დავას არ იწვევს. მაგრამ, „ტიპობ-რივი ვალენტობის პრინციპი,” ზღუდავს რა გაუფრთხილებლობის კრიმინალი-ზაციის პროცესს, აქცენტს აკეთებს არა თავსებადობის მომენტზე, არამედ ქმედების გავრცელების ინტენსივობაზე.

იმის დადგენა თუ რამდენად ტიპიური და დამახასიათებელია, კონკრეტულად ეს და მსგავს შემადგენლობათა გავრცელების სიხშირე სოციუმისთვის, გარკვეულ სიმწიფეებთან არის დაკავშირებული. ჩვენს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საგამომიებო პრაქტიკაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც უკავშირდებოდა კიბერტექნოლოგიების გამოყენებას. (სასამართლო პრაქტიკა აღნიშ-

---

155. შსს სამინისტროს შიდა ქართლის საგამომიებო სამსახურის სს საქმის მასალები. 2019 წ. გამოდ. დაწყების 04.07.

ნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. მიმართვის სარეგისტრაციო N-5565.) როგორც აღმოჩნდა, სტატისტიკურ მონაცემთა აღრიცხვა უკავშირდება არა განცხადების ან შეტყობინების რეგისტრაციას, არამედ მის საფუძველზე, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტს. ამიტომ, სტატისტიკურ მონაცემებში ფიზიკურად ვერ აისახებოდა იმ კატეგორიის კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა მონაცემები, რომელთა ჩადენის გაუფრთხილებელი შინაარსი აშკარად გამოკვეთილი იყო.

როდესაც საუბარია კიბერდანაშაულის (კომპიუტერული) გაუფრთხილებლობით ჩადენის პრობლემატიკაზე, თავს იჩენს მისი, როგორც სოციალური საშიშროების, ისე „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპთან“ შესაბამისობის საკითხი. ამ მოცემულობაში, გაცილებით აქტუალურია სპეციალური სუბიექტის როლი. თუ სისხლის სამართლის სუბიექტის მიმართ შესაძლოა დავას იწვევდეს კრიმინალიზაციის პროცესთან დაკავშირებული მრავალი ნიუანსი, ამას ვერ ვიტყვით სპეციალური სუბიექტის მიმართ. მარტივად, ამ საკითხის ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება: ის რაც მისატევებელია რიგითი ადამიანისთვის, იგივეს ვერ ვიტყვით პასუხისმგებელ პირზე. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს ამა თუ იმ პირის სამსახურებრივ ვალდე-ბულებას, ჯეროვნად და სათანადოდ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალე-ობები. მაშინ როდესაც გემის კაპიტანი ვალდებულია სრულყოფილად ფლობდეს სანავიგაციო და სხვა ტექნოლოგიურ კომპონენტებს, იგივეს ვერ ვიტყვით, რიგით თანამშრომელზე და ა. შ. ამის დასტურია „საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“<sup>156</sup>. სადაც დეტალურადაა განმარტებული კრიტიკული ინფორმაციის შენახვასა და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების შესაბამისი სუბიექტები.

ამიტომ, შეცდომა, რომელიც ადამიანის თანმდევი თვისებაა, ამ და მსგავს სფეროებში გადაუვალი მოცემულობაა. ხოლო ის გარემოება, რომ მსგავსი ურთიერთობები რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, უკვე მიუთითებს მის სისხლისსამართლებრივი რეგულირების აუცილებლობაზეც. ფაქტობრივად, სისხლის სამართლის კოდექსი, მართლაც, ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობებს, რომლის მიხედვითაც დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს სპეციალური მუხლებია (მაგალითად: საქ. სსკ 241. ატომური

---

156. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. (კონსოლიდირებული ვერსია 10.06.2021)

ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა) და მისი ანალოგიით გამოყენება აკრძალულია, ამიტომ მსგავსი ხასიათის ქმედებათა არსებობისას კვალიფიკაცია

შესაძლოა განისაზღვროს 342-ე მუხლით, თუნდაც ადგილი ქონდეს გლობალურ ტრაგედიას (სამსახურებრივი გულგრილობა), თუ არ არსებობს შესაბამისი სპეციალური შემადგენლობა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „კიბერდანაშაულებრივ“ შემადგენლობათა ისეთი კატეგორიის კრიმინალიზაცია, რომელიც შესაძლოა ჩადენილ იქნას გაუფრთხილებლობით, სამომავლო პერსპექტივაში გამოიწვევს შემადგენლობათა ისეთი რაოდენობის აკუმულირებას, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსი ვერ დაიტევს. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილი იქნებოდა კიბერტექნოლოგიების, როგორც შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტის გათვალისწინება უკვე არსებულ შემადგენლობათა ფარგლებში, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოებისა. გამონაკლის შემთხვევებში, სოციალური საშიშროებისა და სხვა მახა-სიათებელი ნიშნების გათვალისწინებით, შესაძლებელია სპეციალური შემადგენლობების შექმნაც. ჩვენი აზრით, კრიმინალიზაციის პროცესისადმი მსგავსი მიდგომა თავიდან აგვაცილებდა მრავალ სამართლებრივ და საკანონმდებლო საქმიანობის ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ სირთულეებს.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში დასმულ საკითხთა იურიდიული აქტუალობა, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც „კიბერდანაშაულებრივ“ ქმედებათა კრიმინალიზაციის პროცესში არსებულ სამართლებრივ, კრიმინოლოგიურ და საკანონმდებლო საქმიანობის ტექნიკურ მხარეთა პრობლემატიკის წარმოჩინების მეცნიერული ინტერესი, რომელიც თავის მხრივ, ნასაზრდოებია პრაქტიკული მოსაზრებებითაც.

პირველი და უმთავრესი პრობლემა, რომელიც უწყვეტ ხაზად გასდევს კრიმინალიზაციის პროცესს, მდგომარეობს ისეთ ცნებათა ჩამოყალიბებასა და მეცნიერულ დასაბუთებაში, რომელიც საშუალებას მისცემს კანონმდებელს სრულყოფილად განახორციელოს საკანონმდებლო საქმიანობა.

ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით არ გაგვაჩნია „კიბერდანაშაულის“ საკანონმდებლო დეფინიცია, სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სამართალ-გამოყენებით სფეროში ქმნის მრავალ გაუგებრობას და სიძნელეს. მართლაც, რთულია იმსჯელო დანაშაულთა ისეთ კატეგორიაზე, როგორც „კიბერდანაშაულია“ და ხელთ არ გაგაჩნდეს მისი ლეგალური განმარტება. ამ შემთხვევაში, დოქტრინაში არსებული დეფინიციები, რომელიც არაერთგვაროვანი და განსხვავებულია, ვერ გამოდგება სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „კიბერდანაშაული“ დაყვანილია კომპიუტერული დანაშაულის ცნებამდე და ერთი შეხედვით, რაიმე სახის სამართლებრივ პრობლემას არ ქმნის, მაგრამ თუ საკითხს სხვა კუთხით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ცნების არარსებობა მიზეზი ხდება ამ სახის უმართლობათა სისტემური მოუწესრიგებლობისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი შინაარსის დანაშაულთა შემადგენლობები გაზნეულია აბსოლუტურად უსისტემოდ და ქმედების საკანონ-მდებლო და სასამართლო კვალიფიკაციისას, პრაქტიკაში ქმნის სერიოზულ სიძნელეებს. მხედველობაში გვაქვს სამართლებრივ ნორმათა ისეთი კონკურენციის დონე, როდესაც კანონის ინტერპრეტაციის სამართლებრივი მეთოდი ერთობ არაეფექტიანია.

სავარაუდოდ, ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა იყენებს არა კიბერდანაშაულის, არამედ კომპიუტერული დანაშაუ-

ლის ცნებას, რაც უფრო შეესაბამება სამართლებრივ წესრიგს. რა თქმა უნდა სისხლისსამართლებრივი ცნების განმარტება არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ ინტუიციური გააზრებისა და სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე, არამედ მას საფუძვლად უნდა დაედოს მკაცრად განსაზღვრული, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცნების ზოგადი სახით გაგება, აუცილებლად მიგვიყვანს კრიმინალიზაციის პროცესში უკიდურეს სუბიექტივიზმამდე. კრიმინალიზაციის პროცესის ასეთი სახით წარმართვა კი, გარანტირებულად დაამკვიდრებს არაერთგვაროვან სამამართლო პრაქტიკას.

ამიტომ, სანამ არ მომხდარა „კიბერდანაშაულის“ ცნების, ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული გაგება და ამის საფუძველზე, მისი ლეგალური განმარტება, მიზანშეწონილია დროებით უარი ითქვას მისი საკანონმდებლო დანიშნულებით გამოყენებაზე, რადგანაც „კომპიუტერული დანაშაულის“ ცნება, მოცემულ სამართლებრივ რეალობაში, სრულად შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს. აღნიშნული, ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოსდა, საერთოდ უარი უნდა ითქვას ამ ტერმინის გამოყენებაზე. რა თქმა უნდა არა. ეს ტერმინი, როგორც უნივერსალობის აღმნიშვნელი ერთგვარი სიმბოლო, ხელსაყრელია კიბერსივრცის წიაღში წარმოშობილი და მაღალი ტექნოლოგიების სისტემებთან გენერირებული ისეთი ფენომენების აღსანიშნავად, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, კრიპტოვალუტა და სხვა. ამიტომ, მეცნიერული კვლევების თვალსაზრისით, მისი ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოყენების საჭიროება ეჭვს არ იწვევს.

ჩვენს მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ სისხლის სამართლის კოდექსში რეგლამენტირებული „კიბერდანაშაულებრივი“ (კომპიუტერული) შემადგენლობები, მათი სისტემური წყობის თვალსაზრისით, არ ექვემდებარება ლოგიკურ-სამართლებრივ წესრიგს, არ არის გამოწვეული მხოლოდ „კიბერდანაშაულის“ ცნებასთან დაკავშირებული გაუგებრობით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეროვნულ და უცხო ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, კომპიუტერული შინაარსის დანაშაულებრივი შემადგენლობები მოქცეულია, როგორც სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ („კიბერდანაშაული“ ან კომპიუტერული დანაშაული), ისე სხვა კატეგორიისა და ტიპობრივი ჯგუფის შემადგენლობათა მარეგულირებელ საკანონმდებლო თავებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იწვევს ნორმათა ისეთ კონკურენციას, რომლის

დროსაც ვერ ხერხდება ზოგადი და სპეციალური ნორმების ურთიერთგამიჯვნა, რის შედეგადაც ადგილი აქვს ქმედებათა დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის უსამართლო შემთხვევებს (უმართლობის ერთი და იგივე შინაარსისა და სტრუქტურის ქმედებათა კვალიფიკაცია ორი შემადგენლობით).

თუ ეს ასეა, მაშინ იმის გამომწვევი მიზეზიც უნდა დადგინდეს, რამაც მსგავსი ვითარება შექმნა.

ამ საკითხის გარკვევა კრიმინალიზაციის პროცესის კვალობაზე უნდა მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს კანონმდებლის ნება და ის მახასიათებელი ნიშნები, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ ქმედების კუთვნილებას კომპიუტერული დანაშაულისადმი.

ამა თუ იმ უმართლობათა კრიმინალიზაციისა და სისტემურ-სამართლებრივი მოწესრიგების დროს კანონმდებელი ხელმძღვანელობს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპებითა და კრიტერიუმებით, რის შესახებაც ჩვენ გარკვეულწილად ვიმსჯელებთ ნაშრომის ძირითად ნაწილში, ისევე როგორც კრიმინალიზაციის პროცესში, კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებაზე. აღინიშნა ისიც, რომ კანონმდებლის ეს უფლება არ არის აბსოლუტური და ზღვარდაუდებელი, სწორედ, ამ პრინციპების ბოჭვით. მაგრამ, პრინციპები და კრიტერიუმები ყოველთვის ზოგადი ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მოკლებულ არიან ნიუანსებში წვდომის შესაძლებლობას. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, პასუხი, თუ რა სამართლებრივი კრიტერიუმებით და მექანიზმებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი კომპიუტერულ დანაშაულთა კლასიფიკაციისა და მათი სისტემურ-სამართლებრივი მოწესრიგებისას, ვერ იქნება მიღებული სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით. ამიტომ, საჭიროა თვით დანაშაულის შემადგენლობათა ელემენტების სტრუქტურული ანალიზი.

კვლევის ძირითად ნაწილში განვითარებული მსჯელობა, კიბერსივრცის წიაღში წარმოშობილ ქმედებათა სოციალური საშიშროებისა და მათი კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის თაობაზე, არავითარ ეჭვს არ იწვევს და განპირობებულია საინფორმაციო თუ სხვა მაღალტექნოლოგიური მექანიზმების განვითარებით. მაშასადამე, კომპიუტერულ დანაშაულთა კრიმინალიზაციას ხელი შეუწყო კომპიუ-

ტერისა და ინტერნეტის სოციალიზაციამ. სწორედ, მისი წყალობით გახდა შესაძლებელი „დროსა და სივრცეში მოგზაურობა,” ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ამასთან, მისი უნივერსალურობა გამომჟღავნდა ადამიანის მრავალფეროვან დესტრუქციულ საქმიანობაში; უპირველეს ყოვლისა, მან ზეგავლენა იქონია დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელების ხერხსა და მეთოდებზე და იქცა დანაშაულებრივ ქმედებათა იდეალურ სამყაროდ.

რა სამართლებრივი დასკვნაც არ უნდა გაკეთდეს კიბერდანაშაულებრივ (კომპიუტერულ) ქმედებათა სტრუქტურული მახასიათებლების მიმართ, ერთი რამ უდავოა: მისი გენეზისი და შემდგომ კრიმინალიზაციის პროცესი, უალტერნატივოდ განპირობებულია ამ ტიპის შემადგენლობათა ელემენტების აქტუალიზაციით. ამასთან, საუბარი მიდის და არა ძირითად, არამედ ობიექტური მხარის ელემენტებზე (ე.წ. ფაკულტატური ელემენტები-ხერხი, საგანი, საშუალება). სწორედ, ეს ელემენტები დაედო საფუძვლად ზემოხსენებულ შემადგენლობათა კრიმინალიზაციას და არა, სუბიექტური მხარის ნიშნები.

გამოდის, რომ სწორედ ეს ნიშნები განსაზღვრავენ ქმედების სპეციფიურობასა და კუთვნილებას ამ ტიპის უმართლობებისადმი. შესაბამისად, ეს ნიშნები უნდა დაედოს საფუძვლად ამ ქმედებათა კლასიფიკაციას, მათი კოდექსში შემდგომი რეგლამენტაციის მიზნით, მაგრამ როგორც ვნახეთ, „კიბერდანაშაულებრივ“ შემადგენლობებს ვხვდებით სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა კატეგორიის უმართლობათა ჯგუფში. (კიბერტერორიზმი, ტექნოლოგიური ტერორიზმი, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა და სხვ). ამასთან, ზოგიერთ შემადგენლობაში პირდაპირაა მითითებული კიბერტექნოლოგიებზე, როგორც შემადგენლობის ძირითად ან მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ტრადიციულ შემადგენლობათა უმეტესობის ობიექტურ მხარეში, იმთავითვე, მოიაზრება კომპიუტერულ სისტემათა და ინტერნეტის როლი. (სატრანსპორტო, საავიაციო, ენერგეტიკის და სხვა სფეროების მუშაობის პრინციპს, უმეტესწილად, განსაზღვრავს კიბერტექნოლოგიები).

კიბერსივრცის ფენომენიდან გამომდინარე, უკვე არსებული და პოტენციურად სამომავლო პერსპექტივა იმის მყარ საფუძველს იძლევა, რომ მსგავსი კონსტრუქციის შემადგენლობების კრიმინალიზების საჭიროება ყოველთვის იქნება, დაუსრულებ-



ბლად. ასეთი ვითარებაში, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ფიზიკურად ვერ დაიტევს და „გადახარშავს“ მას.

ამიტომ, სამართლებრივი და, არა მარტო სამართლებრივი, თვალსაზრისით, მიზანშეწონილია „კიბერდანაშაულის“ ელემენტთა გათვალისწინება უკვე არსებულ ტრადიციულ შემადგენლობათა ფარგლებში, როგორც ამა თუ იმ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება. კრიმინალიზაციის ასეთი კონფიგურაცია ერთი მხრივ, გამართლებულია იმითაც, რომ თავიდან ავიცილებთ სისხლისსამართლებრივ ნორმათა არასასურველ კონკურენციას, რომ არაფერი ვთქვათ საკანონმდებლო საქმიანობის ტექნიკურ მხარეზე. მეორე მხრივ, იგი ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის პროცესს და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

თუ შევთანხმდებით აღნიშნული მსჯელობის მართებულობაზე, მაშინ თავიდან ავიცილებთ „კიბერდანაშაულის“ გაუფრთხილებლობით კრიმინალიზაციის პროცესთან დაკავშირებული არგუმენტაციის აუცილებლობას, რადგანაც ეს საკითხი გადაწყდება უკვე არსებული დანაშაულის შემადგენლობის შინაარსის მიხედვით. მაგალითად: თუ კიბერტერორიზმი, ტერორიზმის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი გარემოება იქნება, ამ შემთხვევაში გასაგები იქნება ისიც, რომ საქმე გვაქვს განზრახ დანაშაულთან; თუ საფრენი აპარატის მართვის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა, კიბერტექნოლოგიებისადმი გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებამ გამოიწვია, ადგილი აქვს გაუფრთხილებელ დანაშაულს; ატომური ენერგეტიკის ობიექტებზე უსაფრთხოების წესების დარღვევა თუ კომპიუტერული ტექნოლოგიების გაფრთხილებელმა გამოიწვია, აქაც ყველაფერი სრულიად ნათელი იქნება.

ამრიგად, კვლევის პროცესში დასმული პრობლემატური საკითხები, რომელიც უკავშირდება კიბერსივრცის წიაღში წარმოშობილ ქმედებათა კრიმინალიზაციის სპეციფიკას, კომპლექსური და მრავალასპექტიანი შინაარსის საქმიანობაა და საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას. მით უმეტეს, რომ სოციუმის ტოტალური კომპიუტერიზაცია და ხელოვნური ინტელექტის ტანდემი კიბერტექნოლოგიებთან, უახლოვეს მომავალში წარმოშობს მრავალ სამართლებრივ დილემას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოკრძალებული თვალსაზრი კი მხოლოდ პრობლემის აქტუალობასა და შემდგომი კვლევის აუცილებლობაზე მიუთითებს.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ფ ი ა

### სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები:

1. გაბისონია ზ. „ინერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი.“ თბილისი, 2022 წ. გამომცემლობა „იურისტების სამყარო.“
2. გაბისონია ზ. „ბლოკჩეინის ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების არსი და პრობლემები.“ შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი N-2. 2019.
3. ბეკარია ჩ. „დანაშაულისა და სასჯელების შესახებ.“ მოსკოვი 1939 წ.
4. ნაჭყებია გ. „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი.“ თბილისი 1998 წ. გამომცემლობა „მერიდიანი.“
5. ნაჭყებია გ. „სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება.“ (ლექციების კურსი), თბილისი 2002 წ.
6. ნაჭყების გ. „სისხლის სამართლის მეთოდოლოგიური ანბანი.“ თბილისი 2006 წ.
7. ხარაზიშვილი ბ. „სიცრუს ფსიქოლოგია.“ თბილისი 1975 წ.
8. უგრეხელიძე მ. „ტიპობრივი ვალენტობის პრინციპი სისხლის სამართალში.“ თბილისი 2017 წ. მაცნე N-11.
9. უგრეხელიძე მ. „სამართლის სალექციო კურსი.“ თბილისი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი 09.01.2020წ.
10. ღლონტი ა. „კიბერუსაფრთხოების სახელმძღვანელო.“ პრაქტიკული გზამკვლევი. თბილისი 2019 წ.
11. ზაქაშვილი უ. „კიბერდანაშაულის სისხლის სამართლებრივი პრობლემები საქართველოში.“ თბილისი 2014 წ.
12. ციპელიუსი რ. „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“. გამომცემლობა „ბეკი“ მე-10 გადამუშავებული გამოცემა, 2006.
13. ვასმერი მ. „კიბერდანაშაულ. აწყობა და მომავალი.“ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი 2021წ.
14. ბოძაშვილი ლ. კოხრეიძე ნ. „კიბერსივრცის სამართალი.“ ქ. თბილისი 2012 წ.

15. ა. ოსიპოვი. მოსკოვის სასულიერო აკადემიის სალექციო კურსი. მოსკოვი ტვ., სოიუზი” 2020.
16. Russell G. Smith, „ Investigating Cybercrime: Barriers and Solutions,” Association of Certified Fraud Examiners, Pacific Rim Fraud Conference. Sidney 11 September 2003,
17. By Corinne Ramey. „ Algorithm Helps New-York Decide Who Goes Free Before Trial.”. The WALL STREET JOURNAL. September 20. 2020.
18. E. Fromm. The Anatomy of Humany Destructiveness. Published 1 November 1974.
19. Martin W. Y. The Information Society. London 1988.
20. Masuda Y. The Information Society. Washington. 1983.
21. Bell D. The Coming of Post-Industrial Society. A Venture in Social Forecasting. New York. 1973.
22. Beck U. Ecological Enlightenment. Essays on the Politics of the Risk Society. New Jersey, 1995.
23. Beck U. Giddens A. Lash S. Reflexive Modernization. Politics, Tradition and Aesthetics in the Modern Social
24. Order. Stanford 1994; Giddens A. The Consequences of Modernity. Cambridge, 1991.
25. Aron R. Dix-huit lecons sur la societe industrielle. Paris, 1962. P. 192.
26. Buruma I.F. Japanese Mirror. Heroes and Villainse Culture. London 1984.
27. Buruma I.F. Op.cit.
28. Dolan R. E. National Security. Japan: a Country Study. Federal Research div. Librey of Congress. Washington, 1992. P. 468.
29. ობ. East Asia by the Year 2000 and Beyond Ed. By W. pape. New York, 1998. P. 24-25.
30. M. Freeman. The Legal Struktore. London 1974.
31. By Courtney Stanhope Kenny. Fundementals of criminal Low. Cambridge, 1947.
32. Courtney Stanhope Kenny. Outlines of Criminal Low. Franklin Classics. October 12. 2018.
33. E. Durkheim. Rules of Sociological. Eith ed. 1992.

34. Sixth United Nation Congress on the Prevention of crime. Caracas, Venezuela, 25 August. 1980.
35. Fifth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders. Economik and Social Consequenes of Crime: New Challenges for Research and planning.  
Geneva, Svitzerland, 1-12 September.WWW.OIP.GOV.
36. Computer Misuse Act 1990. First Published 1990, Reprinted in the United Kingdom by The Stationery Office Limited. London, 1997.
37. Data Protection Act 1998. London.
38. The cost of cyber. A detica report in partnership with the office of cyber security and information assurance in the cabinet office.London 2010.
39. German Criminal Code
40. (Strafgesetzbuch – StGB)
41. Full citation: Criminal Code in the version published on 13 November 1998 (Federal Law Gazette I, p. 3322), as last amended by Article 2 of the Act of 19 June 2019 (Federal Law Gazette I,)
42. Morrison P. 1991. Computer Crime. The Improvement of Investigative Skills. Final Report Part One: 89
43. Colin B. 1997. The Future of Cyberterrorism. Crime and Justice International. March: 15–18.
44. The Wall Street Journal N-2. 20 May 2020.
45. Oxford English Dictionary. [ electronic resourse] URL:/http/wwwskoxford.com
46. Cambridge Advansed Learners Dictionary. [electronic resorse]  
URL:http:/dictionaryCambriedge.org
47. The Newspaper. „, New York Times” N-4; 25 ougest 2019.
48. United Nations Offise of Drugs and Crime ( UNODC ), The Globalisation of Crime. A Transnational Organised Crime Treat  
Assessment ( Vienna: UNODC , 2010 ).
49. The Unated States Armys Cyberspace Operations Consept Capability Plan 2016-2028, TRADOC Pamplet 525-7-8 (Department of the Army, 22 february 2010).

50. Council of the European Union, Council conclusion concerning an Action Plan to combat cybercrime, 3010 th General Affairs council meeting, Luxembourg. 26 April 2010.
51. Sixth United Nation Congress on the Prevention of crime. Caracas, Venezuela, 25 August. 1980.
52. Brenner S. W. 2002. The emerging consensus on criminal conduct in cyberspace. UCLA Journal of Law and Technology. № 3.
53. Shelley Louise I. 2003. Organized Crime, Terrorism and Cybercrime. Security Sector Reform: Institutions, Society and Good Governance. Baden–Baden: 303–312.( ბოლო ნახვის თარიღი 20.02.2022).
54. Williams P. 2005. Organized Crime and Cybercrime: Synergies, Trends and Responses. URL: <http://www.iwar.org.uk/ecospionage/resources/transnational-crime/g,i07.htm> (ბოლო ნახვის თარიღი 27.02. 2022)
55. Sieber U. 2007. Legal Aspects of Computer–Related Crime in the Information Society. URL: <http://europa.eu.int/ISPO/legal/en/comcrime/sieber.doc> (ბოლო ნახვის თარიღი 3.03.2022).
56. By Joe Mckendrick. AI Adoption Skyrocketed Over the Last 18 months.
57. Hbr.org/2021/og/ai-adoption-skyrocketed-over-the-last-18-months
58. September 27. 2021.
59. Тропинина Т. Л. – Борьба с киберпреступностью. Возможно ли разработка универсального механизма.  
Международное правосудие N-3.
60. Гуревич П. С. Человек. Смерть и бессмертие. Древний мир. Эпоха просвещения. М. 1991
61. Коган Л. Н. Зло. Екатеринбург. 1992.
62. Скрипкин А. П. Моральное зло в истории этики и культуры. М.1992.
63. Фрейд З. Будущность одной иллюзии. Сумерки Богов. М. 1989.
64. Фромм Е. Бегство от свободью М. 1989.
65. Фромм. Е. Анатомия Человеческой Деструктивности. М. 1994.
66. Социологическая энциклопедия: В. 2 т. М. 2003
67. Лесков Л. В. Космические цивилизации; проблемы эволюции.

- М. 1985.
68. Кастелъс Е. Информационная Эпоха. Экономика, общество и культура.  
М. 2000.
69. Бузгалин А. В. Постиндустриальное общество – тупиковая ветвь социального развития.(Критика практики тотальной гегемонии капитала и теорий постиндустриализма) Вопросы Философии. 2002. N-5)
- 70 Гидденс А. Судьба, Риск и Безопасность, 1994. N-5.
- 71.Социологическая энциклопедия. В 2 т. 2. Национальный общественно-научный фонд. М.2003.
72. Делокаров К. Мировозренческие основания современной цивилизации и её глобальный кризис. Общественные науки и современность. N-2.
73. Монтескье Ш. Избранные произведения. М. 1995 с.91.
74. Зомберт В. Буржуа. М. 1994.
75. Гаджиев К. С. Размышления о свободе. Вопросы философии.  
N-2. 1993.
76. Бенкс М. Психи маньяки в интернете. СПб. 1998.
77. Поликарпов В.С. Философия безопасности. СПб- Ростов-на-Дону.  
Таганрог 2001. С. 132
78. Моисеев Н.Н. Современный антропоцентризм и цивилизационные разломы.  
Социально-политический журнал. 1995. N-4.
79. Аронсон Э. Уилсон Т. Эйбек Р. Социальная психология.СПб 2002.
80. Кемеров В.Е. Введение в социальную философию. М. 1994.
81. Льюис Р.Д. Деловые культуры в международном бизнесе.  
М. 2001.
82. Асп Э.К. Введение в социологию. СПб. 1998.
83. Брагина Э.К. Модель развития новых индустриальных стран. Вестник РАН N-1 .  
1998.
84. Вершинская О.Н. Существующие модели построения информационного общества. N-3 1999.
85. Зуев А. Безопасность в виртуальном пространстве. Мировая экономика и международные отношения.

- 2003 N-9.
86. Яковлев А. М. Принципы социальной справедливости и основание уголовной ответственности.  
Государство и право. 1982 N-3.
87. Демидов Ю. А. Социальная ценность и оценка в уголовном праве.  
М. 1975.
88. Галперин И. М. Наказание- социальные функции. Практика применения. М. 1983.
89. Злобин Г. А. Основания и принципы уголовно-правового запрета. Сов.  
Государство и право. N-1.
90. Дагель П. С. Проблемы советской уголовной Политики. Владивосток 1982 г.
91. Злобин Г. А. Основания и принципы уголовно-правового запрета.  
Советское государство и право. N-1.
92. Фефелов П. А. Критерии установления уголовной наказуемости деяний.  
Сов. Государство и право. 1970 г. N-11.
93. Коробеев А.И. сщв. Уголовно-правовая политика. Владивосток 1987 г.
94. Бобиева М. Н. Социальные нормы и регуляция поведения.  
М. 1978.
95. . Поленина С. В. Законодательство в российской федерации.  
М.1996.
96. Гард Г. - Сравнительная преступность.  
М. 1907.
97. Жалинский А. Э. Избранные трудыю Криминология. Т. 16. М.2014
98. Гишинский Я. Криминология – учебник для ВУЗ. Санкт-Петербург 2002.
99. Мазуров В.А., Потапов Д.П., Сорокин В.В. Компьютерные преступления: анализ  
уголовного законодательства США и Германии // Известия Алтайского  
государственного университета. 2005. № 2.
100. Уголовный кодекс штата Техас / Научное редактирование и предисловие канд.  
юрид. наук, проф И.Д. Козочкина. Перевод с английского Д.Г. Осипова, И.Д.  
Козочкина. СПб.: Изд-во Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2006.
101. Уголовный кодекс Австралии. Научное редактирование проф. И.Д. Козочкин,  
Трикоз. Перевод Е.Н. Трикоз. Санкт-Петербург, Юридический центр Пресс,2002.

102. Уголовный кодекс Украины от 5 апреля 2001 года № 2341-III. По состоянию на 24.03.22 г

103. Тропина Татьяна Львовна. АВТОРЕФЕРАТ диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук.

Владивосток — 2005. <https://lawtheses.com/kiberprestupnost-ponyatie-sostoyanie-ugolovno-pravovye-meru-borbu>.

104. Ищенко Е.П. 2015. О криминалистическом обеспечении раскрытия и расследования киберпреступлений. В кн.: Деятельность правоохранительных органов в современных условиях: сборник материалов 20-й международной научно-практической конференции. В 2 томах. Том 1. Иркутск.

105. Вепрев С.Б., Нестерович С.А. 2018. Киберпреступность как новая форма преступности. Расследование преступлений: проблемы и пути их решения, 3(21).

106. Номоконов В.А. Тропина Т.Л. 2012. Киберпреступность как новая криминальная угроза. Криминология: вчера, сегодня, завтра.

107. Простосердов М.А. 2016. Экономические преступления, совершаемые в киберпространстве, и меры противодействия им. Диссертация ... кандидата юридических наук. Москва: 232.



### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. (კონსოლიდირებული ვერსია 21.04.22.)
2. Уголовный кодекс Украины от 5 апреля 2001 года № 2341-III. По состоянию на 24.03.22 г.
3. German Criminal Code(Strafgesetzbuch – StGB)Full citation: Criminal Code in the version published on 13 November 1998 (Federal Law Gazette I, p. 3322), as last amended by Article 2 of the Act of 19 June 2019 (Federal Law Gazette I).
4. Уголовный кодекс Австралии. Научное редактирование проф. И.Д. Козочкин, Е.Н. Трикоз. Перевод Е.Н. Трикоз. Санкт-Петербург, Юридический центр Пресс, 2002.
5. Уголовный кодекс штата Техас / Научное редактирование и предисловие канд. юрид. наук, проф И.Д. Козочкина. Перевод с английского Д.Г. Осипова, И.Д. Козочкина. СПб.: Изд-во Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2006
6. Criminal Procedure Code of the Republic of Italy (Part II)  
Criminal Procedure Code of the Republic of Italy (Part I)
- 7.Editing English criminal law (section)
- 8.Criminal Code of the French Republic (as of January 2020)
9. Criminal Code (Canada)
10. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი(2021წ)
11. ბუდაპეშტის კონვენცია „ კიბერდანაშაულის შესახებ” 2001 წლის 23 ნოემბრი.
12. . ETS 185 – Convention on Cybercrime, 23.XI.2001.
14. საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. (კონსოლიდირებული ვერსია 10.06.2021)
15. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.(2011 წ)
16. 1.გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა. აშშ. ნიუ -იორკი.  
28 დეკემბერი 2019წ.

## ინტერნეტ-რესურსები:

1. [shorturl.at/bjyDS](http://shorturl.at/bjyDS) (ბოლო ნახვის თარიღი 01.03.22.)
2. [Idandify.ru/technologi/computer-architecture/](http://Idandify.ru/technologi/computer-architecture/)(ბოლო ნახვის თარიღი 08.12.21)
- 3 [www.gazeta.ru/science/2020/04/08/a\\_13040755.shtml](http://www.gazeta.ru/science/2020/04/08/a_13040755.shtml) ( თარიღი 08.12.21)
4. [shorturl.at/joql0](http://shorturl.at/joql0)
5. [shorturl.at/oJNX26](http://shorturl.at/oJNX26). [.cloud.google.com/automl](https://cloud.google.com/automl)
6. [shorturl.at/jIWZ3](http://shorturl.at/jIWZ3)
7. [shorturl.at/anGY5](http://shorturl.at/anGY5)
8. [shorturl.at/hjqG8](http://shorturl.at/hjqG8)
9. ობ. [shorturl.at/mzABH](http://shorturl.at/mzABH)
10. .ობ. [shorturl.at/npAFY](http://shorturl.at/npAFY)
11. [shorturl.at/lyzHT](http://shorturl.at/lyzHT)
12. [shorturl.at/jltC6](http://shorturl.at/jltC6)
13. ობ. [shorturl.at/fvKL8](http://shorturl.at/fvKL8)
14. [shorturl.at/iwKL5](http://shorturl.at/iwKL5)
15. [shorturl.at/csGUV](http://shorturl.at/csGUV)
16. [shorturl.at/jkBGU](http://shorturl.at/jkBGU) (ბოლო ნახვის თარიღი 8.01.2022)
17. [shorturl.at/tzDFM](http://shorturl.at/tzDFM) (ბოლო ნახვის თარიღი 27.02. 2022)
18. [shorturl.at/ewyW0](http://shorturl.at/ewyW0) (ბოლო ნახვის თარიღი 3.03.2022).
19. [shorturl.at/kDIVZ](http://shorturl.at/kDIVZ) ( ბოლო ნახვის თარიღი 10.05.2022)
20. [shorturl.at/iGOVZ](http://shorturl.at/iGOVZ) (ბოლო ნახვის თარიღი 10.05.22)
21. [shorturl.at/blpN1](http://shorturl.at/blpN1).
22. [shorturl.at/mGKX9](http://shorturl.at/mGKX9)
23. [shorturl.at/lqKV0](http://shorturl.at/lqKV0)

დანართი:

-----

## I

### სოციოლოგიური კვლევის ამოცანები

---

1. გამოიკვეთოს კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებები კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა (საქ. სსკ XXXV-ე თავით გათვალისწინებულ შემადგენლობათა მიხედვით) დანაშაულად კვალიფიკაციის თაობაზე.

2. სასამართლო პრაქტიკიდან, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის მაგალითზე, დანაშაულთა ერთობლიობით (კომპიუტერულ შემადგენლობასთან ერთად) კვალიფიკაციის სამართლებრივ მიზანშეწონილობაზე, გამოითქვას ინდივიდუალური თვალსაზრისი.

3. პრობლემის არსებობის შემთხვევაში, გამოვლინდეს საკითხის გადაწყვეტის სამართლებრივი გზები.

### კვლევის მეთოდოლოგია

---

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით და მოიცავდა შემდეგ სამიზნე სეგმენტებს: შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის დეპარტამენტის საგამომიებო სამსახურის (გამომძიებლები, ინსპექტორ-გამომძიებლები) თანამშრომლებს.

კვლევა განხორციელდა ფოკუსჯგუფების კვლევის მეთოდით, რომლის დაგეგმვისა და ჩატარების დროს გათვალისწინებულ იქნა საქმიანობის კონკრეტულად განსაზღვრული სფერო (საგამომძიებო საქმიანობა).

კვლევა ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით, ინდივიდუალურად, ანონიმურად. რესპოდენტთა რაოდენობა-145 პირი (გამომძიებელი).

### კვლევის პროცესში დასმულ საკითხთა შინაარსი

---

ა) კიბერტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ქმედებათა კრიმინალიზაციის სოციალური საჭიროება და განმაპირობებელი ფაქტორები.

ბ) მსგავსი კატეგორიის ქმედებათა დამოუკიდებელ შემადგენლობად (უმართლობად) ჩამოყალიბების მართებულობა.

გ) თაღლითობისა და 286<sup>1</sup> (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით) მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის, დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის მართებულობა. {ნაშრომში მოყვანილი მაგალითის მიხედვით}

დ) შესაძლებელია თუ არა გაუფრთხილებლობით კიბერდანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენა?

### კვლევის შედეგები:

ა) გამოკითხულ პირთა სრული შემადგენლობა ( 145 პირი-100% ) ემხრობა კიბერდანაშაულებრივი კატეგორიის ქმედებათა კრიმინალიზაციას.

ბ) ქმედების დამოუკიდებელ შემადგენლობად ჩამოყალიბების თაობაზე, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრ

რისი არ არსებობს (145 პირი-100%)

გ) რესპონდენტთა 82 (56 %) მხარს უჭერს დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას, 47 (32,41%) წინააღმდეგია, ხოლო 16 პირს (11,03) მიაჩნია, რომ საკითხი იურისტთა განსახილველია.(სამართლებრივი არგუმენტაციის გარეშე).

დ) გამოკითხული პირები (145 პირი-100%) კატეგორიულად ადასტურებენ გაუფრთხილებლობის ინსტიტუტის კრიმინალიზების აუცილებლობას.

II.

სასამართლო განაჩენთა ასლები

საქმე --  
საქმე N1/



**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
საქართველოს სახელით  
შესავალი ნაწილი

10.02. 2021 წელი

ქ. გორი

**გორის რაიონული სასამართლო**

მოსამართლე ლევან დარბაიძე  
სხდომის მდივანი გიორგი მოწონელიძე  
სხდომის სახე ღია სასამართლო სხდომა

*ბრალდების მხარე*

პროკურორი - ო-----

დაცვის მხარე

ადვოკატი - ქ---ნ გ---ი

**ბრალდებული -** ~~გ---რ~~ ~~გ--ს~~ ~~ბე~~ ~~ზ--ე~~, დაბადებული - წლის - სექტემბერს, საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი - --- განათლებით, სასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები: გ--ს რაიონი, სოფელი ს--.

**კვალიფიკაცია**

ქურდობა, ე.ი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე

მუხლის პირველი ნაწილით;

### აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

#### საპროცესო შეთანხმების არსი

ჯ--რ ზ--ს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ე.ი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 30 სექტემბერს, 1 ოქტომბერს, 2 ოქტომბერს და 6 ოქტომბერს ჯ--რ ზ--მ გ--ს რაიონის სოფელ ს--ი მდებარე თავის საცხოვრებელი სახლიდან, ონლაინ ტოტალიზატორ „ა--ში“ გახსნილი ი-- კ--ს პირადი გვერდის გამოყენებით, უნებართვოდ შეაღწია --- გახსნილი ი--ც--ს საბანკო ანგარიშზე, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ 548 ლარს, რითაც დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

ასევე, ჯ-- ზ--ს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 30 სექტემბერს, 1 ოქტომბერს, 2 ოქტომბერს და 6 ოქტომბერს ჯ--რ ზ--მ გ--ს რაიონის სოფელ ს--ი მდებარე თავის საცხოვრებელი სახლიდან, ონლაინ ტოტალიზატორ --- გახსნილი ი--ე კ--ის პირადი გვერდის გამოყენებით, უნებართვოდ შეაღწია -- ბანკში გახსნილი ი-- ც--ს საბანკო ანგარიშზე.

ზემოაღნიშნული ქმედებებისათვის ჯ--რ ზ--ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 284-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2021 წლის 10 თებერვალს, ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, ადვოკატის უშუალო მონაწილეობით და ბრალდებულის წინასწარი ნებაყოფლობითი თანხმობით, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, რომელსაც პროკურორი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს, ამასთან, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ბრალდებულმა ნებაყოფლობით აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, პროკურორ ოთარ ხორგუაშვილსა და



ბრალდებულ ჯ--- ზ---ს შორის წერილობით გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

2021 წლის 10 თებერვალს გორის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მომართა პროკურორმა ო--- ხ---მა და ითხოვა ბრალდებულთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება იმის თაობაზე, რომ ჯ---ზ---ცნობილ ოქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 284-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩეთვალოს პირობით მსჯავრად. მასვე, დამატებით სასჯელად დაენიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 (ას ოცი) საათის ვადით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩეთვალოს პირობით მსჯავრად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული ძირითადი სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, ჯ--- ზ---ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩეთვალოს პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი, მასვე, დამატებით სასჯელად დაენიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 (ას ოცი) საათის ვადით.

ამასთან, პროკურორის განმარტებით, დაზარალებულის წარმომადგენელმა - მ-- შ--მა უარი განაცხადა ჯ-- ზ--ს მიმართ მიმართ გავრცელდეს 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

საპროცესო შეთანხმებების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობას და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას ღია სასამართლო სხდომაზე მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელმა - ო-- ხ--მა, ბრალდებულმა - ჯ--ზ--მ, ასევე მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა - ქ--ნ გ--მა. ბრალდებულმა წარდგინა ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ ბრალად შერაცხული ქმედება ჩაიდინა პროკურორის მიერ



შუამდგომლობაში აღწერილ ვითარებაში.

### **მტკიცებულებათა ერთობლიობა**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლომ განიხილა რა შუამდგომლობების დასაბუთებულობა, შეამოწმა მათი სამართლებრივი საფუძვლები და მიაჩნია, რომ ჯიმშერ ზუმბულიძის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი შემდეგი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ფოტოცხრილი, მოწმეების - ი--კ--ს, მ--შ--ს, ჯ--ზ--ის გამოკითხვის ოქმები, საბანკო ამონაწერის დათვალიერების ოქმი, სს --- ბანკიდან ინფორმაციის გამოთხოვის ოქმი და გამოთხოვილი ინფორმაცია, ონლაინ ტოტალიზატორ --- ინფორმაციის გამოთხოვის ოქმი და გამოთხოვილი ინფორმაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენას, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და ნებაყოფლობით უარს ამბობს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე მიღებული, ზემოაღნიშნული მტკიცებულებები საკმარისია ბრალდებულ ჯ----ზ----ს დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

### **საპროცესო ნორმათა დაცულობა**

სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით, ბრალდებულის მიერ ინკრიმინირებული დანაშაულის ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე.

სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ადვოკატის კვალიფიციური იურიდიული დახმარება და მიიღო სათანადო იურიდიული რჩევები.

სასამართლო სხდომაზე დადგინდა იქნა, რომ ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ედება ბრალი და იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს. ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ.



ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის ნასამართლობის სამართლებრივ შედეგებს, სახელდობრ, იმას, რომ საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობის განცხადებით, ის ნებაყოფლობით თმობს მის უფლებას საქმის არსებითი განხილვისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გადასინჯვის თაობაზე. ამასთან, საპროცესო შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

ბრალდებული აცნობიერებს, რომ მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება, ხოლო თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მან მიაწოდა სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას.

სასამართლო სხდომაზე ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული აცნობიერებს მისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა დაცვის უფლება, საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება და სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება.

სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს. ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს. ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია საპროცესო შეთანხმებაში. ამასთან, ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

სასამართლო ასევე დარწმუნდა, რომ ბრალდებულის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას. ბრალდებულს განემარტა, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

### **სამართლებრივი შეფასება**

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, X--- ზ---ის მიმართ წარდგენილი ბრალდება დასაბუთებულია, ბრალის აღიარება ნებაყოფლობითია, ხოლო საპროცესო შეთანხმებებით გათვალისწინებული სასჯელის სახე და ზომა კანონიერი და სამართლიანია, რაც შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ბრალდებულის პიროვნებას.



სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების განხილვისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე დამარწმუნებელი პასუხები მიიღო.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობების წარდგენისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავის მოთხოვნათა არსებითი დარღვევის ფაქტს, რაც გამოიწვევდა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, ადგილი არ ჰქონია.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას სასამართლო ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული განმარტებით, საქმეზე „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობის განცხადებით, ბრალდებული ნებაყოფლობით თმობს თავის უფლებებს საქმის არსებითი განხილვისა და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გადასინჯვის თაობაზე, რაც საპროცესო შეთანხმების ჩვეული შედეგია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე, 50-ე, 53-ე, 63-ე-65-ე მუხლებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-216-ე, 258-ე-260-ე, 267-ე, 269-ე, 271-ე-274-ე, 277-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა

1. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორ ო-- ხ---ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. დამტკიცდეს 2021 წლის 10 თებერვალს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორ ო---ხ---სა და ბრალდებულ ჯ-- ზ---ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.
3. ჯ--რ ზ--ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 284-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და



სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობით მსჯავრად. მასვე, დამატებით სასჯელად დაენიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 (ას ოცი) საათის ვადით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობით მსჯავრად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნული ძირითადი სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, ჯიშმერ ზუმბულიძეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი. მასვე, დამატებით სასჯელად დაენიშნოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 (ას ოცი) საათის ვადით.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე, 65-ე და 66-ე მუხლების და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს.

5. მსჯავრდებულ ჯ--- ზ---ს დაევალოს შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

6. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას.

7. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

8. სხვა შემთხვევაში განაჩენი არ გასაჩივრდება.

მოსამართლე

ლევან დარბაიძე

საქმე #  
N



7493413635674

www.ecd.court.ge



**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
**საქართველოს სახელით**  
**შესავალი ნაწილი**

1 თებერვალი, 2022 წელი

ქ. გორი

**გორის რაიონული სასამართლო**

**მოსამართლე გოგა კუპრეიშვილი**  
**სხდომის მდივანი მერი შატაკიშვილი**  
**სხდომის სახე ღია სასამართლო სხდომა**

**ბრალდების მხარე**

**პროკურორი - ნ--- ზ-----ი**

**დაცვის მხარე**

**ადვოკატი - მ---ა გ-----ი**

**ბრალდებული - ე---ი რ---ე, დაბადებული - წლის - საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი -**  
**, --- განათლებით, ნასამართლობის მქონე, მცხოვრები: ქ.გ ---ი, ს---ს გამზირი N**

**კვალიფიკაცია:** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (11 ეპიზოდი).

**დისპოზიცია:** თაღლითობა, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

**კვალიფიკაცია:** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**დისპოზიცია:** თაღლითობის მცდელობა, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლების მცდელობა მოტყუებით.

**კვალიფიკაცია:** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**დისპოზიცია:** თაღლითობა, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით.

**კვალიფიკაცია:** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით.



...გია: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (4 ეპიზოდი).

...დების კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ... ქვეპუნქტით.

**ქმედების შემადგენლობა (დისპოზიცია):** ქურდობა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

**სხდომის სახე** - სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე.

#### აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ დაადგინა:

2020 წლის 22 აგვისტოს ე---რ რ---მ გ---ი ს---ს ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას სოციალურ ქსელ ფეისბუქში შექმნა დ---ბ---ას სახელით ყალბი პროფილი და მის მეგობრებს - მ---თ---სა და თ---კ---ეს დ---თ ბ---ს სახელით მისწერა, რომ მისთვის ჩაერიცხათ 70 ლარი მისი ტოტალიზატორის ანგარიშზე, მ---თ---ე და თ---ზ კ---ე მიხვდნენ, რომ მათ დ---ბ---ას სახელით სწერდა სხვა პირი, რის გამოც ე---ი რ---მ განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში.

2019 წლის 05 ოქტომბერს ე---რ რ---მ გ---ი ს---ს ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას სოციალურ ქსელ ფეისბუქში შექმნა ბ---ა შ---ის სახელით ყალბი პროფილი და მის მეგობარს - გ---ი ჯ---ს ბ---ა შ---ის სახელით მისწერა, რომ მისთვის ჩაერიცხა 650 ლარი მისი ტოტალიზატორის ანგარიშზე, გ---ა დაიჯერა, რომ მას სწერდა მისი მეგობარი და ჩაურიცხა 650 ლარი. ე---რ---ს ქმედების შედეგად გ---ი ჯ---ს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2019 წლის 14 ნოემბერს, ქ. გორში ე---ი რ---მ უკანონოდ შეაღწია სს „---“ში არსებული -----ს ანგარიშზე და თანხის გადარიცხვით ფარულად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა დ---თ გ---ს თანხას 1057 ლარის ოდენობით, რითიც დ---თ გ---ს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2019 წლის 14 ნოემბერს, ქ. გ-ი ე---ი რ---მ უკანონოდ შეაღწია სს „---“ში არსებული დ---გ---ს ანგარიშზე და დაეუფლა მის ანგარიშზე არსებულ თანხას.

2021 წლის 25 იანვარს ე---რ რ---მ გ---ი სტალინის ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას სოციალურ ქსელ ფეისბუქში შექმნა ბ---პ---ის სახელით ყალბი პროფილი და მის მეგობარს - პ---ნ-ს ბ---რ პ---ს სახელით მისწერა, რომ მისთვის ჩაერიცხა თანხა. პ---ნ-მ მას გადასცა მისი პლასტიკური ბარათის მონაცემები და ოთხნიშნა დამცავი კოდი. ე---ი რ---მ უკანონოდ შეაღწია პ---ა ნ---ის საბანკო ანგარიშზე, საიდანაც მოტყუებით დაეუფლა 460 ლარს.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2021 წლის 25 იანვარს ე---რ რ---მ გ--- სტალინის ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას უკანონოდ შეაღწია პ---ნ-ს საბანკო ანგარიშზე და დაეუფლა პ---ა ნ---ის კუთვნილ თანხას 460 ლარის ოდენობით.

ე---ი რ---მ სხვა პირთა ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2020 წლის დეკემბერში ქ.-ი, შექმნა კ---რ ხ---ის კუთვნილი ფეისბუქ გვერდის ანალოგი გვერდი, დაიმატა მისი მეგობრები,



ტ---ლ ნ---ეს მისწერა, რომ ჩაერიცხა თანხა 200 ლარი. ტ---ლ ნ---მე შევიდა შეცდომაში  
ონა, რომ იგი თანხას ურიცხავდა მეგობარს კ---რ ხ---ს, 200 ლარი გადაურიცხა ონლაინ-  
ტალიზატორ კრისტალბეთის ანგარიშზე --- რომლესაც განკარგავდა ე--- რ--- აღნიშნული  
ქედებით ტ---ნ---ეს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

2018 წლის 23 ნოემბერს, ე--- რ---მ გ---ი ს---ს ქუჩა N---ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას  
შექმნა შ--- ა---ის სახელით ყალბი ფეისბუქ პროფილი და მისი სახელით მისწერა დ---გ---და  
სთხოვა თანხის გადარიცხვა. მოტყუებით თაღლითურად დ--- გ---ს ტოტალიზატორ  
კრისტალბეთის ანგარიშზე (ნომრით ---გადარიცხინა თანხა 100 ლარის ოდენობით. იმავე დღეს ე---  
რ---მ ასევე, მოტყუებით თაღლითურად გადააგზავნინა ზ--- ს---ს მისი პლასტიკური ბარათის  
მონაცემები, უკანონოდ შეაღწია მის ანგარიშზე და ზ--- ს---ის ანგარიშიდან თანხის გადარიცხვით  
დაეუფლა თანხას 300 ლარი ოდენობით.

2018 წლის 23 ნოემბერს, ე--- რ---ემ გ---ი ს---ს ქუჩა N--ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას  
უკანონოდ შეაღწია ზ--ი ს---ის საბანკო ანგარიშზე და დაეუფლა მის კუთვნილ კუთვნილ თანხას  
300 ლარის ოდენობით.

2018 წლის 11 ნოემბერს, ე--- რ---მ გ---ი ს---ს ქუჩა N---ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას  
შექმნა გ--- ა---ს სახელით ყალბი ფეისბუქ პროფილი და მისი სახელით მისწერა ი---ი ქ---ს და  
სთხოვა თანხის გადარიცხვა. ი---ი ქ---მ მას გადასცა თავისი პლასტიკური ბარათის მონაცემები. ე-  
ი რ---ემ უკანონოდ შეაღწია ი--- ქ---ის სს ---კის" --- ანგარიშზე, საიდანაც დაეუფლა 1230 ლარს,  
რითაც ი---ი ქ---ს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2018 წლის 11 ნოემბერს, ე--- რ---მ გ---, სტალინის ქუჩა N--ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას  
უკანონოდ შეაღწია ი-- ქ--ს სს - ანგარიშზე, საიდანაც დაეუფლა 1230 ლარს.

2018 წლის 10 დეკემბერს ე--ი რ---მ გ--ი ს--ის ქუჩა N---ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას  
სოციალურ ქსელ ფეისბუქში გ--ი ჩ--ას სახელით შექმნა ყალბი ფეისბუქ გვერდი და მისი მეგობარ  
კ--- --ს სთხოვა თანხის ჩარიცხვა. კ---რ გ---მა გადაურიცხა ე- რ--ს თანხა 150 ლარის ოდენობით,  
რითაც თაღლითურად მოტყუებით დაეუფლა კ---- გ-----ის კუთვნილ ფულადი თანხას 150  
ლარის ოდენობით.

2019 წლის 2 და 3 იანვარს, ე--- რ---მ გ---ი ს---ს ქუჩა N---ში თავის საცხოვრებელ სახლში  
ყოფნისას შ--- მ---ის სახელით „ფეისბუქ“ გვერდზე დაუმეგობრდა მ---ლ ვა--ს და გ--- შ---ს,  
რომელმაც სთხოვა, მისი მეგობრისთვის „paybox.ge“-ის სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან N-  
ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა. აღნიშნული თხოვნის საფუძველზე, მ--- ვ---მა მითითებულ  
ანგარიშზე ჩარიცხა 300 ლარი, ხოლო გ---ი შ---მ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხა 250 ლარი.  
რითაც დაზარალებულებს მიადგათ მნიშვნელოვანი ქონებრივ ზიანი.

2019 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 18:00 საათზე, ე--- რ---ე გ--- ს-ს ქუჩა -ში თავის საცხოვრებელ  
სახლში ყოფნისას, სოციალური ქსელის - „ფეისბუქის“ მეშვეობით დაუკავშირდა ბ---მ---ს და დ---  
ტ---ის მონაცემების გამოყენებით და სთხოვა 200 (ორასი) ლარის ჩარიცხვა შპს („crystalbet.com “)  
ანგარიშზე N-, რითაც მოტყუებით დაეუფლა ბ--- მ-----ს კუთვნილ თანხას 200 (ორასი) ლარის  
ოდენობით და მიაყენა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.



2019 წლის 11 მაისს, ე-რ-მ გ-ი ს-ს ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას სოციალურ ქსელ „facebook“-ზე შექმნა „facebook“ გვერდი მომხმარებლის კ-მ-ს მონაცემებით და მოტყუებით „crystalbet“-ის ანგარიშზე N772264 კ-ს-ს ჩაარიცხინა თანხა 300 ლარის ოდენობით, რითაც კ-ს-ს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2019 წლის 23 აპრილს ე-რ-მ გ-ი ს-ს ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას სოციალურ ქსელ „facebook“-ზე შექმნა „facebook“ გვერდი მომხმარებლის ჯ-კ-ს მონაცემებით და მოტყუებით გ-კ-ს „crystalbet“-ის ანგარიშზე ჩაარიცხინა თანხა 250 ლარის ოდენობით, რითაც გ-კ-ს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2019 წლის 09 მარტს გ-ს-ს ქუჩა N-ში თავის საცხოვრებელ სახლში ყოფნისას სოციალურ ქსელ „facebook“-ზე შექმნა „facebook“ გვერდი მომხმარებლის ა-კ-ს მონაცემებით და მოტყუებით ნ-ნ-ს გადაარიცხინა თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ე-რ-ს ქმედებით ნ-ზ ნ- მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

ე-რ-მ სხვა პირთა ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2020 წლის დეკემბერში ქ-გ-ს-ს გამზირი, --ე კორპუსი, ბინა --ში ყოფნის დროს შექმნა გ-ბ-ს სახელით „facebook“ გვერდის ანალოგი გვერდი. მესენჯერის მეშვეობით მისწერა ლ-კ-ს, რომ ვითომ მას სურდა თანხის ჩარიცხვა ავტონაწილის შესაძენად, და თანხას დაუბრუნებდა. ლ-ი კ-მ თანხა 300 ლარი ჩარიცხა ე-რ-ს მიერ მითითებულ ვ-მ-ის ონლაინ კაზინო და ტოტალიზატორის „კრისტალბეთის“ N-ანგარიშზე, რომელსაც განკარგავდა ე-რ-ს აღნიშნული ქმედებით ე-რ-მ ლ-ი კ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

## 2. მტკიცებულებათა ერთობლიობა:

სასამართლო გადაწყვეტილება, კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. განაჩენის დადგენისას, სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს გამოკვლევის გარეშე მიღებული მტკიცებულებებით, მხოლოდ პრეიუდიციის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველის ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.“ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, პრეიუდიციულად დადგენილი გარემოება (ფაქტი) დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს და გონივრულობის თვალსაზრისით, არც დავას ექვემდებარება. შესაბამისად, საპროცესო ეკონომიის გათვალისწინებით, მხარეებიც მტკიცებითი პროცედურებისგან თავისუფლდებიან.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საქმეში არსებული მტკიცებულებები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და საქმეზე არსებული მტკიცებულებები სრულად იქნა უდავოდ ცნობილი. შესაბამისად, განაჩენის დადგენისას, სასამართლო ვალდებულია სამართლებრივი მსჯელობა წარმართოს უდავო მტკიცებულებათა ფარგლებში.



ერთლო განმარტავს, რომ საქმის არსებით განხილვაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე მიღების მიუხედავად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - ბარბერა, მესაგე და ჯაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა, ხოლო საქმეზე ბელიჩე რუსეთის წინააღმდეგ, განმარტა, რომ ევროპულ სასამართლოსთან შედარებით ეროვნული სასამართლო უკეთეს პოზიციას იკავებს, რადგან მას აქვს უპირატესი შესაძლებლობა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები ან განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებები განხილული უნდა იქნას (შეფასდეს) დადგენილი სტანდარტის (რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა) ფარგლებში და დადგინდეს შესაბამისი ფაქტების არსებობა ბრალდებით წარდგენილი დანაშაულის დისპოზიციურ შემადგენლობასთან, კერძოდ:

**ქურდობა, ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია:**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი აწესებს სასჯელს ქურდობისთვის. ქურდობის შემადგენლობის არსებობისათვის, აუცილებელია, რომ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება განხორციელდეს ფარულად და ქმედების ჩამდენს ამოძრავებდეს ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. ქურდობა, ობიექტური შემადგენლობის თვალსაზრისით, შედეგიანი დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლა სხვის მოძრავ ნივთს და რეალური შესაძლებლობა აქვს თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება. რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას, სასამართლოს აზრით, მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარად დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისას ბრალდებული მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით. ე---რ--- მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიზანს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება წარმოადგენდა, რაც მან ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენით სისრულეში მოიყვანა. აღნიშნული დადასტურდა როგორც თავად ბრალდებულის აღიარებით - სასამართლო სხდომაზე გამოხატული პოზიციის (განმარტების) მიხედვით, ასევე საქმეში არსებული სხვა უდავო მტკიცებულებებით, კერძოდ, დ---გ---ის გამოკითხვის ოქმით, დ---გ---ის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით, პლასტიკური ბარათის და ონლაინ ტოტალიზატორის ანგარიშის დათვალიერების ოქმებით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, სს -- გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, შპს „---“ დან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, სს „---“ დან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, სს ---“ დან და გამოთხოვილი ინფორმაციით.

სისხლის სამართლის მიზნებისათვის, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დროს, **მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზემოთ**, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა. მიყენებული ზიანის ოდენობა მოცემულ შემთხვევაში 1057 ლარის ოდენობით განისაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა დაუფლება, რამაც



ლოვანი ზიანი გამოიწვია.

**თაღლითობა, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია:**

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია თაღლითობისათვის. ამ დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები. ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია დანაშაულის მცდელობის ცნება, რომლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“ იგი დაუშვავრებელი დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან ობიექტური შემადგენლობის ყველა ელემენტი ბოლომდე არ არის მიყვანილი. ასეთ ქმედებათა ჩადენისათვის დამახასიათებელია სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ჩაყენება ზიანის მიყენების საფრთხის ქვეშ. განსახილველ საქმეში 2020 წლის 22 აგვისტოს ეპიზოდთან მიმართებით, ე--ი რ---მ ვერ შეძლო გაზრახვის სისრულეში მიყვანა, ვინაიდან მ--ნ თ--ე და თ-- კ--ე მიხვდა, რომ დ-- ბ--ს სახელით მათ სხვა პირი სწერდა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის პირველი ნაწილით).

საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებების, ასევე, სასამართლო სხდომაზე გამოხატული პოზიციის (განმარტების) მიხედვით ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (11 ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით (1 ეპიზოდი). აღნიშნული ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა დავის საგანს არ წარმოადგენდა. აღნიშნული დადასტურდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: დ--თ ბ--ს, თ--ზ კ--ს, მ--ი თ--ს, გ--ი ბ--ს, მ-- მ--ს, გ-- გ--ის გამოთხოვის ოქმით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, თ-- კ--ან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, შპს „მ-ი“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, გ--ი ბ--ს პირადი ჩხრეკით და ბინის ჩხრეკით ამოღებული მობილური ტელეფონიდან და კომპიუტერიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, სს „ს-----ს --“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, შპს --- გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, სს ----“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, შპს „---“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, სს „ს---“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, გ-- ბ----ის პირადი ჩხრეკის ოქმით და ამოღებული სამსუნჯის ფირმის მობილური ტელეფონით, მასში მოთავსებული სიმ ბარათებით, გ---ი ბ---ის ბინის ჩხრეკის ოქმით და ამოღებული კომპიუტერით, მ---ბ მ---ის ბინის ჩხრეკის ოქმით და ამოღებული კომპიუტერით, მ---ბ მ---ის პირადი ჩხრეკის ოქმით და ამოღებული მობილური ტელეფონით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით და მ--- მ---ის პირადი და ბინის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონიდან და კომპიუტერიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, ზ---პ----ის, ბ---შ---ს, გ---ი ჯ---ს, ი--- ო---ის, გ---გი ჯ---გან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, ზ---ბ პ---ან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, შპს „მ---“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, შპს „ა---“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, სს ---ი“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, სს „თ----“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, პ----ნ----ს, თ---ო---ს, ლ--ჩ---ის გამოკითხვის ოქმებით, ანგარიშიდან ამონაწერის, ქვითრების და მესენჯერის მიმოწერის



იერების ოქმით, სს „ს-ი“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის  
სს „ს-“-დან გამოთხოვილი ინფორმაცია, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმი, შპს „ა-“-დან  
გამოთხოვილი ინფორმაცია, დ-გ-ის, ზ-ს-ის, ნ-ა-ის, თ-ე-რ-ს, ლ-კ-ის, ტ-ნ-ს, ვ-მ-  
ნ-ზ-ნ-ს, გ-კ-ს, გ-ო-ს, თ-ხ-ს, პ-ს-ს, ბ-მ-ს, მ-ვ-ს, გ-შ-ს, კ-გ-ს, გ-ჩ-ს, გ-ა-  
ო-ს, ი-ი-ქ-ს, პ-ნ-ს, ლ-ჩ-ის გამოკითხვის ოქმებით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, IP  
მისამართების დათვალიერების ოქმით, შპს „მ-დან, შპს „ს-“-დან და შპს „ო“-დან  
გამოთხოვილი ინფორმაციებით, თ-ე-რ-ს პირადი ჩხრეკის ოქმით, თ-ე-რ-ს ბინის ჩხრეკის  
ოქმით და ამოღებული ნივთმტკიცებებით, სამი ცალი მობილური ტელეფონით და კომპიუტერის  
ერთი ცალი სისტემური ბლოკით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმებით, საქართველოს ეროვნული  
ბანკის მეშვეობით საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან გამოთხოვილი  
ინფორმაციებით, თ-ე-რ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული სამი ცალი მობილური ტელეფონიდან  
და კომპიუტერის ერთი ცალი სისტემური ბლოკიდან გამოთხოვილი ინფორმაციები, საქმეში  
არსებული სხვა ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა.

### **კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია**

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლით  
დაწესებულია პასუხისმგებლობა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისათვის.  
ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება კომპიუტერულ სისტემაში არამართლზომიერ  
უნებართვო შეღწევაში, როცა პირი მოქმედებს ამ სისტემის მფლობელის ნებართვის გარეშე.  
ქმედება მატერიალური შემადგენლობისა და დამთავრებულია ერთ-ერთი შედეგის დადგომის  
მომენტიდან.

საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებების, ასევე, სასამართლო სხდომაზე გამოხატული  
პოზიციის (განმარტების) მიხედვით ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო წარდგენილ  
ბრალდებებში.

საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებების, ასევე, სასამართლო სხდომაზე გამოხატული  
პოზიციის (განმარტების) მიხედვით ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო წარდგენილ  
ბრალდებებში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით (4  
ეპიზოდი). აღნიშნული ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა დავის საგანს არ წარმოადგენდა.  
გარდა ბრალდებულის აღიარებისა, დანაშაული ასევე დადასტურდა შემდეგი მტკიცებულებებით,  
კერძოდ: დ-გ-ს, პ-ნ-ს, თ-რ-ო-ს, ლ-ი-ჩ-ის, დ-გ-ის, ზ-ი-ს-ს, ნ-ა-ის, ი-ი-ქ-  
-ს გამოკითხვის ოქმებით, დ-გ-ს საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით, პლასტიკური ბარათის და  
ონლაინ ტოტალიზატორის ანგარიშის დათვალიერების ოქმებით, ინფორმაციის გამოთხოვის  
ოქმით, სს --- გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, შპს „მ-ი“-  
დან გამოთხოვილი ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, სს „ს-“-დან გამოთხოვილი  
ინფორმაციით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, სს --- და გამოთხოვილი ინფორმაციით,  
მესენჯერის დათვალიერების ოქმებით, IP მისამართების დათვალიერების ოქმით, შპს „ა-რი“-დან  
გამოთხოვილი ინფორმაციით, სს „ს-ი“-დან გამოთხოვილი ინფორმაციით,

### **3. სამართლებრივი შეფასება:**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს



უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. სასამართლოს განაჩენი ექვემდებარება, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული ანუ მტკიცებულებებს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი, უნდა იყოს აშკარა ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებები აშკარად უნდა ადასტურებდნენ რაიმე ფაქტს ან გარემოებას და მათში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ უნდა არსებობდეს. მტკიცებულებათა ერთობლიობა პირდაპირ და ცალსახად უნდა ადგენდეს ფაქტებს და პირის ბრალეულობას, სწორედ ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის, მოტივის, მიზანს, განზრახვას და ა. შ. გარდა ამისა, მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს დამაჯერებელი ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და უტყუარი მტკიცებულებები უნდა იყოს დამაჯერებელი ობიექტური, ნეიტრალური პირისათვის, რათა ეს პირი დარწმუნდეს სწორედ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. დამაჯერებლობის ხარისხი იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ რაიმე გონივრული ეჭვს ან ვარაუდს არ უნდა იწვევდეს ბრალდებულის მიმართ. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს და ადასტურებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს, არ უნდა ბადებდეს ისეთ კითხვებს, რომლებიც დანაშაულის ჩამდენის ფაქტობრივ გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს და გონივრულ კითხვებს გააჩენს ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი აწესებს სასჯელს თაღლითობისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესებს სასჯელს კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისათვის, ხოლო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი ქურდობისათვის.

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით (პრეიუდიციულად მიჩნეული ფაქტებით), გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა ბრალდებულ ე—რ—ს მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების ჩადენა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (11 ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით (4 ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.



სასაბუნებისმეტყველო მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები აღ  
წერილია.

**პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები:**

ე---რ----ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი აღიარებს და ინანებს ჩადენილს, გამოხატავს მზაობას, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ექნება ანალოგიური ხასიათის დანაშაულის ჩადენას.

ე---ი რ----ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია.

**სასჯელის გამოყენების დასაბუთება:**

თავდაპირველად, სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანი, მისი განვითარების შესაბამისად, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, ამიტომ არ შეიძლება მათ ისევე მოეპყრან, როგორც ზრდასრულებს. როდესაც არასრულწლოვნები ხვდებიან მართლმსაჯულების სისტემაში, უფლებამოსილმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი განსხვავდებიან ზრდასრული ადამიანებისაგან მიუხედავად მათი სტატუსისა, იქნება ეს დაზარალებული, მოწმე თუ ბრალდებული. მისი უფლებების დაცვა უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი მართლმსაჯულების სისტემაში მონაწილეობის მთლიან პროცესში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მართლმსაჯულების სისტემა უნდა იხელმძღვანელოს „არასრულწლოვნის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპით“, რომელიც გათვალისწინებულია „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 3(1) მუხლით და რომელიც მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს, უპირველესად გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ეს კი გულისხმობს საკითხის განხილვას არსებითი სამართლებრივი ნორმების მიღმა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. თუმცა აღნიშნული მუხლი არ განსაზღვრავს, თუ რა იგულისხმება „დროის რაც შეიძლება შესაბამის მოკლე პერიოდში“. 18 წლამდე პირთა სასჯელის ვადა პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული იმ პერიოდის ხანგრძლივობასთან, რომელიც მიჩნეულია საკმარისად ბავშვის რეინტეგრაციისთვის და მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო როლის შესრულებაში ხელშეწყობისათვის.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესებით არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინური წესები), რომლის თანახმად, 18 წლამდე პირს არ უნდა წაერთვას თავისუფლება, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთხელ ჩადენაში და არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა. სასამართლო ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლს, რომლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს. აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ მინიმალურ წესებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინური



მე-5 მუხლს), რომლის თანახმადაც, ზემოქმედების ზომის შერჩევას, ზემოქმედების უნდა იყოს თანაზომადი, არა მარტო ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არამედ არსულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან.

უპირველეს ყოვლისა, ყურადსაღებია ე-- რ--ს ქმედება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, სახელდობრ, მან გამოძიების საწყის ეტაპზე სრულად აღიარა ინკრინინირებული დანაშაულის ჩადენა, ნებაყოფლობით მონაწილეობა მიიღო ბრალდების მხარის მიერ წარმოებულ ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებაში, რითაც აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას, მართლმსაჯულების დროულ და ეფექტიან განხორციელებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, როგორც წინასასამართლო, ასევე საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მან თავი დამნაშავედ ცნო.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით, ე-- რ--ე დედასთან ერთად ცხოვრობს გ--ი. სირთულედ შეიძლება დასახელდეს ის გარემოება, რომ შშობლები 8-9 წლის წინ დაშორდნენ ერთმანეთს, რომლის ძირითადი მიზეზი იყო მამის მხრიდან ალკოჰოლის არამართლზომიერი მიღება და კონფლიქტურობა. ამ ეტაპზე, მამა ნაკლებად ზრუნავს შვილზე. თვითონ ე--ს არ აქვს ხშირი ურთიერთობა მამასთან. ახლო ურთიერთობა აქვს დედასთან, ის ავტორიტეტია მისთვის, რომელიც ხშირად ესაუბრა შვილს დანაშაულის და ასევე აზარტული თამაშების მიუღებლობაზე. ოჯახი არ ფლობს საკუთარ ბინას, ცხოვრობენ ქირით. სწავლის პერიოდში ე--ი ნაკლებად იჩენდა ინტერესს, ხშირად აცდენდა გაკვეთილებს, აკადემიური მოსწრება ჰქონდა ძალიან დაბალი. სკოლის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მიღება არ გაუგრძელებია. ამჟამად იგი არაფრით არ არის დაკავებული, აქვს ბევრი თავისუფალი დრო. სკეპტიკურად უყურებს დასაქმების საკითხს. გამოკვეთილად შეიძლება ითქვას, რომ მისი ინტერესი დაკავშირებულია აზარტულ თამაშებთან.

სასამართლოს აზრით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ბრალდებულების პიროვნული მახასიათებლები ნათლად ადასტურებენ, იმას, რომ ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია არასრულწლოვან ბრალდებულს დანიშნული სასჯელი დაენიშნოს მსუბუქ ფორმებში.

### სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა, ბავშვის უფლებათა კონვენციის 1-ლი, მე-3 მუხლებით, 37-ე მუხლის (ბ) პუნქტით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინური წესები“) მე-5 მუხლით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3, მე-4, მე-7, მე-14, მე-17, 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 55-57-ე, 59-ე, 65-ე, 69-ე, 73-ე, 75-ე მუხლებით, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილით, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილით, 73-ე, 81-ე, 258-260-ე, 269-ე, 271-274-ე, 277-ე, 279-ე მუხლებით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით და

### დაადგინა:

ე--ი რ--ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელის სახედ















კვლევის აღკვეთა 8 (რვა) თვის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობით.

ე-ი რ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დანაშაულის (2018 წლის 11 ნოემბრის ეპიზოდი) ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მესამედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) თვის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობით.

ე-ი რ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლით და 8 (რვა) თვის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შთანთქმის პრინციპის თანახმად, ეწვერი რაზმადეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვლილია პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ე-ი რ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდეს.

საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები, კერძოდ, შპს „მ-ს“ ანგარიშის პლასტიკური ბარათი, მობილური ტელეფონი „iPhone 6S იმეი კოდით ---, მობილური ტელეფონი „iPhone X იმეი კოდით ---, მობილური ტელეფონი „iPhone X იმეი კოდით ---და კომპიუტერის სისტემური ბლოკი, მ- მ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული hp ფირმის კომპიუტერი, მობილური ტელეფონი „რედ მი ნოუტ 8“ იმედი კოდებით --, ე-ი რ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონი და ლენოვოს ფირმის პლანშეტი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შედეგ დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს, ხოლო „თ-- ბანკიდან 09. 01. 2019 წლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე, „ლ--“ --ან 27. 02. 2019 წლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია სამ ცალ CD დისკზე, თ--რ--ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე, თ---ე რ---ს ბინის ჩხრეკისას

ული კომპიურის სისტემური ბლოკიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე,  
---ან 25. 03. 2019 წლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე, --- 27.  
2019 წლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე, "----" ბანკიდან 21. 01.  
2020 წლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე, შპს „მ--24.08.2020 წლის  
განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე, გ---ბ---ს პირადი ჩხრეკისას  
ამოღებული მობილური ტელეფონებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ CD დისკზე,  
შენახული იქნეს საქმის შენახვის ვადით.

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას. ანაჩენი  
შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გორის რაიონული სასამართლოს  
მეშვეობით.

**მოსამართლე**

**გოგა კუპრეიშვილი**